მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში

პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში

პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის

დეკემბერი, 2023

გზამკვლევი მომზადებულია *მარინე გოგნელაშვილის, ზაქარია ქიტიაშვილის, სულხან ჩარგეიშვილისა* და *ოლენა სტისლავსკას* *მიერ.*

კონტრიბუტორები: *თამუნია ჭინჭარაული და ნათია ნაცვლიშვილი*

გზამკვლევზე ასევე მუშაობდნენ:

თინათინ დოლიძე, მეგი ესებუა, ნინო ჩახუნაშვილი, რუსუდან სანაძე, გიორგი არზიანი, ნონა პოპიაშვილი, რატი ფრუიძე, ლელა წურწუმია, რუსუდან ლომთაძე, ქეთევან ჩიქოვანი, ალუდა გოგლიჩიძე, თამარ ბუხრაშვილი.

რედაქტორი: *ნათია ნაცვლიშვილი.*

პუბლიკაცია შექმნილია პროექტის ''დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს პროექტს ''დემოკრატია იწყება სკოლაში'', ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში education.-georgia@coe.int

ვიზუალური კონცეფციის ავტორი: *ნინო გორდელაძე*
დიზაინერი და ილუსტრატორი: *ნათია კვარაცხელია*
ტექნიკური დიზაინერი: გიორგი კევლიშვილი

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

© ევროპის საბჭო, 2023 წლის დეკემბერი.

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ოფიციალურ პოლიტიკად.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სარჩევი

აბრევიატურები . . . 6
გზამკვლევის მიზანი და სტრუქტურა . . . 8
როგორ გამოვიყენო გზამკვლევი? . . . 9
შესავალი . . . 10
რა არის მოსწავლეთა მონაწილეობა? . . . 10
რას სწავლობენ მოსწავლეები მონაწილეობის პროცესში? . . . 10
რატომ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში თანამონაწილეობის კულტურა? . . . 10
რას მოიაზრებს მოსწავლეთა მონაწილეობის უფლებრივი ნაწილი? . . . 11
მოსწავლეთა მონაწილეობის რომელი ორი ტიპი გვხვდება სკოლაში? . . . 12
რომელია მოსწავლეთა რეალური / ნამდვილი მონაწილეობის დონეები? . . . 12
მოსწავლეთა რეალური მონაწილეობის ბაზისური დონეები . . . 13
მოსწავლეთა ნამდვილი მონაწილეობის შუალედური დონე . . . 13
მოსწავლეების ნამდვილი მონაწილეობის მაღალი დონე . . . 13
რომელია მოსწავლეთა ფორმალური მონაწილეობის ფორმები? . . . 14
რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა რეალური / ნამდვილი მონაწილეობა? . . . 14
რა შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა მონაწილეობის შედეგად? . . . 15
მოსწავლეთა მონაწილეობა – პრაქტიკული რჩევები სკოლის ლიდერებისთვის . . . 17
სკოლის დირექტორის როლი მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობაში 19
საჭიროებების იდენტიფიცირება . . . 20
საჭიროებების იდენტიფიცირების ინსტრუმენტი . . . 20
SWOT ინსტრუმენტი . . . 21
პრიორიტეტების განსაზღვრა – დაგეგმვის ინსტრუმენტი . . . 21
სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები . . . 23

ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები 34

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები 39

რეფლექსიის ინსტრუმენტი 44

მოსწავლეთა მონაწილეობა - სახელმძღვანელო ინსტრუქციები მასწავლებლებისთვის 47

რა როლს ვასრულებთ მოსწავლეთა მონაწილეობის წახალისებაში? . . .49

როგორ განვსაზღვროთ, რა ეტაპზე ვართ – თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი, SWOT-ანალიზი 50

როგორ განვსაზღვროთ პრიორიტეტები? 51

მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი ქმედებები: 53

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები 54

ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები 60

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები 70

მოსწავლეთა მონაწილეობა - სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოსწავლეთათვის 77

როგორ განვსაზღვროთ, რა ეტაპზე ვართ – თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი, SWOT-ანალიზი 80

ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – ქმედებები, მაგალითები, ინსტრუმენტები. 90

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა ჩართულობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები. 94

მოსწავლეთა მონაწილეობა - სახელმძღვანელო ინსტრუქციები მშობლებისთვის 101

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მშობლის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები. 106

ბიბლიოგრაფია 115

დანართები. 118

დანართი 2. 120

აბრევიატურები

ზგემ — ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

ესგ — ეროვნული სასწავლო გეგმა

კზგშ — კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

მპს — მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

დპს — დირექტორის პროფესიული სტანდარტი

ას — ავტორიზაციის სტანდარტები

მპეკ — მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

მქკ — მოსწავლის ქცევის კოდექსი

დკკსჩ — დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო

სსსმ — სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

შშმ — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

იგპ — იძულებით გადაადგილებული პირი

„მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას....თვითმოქმედება და აქტივობა უმთავრეს პრინციპად ითვლება საშუალო სკოლაში.“

დ. უზნაძე, 1917

გზამკვლევის მიზანი და სტრუქტურა



გზამკვლევის მიზანია, სასკოლო საზოგადოების წევრებმა – მშობლებმა, მასწავლებლებმა, სკოლების ლიდერებმა, მოსწავლეებმა – შეგნებულად გავაცნობიეროთ, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენი წვლილის შეტანა სასკოლო ცხოვრების დემოკრატიული მართვის პროცესის გაუმჯობესებაში და, რაც უმთავრესია, როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს სასკოლო ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ნამდვილი მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები, კერძოდ, სასკოლო პოლიტიკის პროცედურები, რეგულაციები, მოსწავლეთა ჩართვა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში და მათთვის მართვის წარმომადგენლობით-კოლეგიალური ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა, უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემო, პოზიტიური სასკოლო კლიმატი, მონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობითი სასკოლო ორგანიზაციული კულტურა, მოტივაცია და სხვა.

წინამდებარე პრაქტიკული გზამკვლევი მოიცავს კონკრეტულ ქმედებებად ჩაშლილ რეკომენდაციებს, მათი განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუქციებს, ინსტრუმენტებს, მაგალითებსა და შემთხვევებს სასკოლო ცხოვრებიდან. ცხადია, თითოეული ქმედება თუ ინსტრუმენტი შეიძლება გადამუშავდეს და სახე იცვალოს სკოლის საჭიროებებისა და მიზნების გათვალისწინებით. გზამკვლევის პრაქტიკული კომპონენტი იძლევა საშუალებას, განისაზღვროს სკოლის დემოკრატიული კულტურის დონე მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის შეფასების საშუალებით, შემუშავდეს ინტერვენციის პოლიტიკა, განხორციელდეს ცვლილებები სასკოლო დონეზე და შეფასდეს მიღწეული შედეგები რეფლექსიის სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით. გზამკვლევის შინაარსი მჭიდრო კავშირშია ქართულ საგანმანათლებლო კონტექსტთან და ძირითადად ეყრდნობა სკოლის დირექტორებისა თუ მასწავლებლებისთვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ საკანონმდებლო ჩარჩოებსა და რეკომენდაციებს. შესაბამისად, მისი სასკოლო სივრცეში დანერგვა-რეალიზება სასკოლო საზოგადოებისათვის, ფაქტობრივად, საკუთარი პროფესიული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ.

გზამკვლევი შემუშავდა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ევროპის საბჭოს პროექტის “დემოკრატია იწყება სკოლაში - მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" ფარგლებში, რომელიც 2022 წლის მარტიდან 2023 წლის დეკემბრამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის გზით, სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და პრაქტიკის საშუალებით. ეს სახელმძღვანელო პროექტის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მთავარი პროდუქტია, რომლის პილოტირებაც 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე განხორციელდა. შედეგად მიღებული უკუკავშირი და ცვლილებები ამავე დოკუმენტში იქნა ასახული.

როგორ გამოვიყენო გზამკვლევი?

გზამკვლევი შედგება მოსწავლის მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ზოგადი შესავალისა, და 4 ძირითადი თავისგან: სკოლის ხელმძღვანელის/ლიდერის, მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლისთვის.

თითოეული თავის დასაწყისში მკითხველს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს თუ რა მნიშვნელობა და სარგებელი აქვს მოსწავლის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სკოლის ლიდერის, მასწავლებლის, თავად მოსწავლის თუ მშობლის პერსპექტივებიდან. გზამკვლევში აღწერილია სასკოლო საზოგადოების ზემოთ ჩამოთვლილი წევრების როლი მოსწავლის აქტიური მონაწილეობის პროცესში. რაც მთავარია, მოცემულია კონკრეტული ინსტრუმენტები, რაც საშუალებას იძლევა, რომ შეაფასოთ სკოლაში მოსწავლეების მონაწილეობის მიმართულებით არსებული სიატუაცია, გამოიყენოთ დაგეგმვის ინსტრუმენტი და შეარჩიოთ, ან ადაპტირება გაუკეთოთ მოცემულ ქმედებებს და ასახოთ დაგეგმვის ინსტრუმენტში. ზოგიერთ ქმედებას თან მოჰყვება საინტერესო შემთხვევები, მაგალითები და ინსტრუმენტები, რომლებიც ქმედების განხორციელების პროცესში დაგეხმარებათ.

თუ ხართ სკოლის ლიდერი, მასწავლებელი, მოსწავლე ან მშობელი, გზამკვლევში მოცემულ თქვენს თავში მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს.

- გაეცანით მოსწავლის მონაწილეობის არსს – გზამკვლევის შესავალი.
- გადადით თქვენთვის რელევანტურ თავზე – სკოლის ლიდერი, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი.
- გაეცანით თუ რა სარგებელი მოაქვს მოსწავლის მონაწილეობას თქვენთვის.
- გაეცანით თქვენს როლს მოსწავლეთა მონაწილეობის გაუმჯობესების პროცესში.
- გამოიყენეთ სვოტი ან სხვა ინსტრუმენტი მონაწილეობის მიმართულებით არსებული გამოწვევების თუ შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.
- გაეცანით დაგეგმვის ინსტრუმენტს.
- გაეცანით ქმედებებს, შემთხვევებს, მაგალითებს და ინსტრუმენტებს
- შეარჩიეთ, ადაპტირება გაუკეთეთ, მოარგეთ თქვენს რეალობას ან ჩაანაცვლეთ სხვა ქმედებით და შეიტანეთ დაგეგმვის ინსტრუმენტში.
- გამოიყენეთ შესაბამისი ქმედების შემთხვევები, აქტივობები და ინსტრუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), როგორც გზამკვლევი განხორციელების პროცესში.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ ქველა ქმედებას არ მოჰყვება აქტივობები, შემთხვევა ან თუნდაც ინსტრუმენტი. მხოლოდ იმ ქმედებებს ახლავს ეს პრაქტიკული ინსტრუმენტები თან, რომელთა პრაქტიკაში გამოყენებასაც შეიძლება დასჭირდეთ მეტი ინსტრუქციები.

- ქმედებების განხორციელების შემდეგ გამოიყენეთ რეფლექსიის ინსტრუმენტი, რათა შეაფასოთ შედეგები და თქვენი პროგრესი.

წარმატებას გისურვებთ!



შესავალი

რა არის მოსწავლეთა მონაწილეობა?

მოსწავლეთა მონაწილეობა ნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია და სერიოზულად არის აღქმული მოსწავლეთა მიერ გამოთქმული შეხედულებები. აღნიშნული ეხება სასკოლო ცხოვრების ყველა იმ ასპექტს, რომელთა გაუმჯობესებაც, ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ. მონაწილეობას სხვადასხვა ფორმა აქვს, იქნება ეს არაფორმალური გარემო (სადაც მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებსა თუ თანატოლებს უზიარებენ შეხედულებებს) თუ დემოკრატიულ სტრუქტურებსა თუ მექანიზმებში (მოსწავლეთა თვითმმართველობა და კონსულტაციები) მონაწილეობა.



რას სწავლობენ მოსწავლეები მონაწილეობის პროცესში?

როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს წარმოდგენაა შეუძლებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე, ასე შეუძლებელია დემოკრატიული სკოლის წარმოდგენაც მოსწავლეთა მონაწილეობის გარეშე. მონაწილეობის ნება და უნარი თანდაყოლილი არ არის და არც ლექციების მოსმენით ისწავლება: იგი იხვეწება და ეტაპობრივად ვითარდება სხვადასხვაგვარი მონაწილეობის პროცესში – იქნება ეს ინდივიდუალურად, მცირე ჯგუფებში, მთელ კლასთან თუ პარალელური კლასების მოსწავლეებთან ერთად მუშაობისას.

მოსწავლის მონაწილეობა და მოსწავლის ხმა განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისადმი ევროპის საბჭოს კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი ელემენტებია, რაც გულისხმობს ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურ ხედვას, დემოკრატიული სკოლის განვითარებაზე ფოკუსირებას და ახალგაზრდების სამოქალაქო გამოცდილების ინტეგრაციას ფართო საზოგადოებაში.

რატომ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში თანამონაწილეობის კულტურა?

სკოლა ის ადგილია, სადაც მოსწავლეები პირველად ხვდებიან საზოგადოებაში და მის დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს ითვისებენ. აქ სწავლობენ, როგორ უნდა იმოქმედონ ერთად, ითანამშრომლონ, განსაზღვრონ ამოცანები, გაიზიარონ პასუხისმგებლობები და შეაფასონ მიღებული შედეგები. აქ ემზადებიან იმისთვის, რომ განსაზღვრონ საკუთარი ქვეყნის მომავალი მათი სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხით.

მოსწავლეების მონაწილეობა მხოლოდ მომავლის საკითხი არ არის. ის დღევანდელობასაც ეხება. ყოველი სკოლა არის მისი წევრების (მასწავლებლები, ადმინისტრატორები, პერსონალი, მშობლები და მოსწავლეები) ერთიანობაა, რომელიც ქმნის ერთგვარ თემს. ამ თემში მოსწავლეებს სპეციფიკური სოციალური როლები ენიჭებათ: აქვთ კონტაქტი, იწყებენ თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობას, იძენენ ცოდნას საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ. სწავლობენ, რა არის მნიშვნელოვანი და რა – არა, რას მოაქვს შედეგი და რას – არა, რა არის საინტერესო და რა არის მოსაწყენი, რა არის ადვილი და რა არის რთული. ისინი სწავლობენ არჩევანის გაკეთებას; სწავლობენ როგორ იმოქმედონ თუ რაღაცას ეთანხმებიან / არ ეთანხმებიან; როგორ შეუწყონ ხელი იმას, რაც სწორად მიაჩნიათ და როგორ შეეწინააღმდეგონ იმას, რაც მიუღებელია. ყოველ დღე ხედავენ ისეთი ცნებების რეალურ, პრაქტიკულ გამოვლინებას, როგორებიცაა თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, პატივისცემა და კანონის უზენაესობა. ის, თუ რას აითვისებს მოსწავლე სასკოლო ცხოვრებაში

მონაწილეობისგან – **გააზრებული, ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების, მოქმედებებისა და შედეგებისგან** – დამოკიდებულია სკოლის პოლიტიკასა და პრაქტიკაზე, რომელიც პირდაპირ ვლინდება სკოლის ყველა დაინტერესებული მხარის (განსაკუთრებით, მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების) ქცევაში. სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობის შედეგად მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას იქონიებს მოსწავლეების პიროვნულ, პროფესიულ და სოციალურ ცხოვრებაზე.

რას მოიაზრებს მოსწავლეთა მონაწილეობის უფლებრივი ნაწილი?

მოსწავლეთა მონაწილეობა გულისხმობს მოსწავლეების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ:

- კურიკულუმის, მისი შინაარსის, მიზნისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- სწავლა-სწავლების მეთოდების არჩევანზე ზემოქმედების უფლება;
- გამჭვირვალე შეფასებისა და მისი დასაბუთების მოთხოვნის უფლება;
- კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, გასართობი და სამოხალისეო აქტივობების ორგანიზების უფლება;
- სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელ ნორმებსა და პრინციპებზე ზემოქმედების უფლება;
- წარმომადგენლის არჩევის უფლება, ასევე, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრის არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება.

ნამდვილი მონაწილეობა

ფორმალური მონაწილეობა

ახალგაზრდების, მათ შორის, მოსწავლეების მონაწილეობის უფლება საერთაშორისო დონეზე უკვე რამდენიმე ათწლეულია აღიარებულია. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) მონაწილეობას ადამიანის უფლებად მიიჩნევს და, შესაბამისად, გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომლის ხელმომწერიცაა საქართველო, გამოყოფს ბავშვთა მონაწილეობის უფლებას და აღიარებს მისი გარანტირებულობის მნიშვნელობას. ევროპის საბჭოს მასშტაბით ახალგაზრდების მონაწილეობაზე, როგორც უფლებაზე, საუბრობს ევროპის საბჭოს განახლებული ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ. საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს წევრი, იზიარებს ქარტიის პრინციპს და იაზრებს ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერის პასუხისმგებლობას.

მოსწავლეთა მონაწილეობის რომელი ორი ტიპი გვხვდება სკოლაში?

მოსწავლეთა მონაწილეობამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, თუმცა ყველა მათგანი ორ ტიპად იყოფა – რეალური, ნამდვილი მონაწილეობა და ფორმალური მონაწილეობა. რეალური მონაწილეობა მოსწავლეებს აქტიურობისკენ უბიძგებს და უქმნის განცდას, რომ შეუძლიათ არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედება და ნამდვილი ცვლილების განხორციელება. ფორმალური მონაწილეობა ამის საპირისპიროა – მოსწავლეები აქედან მხოლოდ იმას იმახსოვრებენ, რომ განსხვავებული ფიქრი და კეთება არ შეუძლიათ და აქტიურ მონაწილეობას აზრი არ აქვს. ფორმალური მონაწილეობა არაინფორმირებულ და უსუსურ მდგომარეობაში აყენებს ახალგაზრდებს და შეიძლება ამ პროცესის ნეგატიური შედეგები არა მარტო მათზე, არამედ სხვა ახალგაზრდებზეც გავრცელდეს. ფორმალური მონაწილეობა არ იზიარებს ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა ადამიანის ღირსება, თანასწორობა და პატივისცემა. ფორმალური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის ყველაზე ცნობილი აღწერილობა ეკუთვნის როჯერ ჰარტს, რომელმაც შემოგვთავაზა *„მონაწილეობის კიბის“* ცნება და აღწერა რეალური მონაწილეობის 5 და ფორმალური მონაწილეობის 3 დონე.

რომელია მოსწავლეთა რეალური / ნამდვილი მონაწილეობის დონეები?

არსებობს რეალური / ნამდვილი მონაწილეობის 5 დონე. იწყება ყველაზე მარტივი მიდგომიდან, რომელიც ოპტიმალურია იმ შემთხვევაში, როცა არათუ მოსწავლეებს, არამედ მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელობასაც არ აქვთ ამ მხრივ დიდი გამოცდილება და ცოდნა. ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო კომპლექსურია და მოსწავლეებს მეტი ინიციატივის გამოჩენისა და პასუხისმგებლობის აღებისკენ უბიძგებს. ამ დონეების თანმიმდევრულად გავლა მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, უსაფრთხოდ გადავიდნენ მუშაობის სხვადასხვა ფორმატზე: თავიდან მოსწავლეები სხვისი იდეების განმხორციელებლები და მიმდევრები იქნებიან, ბოლოს კი თავად გახდებიან პროექტების ინიციატორები, ავტორები და ლიდერები.



მოსწავლეთა რეალური მონაწილეობის ბაზისური დონეები

მოსწავლეებისთვის დავალებების დარიგება და მათი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ არიან ჩართულები პროექტში. მონაწილეობის ამ დონეზე ყველაფერს მასწავლებლები ან სხვა სკოლის უფროსი თანამშრომლები გეგმავენ, თუმცა მათმა მოსწავლეებმა იციან ამ აქტივობების მიზნები და იაზრებენ საერთო ამოცანას. ყველას შეუძლია მონაწილეობა, და არა მხოლოდ პასუხისმგებლობით, უნარებით ან ლიდერობისკენ მიდრეკილებით გამორჩეულ მოსწავლეებს.

მასწავლებლების ან სკოლის სხვა თანამშრომლების **მიერ მოსწავლეებთან კონსულტაციისა და დიალოგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები**. ეს დონე ძალიან ჰგავს წინას – ყველაფერს ისევ მასწავლებლები ან სკოლის სხვა თანამშრომლები გეგმავენ და აცნობებენ მოსწავლეებს აქტივობების ან პროექტების მიზნებისა და მისი ეტაპების შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაში, განსხვავება ის არის, რომ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან აზრი და შეხედულებები. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება და არჩევანი მაინც უფროსების გასაკეთებელია, ამ დონეზე მასწავლებლები და მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენასა და დიალოგის დაწყება-წარმართვას.

მოსწავლეთა ნამდვილი მონაწილეობის შუალედური დონე



მასწავლებლები ან სკოლის სხვა თანამშრომლები **გამოთქვამენ ინიციატივას, მაგრამ გადაწყვეტილებები მიიღება მოსწავლეებთან ერთად**. მონაწილეობის (თანამონაწილეობის) ამ დონეზე მოსწავლეების აზრები უკვე თანდათანობით ზემოქმედებს საკლასო ოთახში, სკოლასა თუ კონკრეტული პროექტის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე. იმავდროულად, მოსწავლეები იწყებენ ამ გადაწყვეტილებების შედეგებზე პასუხისმგებლობის გაზიარებასაც. გამოიყენება მექანიზმები, რომლებიც მოსწავლეებს განხილვებში, საჭიროებათა შეფასებაში, დაგეგმვაში, განხორციელებასა და ამოცანების შეფასებაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები ამ დროს მენტორებისა და კურატორების როლებს ითავსებენ.

მოსწავლეების ნამდვილი მონაწილეობის მაღალი დონე

მოსწავლეები წარმოადგენენ ინიციატივას და ახორციელებენ მას. მონაწილეობის ამ დონეზე მოსწავლეებმა უკვე იციან, როგორ წარმოადგინონ ინიციატივა, გაავრცელონ ინფორმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება, გაიზიარონ პასუხისმგებლობა, შეადგინონ და განახორციელონ გეგმა. მათი პროექტები სავსებით განხორციელებადია, რადგან მოსწავლეები მანამდე ფორმირებული მოდელების შესაბამისად მოქმედებენ და მონაწილეობის წინა დონეებზე მიღებულ გამოცდილებას ეყრდნობიან. ზრდასრულები მეთვალყურეობენ მოსწავლეების აქტივობას, მაგრამ მათი როლები მხოლოდ დაკვირვება-მხარდაჭერით შემოიფარგლება.

მოსწავლეები წამოაყენებენ ინიციატივას და გადაწყვეტილებებს იღებენ უფროსებთან ერთად. ეს არის მონაწილეობის ყველაზე მაღალი დონე, სადაც საჭიროა ურთიერთპატივისცემა და ნდობა, რასაც საერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესი განაპირობებს. მოსწავლეები სრულად იყენებენ მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას, თუმცა, იმავდროულად, მასწავლებლებსაც სთხოვენ მონაწილეობას, როგორც თანასწორ პარტნიორებს, რადგან ცოდნას, გამოცდილებასა და მხარდაჭერას აფასებენ.

რომელია მოსწავლეთა ფორმალური მონაწილეობის ფორმები?



არსებობს ფორმალური მონაწილეობის 3 ფორმა. მათგან არცერთს არ აქვს დადებითი გავლენა აქტივობებში ჩართულ მოსწავლეებზე. აქედან ისწავლება მხოლოდ მორჩილება, ინიციატივის ნაკლებობა და ძალაუფლების მქონე პირისთვის სასურველი ქმედების განხორციელება. ამგვარი მონაწილეობის შედეგად, მოსწავლეები კარგავენ ინტერესს და აღარ სურთ მონაწილეობის მიღება. ხანდახან, გარეგნული დაკვირვებისას, რთულია გავმიჯნოთ მონაწილეობის რეალური / ნამდვილი და ფორმალური ფორმები, მაგრამ თუ ადამიანი აქტივობაშია ჩართული, განსხვავება მისთვის ნათელი იქნება.

მანიპულაცია. ეს არის მონაწილეობის ილუზორული ფორმა, როცა მოსწავლე ინსტრუმენტად აღიქმება და ისეთ აქტივობაშია ჩართული, რომლის მიზანიც არ ესმის. მოსწავლეები, ერთი შეხედვით, აქტიურები ჩანან, თუმცა, სინამდვილეში, ვიღაცის ინსტრუქციებს ბრმად მისდევენ. მათი შეხედულებები ერგება უფროსების მოსაზრებებს, რომლებიც მოსწავლეებს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ.

დეკორაცია. ეს არის მონაწილეობის ფორმა, როცა მოსწავლეები საჯაროდ წარდგებიან აუდიტორიის წინაშე გარკვეული ღონისძიების, დადგმის, შეხვედრის ან სხვა სასკოლო აქტივობის დროს, თუმცა მათ აზრს არავინ ეკითხება. ასეთ დროს მოსწავლეები ფასადური მონაწილეობის სადემონსტრაციოდ სჭირდებათ.

ტოკენიზმი. ეს არის მონაწილეობის ფორმა, როცა მოსწავლეებს სთხოვენ, გამოხატონ შეხედულებები, მაგრამ ეს შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ რამდენიმე რჩეულ მოსწავლეს. არჩევენ მოსწავლეებს, რომლებიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ – მომხიბლავს, კარგად აღზრდილს, ჭკვიანს, ენერგიულს ან აკადემიურად წარმატებულს. დანარჩენი მოსწავლეების ხმა არ ისმის.

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა რეალური / ნამდვილი მონაწილეობა?

მოსწავლეთა მონაწილეობა **მნიშვნელოვანია**, რადგან ის ყველას აძლევს საშუალებას, იყოს **მნიშვნელოვანი**. მისი საშუალებით იქმნება ბუნებრივი გარემო, სადაც შეიძლება სწავლა, შეცდომების დაშვება (მათ გამო ბრალდებების მოსმენისა და დადანაშაულების შიშის გარეშე), თვითრწმენის გამყარება და მიკუთვნებულობისა თუ თვითრეალიზების საჭიროების დაკმაყოფილება. ამგვარ მონაწილეობით გარემოში მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები აუმჯობესებენ მოსწავლეებთან ურთიერთობას და, ამავე დროს, ყალიბდება სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის უფრო დადებითი გამოცდილებები.

რა შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა მონაწილეობის შედეგად?

მოსწავლეთა მონაწილეობა აკადემიური კვლევის საგანია არაერთ ქვეყანაში, რადგან მასწავლებლებს, სკოლის ხელმძღვანელებსა და მშობლებს უნდათ იცოდნენ ამ მოდელის ზემოქმედება თითოეულ დაინტერესებულ მხარეზე. მონაწილეობა მოითხოვს ქცევისა და ჩვევების ცვლილებას, დამატებით ძალისხმევას სასკოლო თემის წევრებისგან. შესაბამისად, პირველივე კითხვა ასე ჟღერს: ღირს თუ არა შედეგი ამხელა შრომად. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს შემდეგს:

- სასკოლო თემის ინტეგრაცია
- ინფორმაციის ურთიერთგაზიარების გაუმჯობესება
- აქტიური წვლილი სასკოლო ცხოვრებაში
- სასკოლო წესების უკეთესი განხორციელება
- უსაფრთხოების მზარდი განცდა
- სკოლის თემის ინტეგრაცია ადგილობრივ თემთან
- მნიშვნელოვნების განცდა (რომ გამჩნევენ და მნიშვნელოვანი ხარ)
- ნიჭის / შესაძლებლობების განვითარება
- სკოლისა და ზრდასრულებისადმი ნდობის გაძლიერება
- დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის სწავლა
- კომპეტენციის განვითარება

ზემოხსენებულ (დახვეწა-გაუმჯობესებისკენ გადადგმულ) ნაბიჯებს ახლავს აკადემიური შედეგების, დისციპლინის გაუმჯობესება და ადგილობრივი თემის თვალში სკოლის რეპუტაციის ამაღლება. სწორედ ამიტომ მოსწავლეთა რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფა ღირს დროდ და ძალისხმევად, რომელიც მასწავლებლებმა და სკოლის ხელმძღვანელებმა უნდა გაიღონ.



მოსწავლეთა მონაწილეობა – პრაქტიკული რჩევები სკოლის ლიდერებისთვის

სკოლის დემოკრატიული მმართველობის კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დირექტორისა და სკოლის თვითმმართველი სუბიექტების თანამშრომლობას. აღნიშნულ სუბიექტებს შორის უფლება-მოვალეობითი თუ ფუნქციური ქმედებების ერთ-ერთ ძირითად აქტორს სწორედ მოსწავლე წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც კვლევებიც ადასტურებს, სკოლაში არა მხოლოდ ფორმალური, არამედ ქმედითი მონაწილეობითი პრაქტიკის დანერგვა-წახალისება იძლევა ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდის შესაძლებლობას. ამასვე უსაზღვრავს სკოლას ძირითად ორიენტირად ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიც.

ცხადია, მოსწავლეთა მონაწილეობის პრაქტიკის მყარად დანერგვა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა ეს ნამდვილად ღირებული ინვესტიციაა, ვინაიდან მნიშვნელოვან სარგებელს სკოლის დირექტორიც იღებს მონაწილეობით კულტურაზე ორიენტირებული გარემოდან:



მოსწავლეები შეიძლება ნამდვილ პარტნიორებად იქცნენ სკოლის მართვის საქმეში. სკოლის დირექტორს, როგორც ხელმძღვანელს, ძალიან საპასუხისმგებლო როლი აკისრია, რადგან სკოლაში ძალიან ბევრი პარალელური პროცესი მიმდინარეობს, რომელშიც უამრავი ხალხია ჩართული. რაც მთავარია, მოულოდნელი და გადაუდებელი შემთხვევები ყოველ დღე ხდება და ისინიც ყურადღებას მოითხოვს. როცა მოსწავლეები ფიქრობენ, რომ რაც სკოლაში ხდება მხოლოდ დირექტორის ნება არ არის, არამედ ერთობლივი ინიციატივის, მათთან თანამშრომლობისა და კონსულტაციის შედეგია, პატარ-პატარა პასუხისმგებლობებს თვითონაც იზიარებენ და შესაბამის ელემენტებს არეგულირებენ, რაც სკოლას უფრო ფართო სურათსა და სტრატეგიულ საჭიროებებზე ფოკუსირების საშუალებას აძლევს.

მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლის საკუთრებას მოუარონ. მკაცრი წესები, კონტროლი და სადამსჯელო ღონისძიებები ვერ იცავს სკოლის კედლებს, ავეჯსა და ინვენტარს. როცა მოსწავლეები მონაწილეობენ საკლასო ოთახების, დერეფნების, სათამაშო მოედნების, სპორტული დარბაზებისა და სხვა ადგილების კეთილმოწყობა-ათვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა გარემოსთან, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. ეს გრძნობა ცვლის მათ დამოკიდებულებას სკოლის საკუთრებასთან – მეტად ზრუნავენ, იცავენ, რეაგირებენ, როცა ხედავენ დაზიანების მცდელობას და ფიქრობენ მის გაუმჯობესებაზე. დირექტორის მხრიდან კონტროლისა და ხარჯების საჭიროება იკლებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სწავლის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. დირექტორს, როგორც საგანმანათლებლო ლიდერს, საკვანძო როლი აკისრია სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვაში. მასწავლებლებს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე უდიდესი გავლენა აქვთ. თუმცა სწორედ მოსწავლეები წარმოაჩენენ ყველაზე უკეთ, თუ რომელი მეთოდი და მიდგომა მუშაობს და რა არის გასაუმჯობესებელი. ეს მოხდება, თუ უკუკავშირის პროცესი ღია, გამჭვირვალე და მონაწილეობითია (მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს) და თუ ინფორმაცია გამოიყენება გაუმჯობესებისთვის – არა ბრალდებებისთვის.

მოსწავლეებს შეუძლიათ, გაზარდონ სკოლაში უსაფრთხოების ხარისხი. დირექტორი პასუხისმგებელია უსაფრთხო გარემოს შექმნაზე სკოლის ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მაგრამ მას არ შეუძლია, ყველაფერი დაინახოს და ყველა დაიცვას. თუ მოსწავლეს უყურებენ არა როგორც პრობლემების შემქმნელს, არამედ როგორც პარტნიორს უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირების პროცესში, მას შეუძლია დირექტორს პრობლემური ასპექტების შესახებ საკუთარი თვალთახედვა და ცოდნა პრევენციულად გაუზიაროს, შესთავაზოს გამოსავალი და, საბოლოოდ, სასკოლო უსაფრთხოების განმაპირობებლად იქცეს.

მოსწავლეებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სკოლის დირექტორი წარმოადგენს სკოლას ადგილობრივ თემში, თითოეული მოსწავლე, თავის მხრივ, სკოლისა და თემის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. სკოლის შესახებ საერთო შეხედულება ფორმირდება სწორედ სხვადასხვა მოსწავლის მონათხრობზე, მათ კეთილდღეობასა და მიღწევებზე დაყრდნობით. სხვადასხვა ინიციატივის, სამოხალისეო აქტივობის ან სათემო მომსახურების პროექტების საშუალებით, მოსწავლეებს შეუძლიათ ადგილობრივ თემში სკოლის მნიშვნელობა გაზარდონ; მათ, ასევე, შეუძლიათ რჩევების შემოთავაზება, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს სკოლამ თემის სხვადასხვა აქტორთან.

სკოლის დირექტორის როლი მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობაში

მოსწავლეთა თანამონაწილეობითი მართვის პრინციპების რეალიზაციისა და, ზოგადად, სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართვის მიზნით, შევიმუშავებთ სასკოლო პოლიტიკის იმგვარ მეთოდოლოგიას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ჩართულობა პოლიტიკის განხორციელების ყველა ეტაპზე;

ყველა ქვემოთ მოცემული უფლებამოსილება ეფუძნება დირექტორის პროფესიულ სტანდარტსა და ზოგადი განათლების შესახებ კანონს.

დირექტორი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას; (დპს – მ.4 ა.ბ)
- უზრუნველყოფს ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ მხარდამჭერ საგანმანათლებლო პრაქტიკას სასკოლო საზოგადოებისათვის; (დპს – მ.9.2.4)
- უზრუნველყოფს სკოლის დოკუმენტების შემუშავებაში (სტრატეგიული მიზნების, მისიის, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმების და ა.შ.) სასკოლო საზოგადოების, მათ შორის, მოსწავლეების, მონაწილეობას; (დპს – მ. 6)
- ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც წაახალისებს გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და მოსწავლეთა თანამონაწილეობას სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა); (დპს – მ. 2 ა, დპს – მ.8.3.2)
- მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში (კზგშ მ.43) და უზრუნველყოფს კურიკულუმის, მათ შორის ექსტრაკურიკულარული აქტივობების, შემუშავება/გადასინჯვის პროცესში მოსწავლეების მონაწილეობის პრაქტიკის დანერგვას;
- წარმართავს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობ სასკოლო პოლიტიკას.

საჭიროებების იდენტიფიცირება

მოსწავლეთა ნამდვილი მონაწილეობის ზრდისკენ ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად, პირველ ეტაპზე, საჭიროა განსაზღვროთ, თუ რა მდგომარეობაა სკოლაში ამ მიმართულებით, გთავაზობთ ინსტრუმენტს, რომელიც დაგეხმარებათ მდგომარეობის ანალიზსა და თვითშეფასებაში. როგორ განვსაზღვროთ საჭიროებები დემოკრატიული მმართველობის, კერძოდ, მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით? გთავაზობთ 2 ინსტრუმენტს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ორივე, ან შეარჩიოთ თქვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

საჭიროებების იდენტიფიცირების ინსტრუმენტი 1

რამდენად ჩართულები არიან მოსწავლეები ქვემოთ მოცემულ პროცესებში, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში?

	მიმართულებები	დონეები					სამოქმედო მიზანი
		1	2	3	4	5	
კოლეგიალური ორგანოების საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა	სამეურვეო საბჭო						
	მოსწავლეთა თვითმმართველობა						
	დისციპლინური კომიტეტი						
გეგმების შედგენაში მოსწავლეთა მონაწილეობა	სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა						
	სკოლის სამოქმედო გეგმა						
	შინაგანაწესი						
	ბიუჯეტი						
	სასწავლო გეგმა						
	არაფორმალური განათლების აქტივობების გეგმა						
თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა	თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა						
მასწავლებელი	მასწავლებელთა მიერ სასკოლო საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდამჭერი აქტივობები						
მშობელი	მშობელთა მიერ სასკოლო საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდამჭერი აქტივობები						

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• რა უპირატესობა აქვს სკოლას? • რა მიმართულებით აქვს წარმატებული პრაქტიკა? • რა რესურსები აქვს?	• რა უნდა გამოასწოროს სკოლამ? • რა მიმართულებით აქვს წარუმატებელი პრაქტიკა? • რა სირთულეებია სასკოლო პრაქტიკაში? • რა რესურსები არ აქვს?
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს სასკოლო პრაქტიკა? • რომელმა ფაქტორებმა შეიძლება იქონიოს დადებითი გავლენა სასკოლო პრაქტიკაზე?	• რა მიმართულებით შეიძლება შეფერხდეს სასკოლო პრაქტიკა? • რომელმა ფაქტორებმა შეიძლება იქონიოს უარყოფითი გავლენა სასკოლო პრაქტიკაზე?

პრიორიტეტების განსაზღვრა – დაგეგმვის ინსტრუმენტი[1]

მას შემდეგ რაც გააკეთეთ მდგომარეობის ანალიზი და თვითშეფასება და ძლიერი და სუსტი მხარეების ინდენტიფიცირება მოახდინეთ, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული დაგეგმვის ინსტრუმენტი, რათა განსაზღვროთ სამომავლო ქმედებები და აქტივობები. დაგეგმარებაში ასევე დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული ქმედებები, შემთხვევები და მაგალითები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ როგორც რესურსი ან ინსპირაციის წყარო გეგმის შედგენის პროცესში.

მიზანი 1						
	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების პერიოდი	მონაწილე /პარტნიორი	ბიუჯეტი	შედეგი/ ინდიკატორი	მონიტორინგი / გადასინჯვა
ამოცანა1						
ღონისძიება 1.1.						
ღონისძიება 1.2.						
მიზანი 2						
ამოცანა 2						
ღონისძიება 2.1.						
ღონისძიება 2.2.						

1 დაგეგმვის შესახებ დამატებითი ინსტრუქციები იხ. გვ. 46

მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი ქმედებები:

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა

- სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხის მნიშვნელოვნების გაცნობა და ცნობიერების ამაღლება;
- მოწყვლადი ჯგუფების (სსსმ, შშმ, იგპ, ეთნიკური უმცირესობა, გენდერული ნიშნით, სოციალური ნიშნით და სხვა) საჭიროებების ანალიზი და მათი ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით სკოლის საქმიანობის თვითშეფასების ჯგუფის შექმნა და ხელმძღვანელობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირება – (კზგშ მ.43) სკოლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი თანხის განკარგვის ასპექტების შეთანხმება მოსწავლეთა საზოგადოებასთან / მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის განვითარების სტრატეგიის შემუშავების/გადასინჯვის პროცესში, მოსწავლეთა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოსწავლეთა გამოკითხვა;
- სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების/გადასინჯვის პროცესში საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა მოსწავლეთა თვითმმართველობისა თუ მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებთან;
- სკოლის შინაგანაწესის გადასინჯვა მოსწავლეთა მონაწილეობით; (კზგშ მ.43)
- მოსწავლეთა ჩართულობით, უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შემუშავება.
- სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას (კზგშ მ.43) – მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების ერთ-ერთ საკითხად განსაზღვრა;
- სამეურვეო საბჭოს წევრი მოსწავლის როლის გაძლიერება, საბჭოს შეხვედრაზე მისთვის სპეციალური „მოსწავლის ხმა “დროის გამოყოფა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების საინიციატივო პაკეტის შემუშავება.



ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა

- მოსწავლეთა როლის გაძლიერება სასწავლო მეთოდების შერჩევასა და სწავლა-სწავლების პროცესში მათი ჩართულობით
- სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი აქტივობების ასახვის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება (კზგშ მ.45);
- მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით, სკოლის არაფორმალური განათლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და დანერგვა.
- მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება და ურთიერთანამშრომლობითი შეხვედრების ორგანიზება.

- სათემო საზოგადოებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეთა თვითმმართველობის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სამოქალაქო აქტივიზმის უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე ზრუნვა;
- სათემო საზოგადოებაში მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით, მოსწავლეთა მონაწილეობის ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიის ხელშეწყობა;
- თემის წევრებისათვის სასკოლო სივრცით სარგებლობის პრაქტიკის დამკვიდრება;
- სათემო საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, თემთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით;
- თემში არსებული სხვადასხვა ტიპის (სამთავრობო, არასამთავრობო/საზოგადოებრივი, კერძო, ჯანდაცვის ადგილობრივი ცენტრები, სპორტდარბაზები, ბიბლიოთეკები, საქველმოქმედო ფონდები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები) ორგანიზაციების იდენტიფიცირება და, მოსწავლეთა ჩართულობით, მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა.

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას; (დპს – მ.4 ა.ბ)

<u>ქმედებები:</u>

ქმედება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხის მნიშვნელოვნების გაცნობა და ცნობიერების ამაღლება;



<u>შემთხვევა – საერთო სასკოლო შეხვედრა</u>

ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობის მიზნით, სასკოლო საზოგადოებასთან – პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა – საერთო შეხვედრის ფორმატში წარადგინა პრეზენტაცია, რომელშიც მკაფიოდ იყო ახსნილი/განმარტებული სკოლის დემოკრატიულ კულტურაში მოსწავლეთა მონაწილეობის მნიშვნელობა და ის სარგებელი, რომელსაც სკოლა ამგვარი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებით იღებს. ამავე პრეზენტაციაზე მოხსენებით წარდგა სკოლის

თვითშეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც ასევე აქცენტი გააკეთა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მონაწილეობის პრაქტიკაზე და გამოკვეთა პრობლემური/გასაუმჯობესებელი მხარეები და იქვე საუკეთესო პრაქტიკებსაც შეეხო. სხდომის დასასრულს, დირექტორმა შესთავაზა დამსწრე აუდიტორიას, შექმნან შერეული (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი) საინიციატივო ჯგუფები, რათა მათ მოსწავლეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმაზე იმუშაონ. იქვე, აღნიშნული ინიციატივის კოორდინირებისათვის, განისაზღვრა დირექტორის მოადგილე, რომელმაც პირველ ეტაპზე, სასკოლო საზოგადოებასთან ინტენსიური თანამშრომლობის ფარგლებში, საინიციატივო ჯგუფების შემადგენლობების განსაზღვრა-წარდგენაზე აიღო პასუხისმგებლობა.

შემთხვევა – სკოლის ფეისბუქგვერდისთვის ინფორმაციის მომზადება

ერთ-ერთმა სკოლამ საკუთარ პრაქტიკაში არსებული სასკოლო ინიციატივების, პროექტების, კლუბების მუშაობისა თუ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმირების გაზრდის მიზნით, შექმნა სასწავლო-საგანმანათლებლო ფუნქციის ბლოგი. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებისა და მასწავლებლების თანამშრომლობის საფუძველზე, შეთანხმდნენ რუბრიკებისა და მსხვილი თემატური მიმართულებების შესახებ. ბლოგზე ავტორის სტატუსით თანამშრომლობის შესაძლებლობა მიეცა საბაზო-საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს. იქვე შეთანხმდნენ, რომ წლის ბოლოს საკონკურსო ჟიურის, რომელიც მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლისგან შედგებოდა, უნდა გამოევლინა აქტიური კლასი, საინტერესო სასწავლო-საგანმანათლებლო მასალა, აქტუალური ტექსტის ავტორი და ა.შ.

*<u>პრაქტიკული რჩევები – მოსწავლეთა მხრიდან ინფორმაციის / უკუკავშირის მიწოდების ხელშეწყობა (ინსტრუმენტი **ა** და **ბ**);</u>*

სასკოლო საზოგადოებისათვის – მოსწავლეებისათვის – სკოლის ორგანულ ნაწილად საკუთარი თავის მოაზრება და მათი მონაწილეობითი პრაქტიკის წახალისება სასკოლო რეგულაციათა, მათ უფლება-მოვალეობათა და პასუხის-მგებლობათა გააზრებითა და ამ ღირებულებების გაზიარებით იწყება.



1-ელი ნაბიჯი

მნიშვნელოვანია, დირექცია / სამეურვეო საბჭო, სამუშაო ჯგუფის ფარგ-ლებში, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს შეხვდეთ მათთვის ოპტი-მალურ დროს.

მე-2 ნაბიჯი

სამუშაო შეხვედრისთვის, სასურველია, მოამზადოთ შესაბამისი თვალსა-ჩინოება, რომელზეც, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან და სასკოლო კულტურისათვის ფუნდამენტურ რეგულაციებს დაიტანდით, რათა შეხვედრის შედეგი გაცილებით ნაყოფიერი იყოს.

მე-3 ნაბიჯი

სისტემატიზაციისა და სტრუქტურირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნება, წარდგენისას – მათ შორის, სლაიდშოუზე – მკაფიოდ იყოს გამიჯნული უფლებებისა და მოვალეობა-პასუხისმგებლობების ნაწილი. ეცადეთ, ამომწუ-რავად უპასუხოთ მათ შეკითხვებს და მოინიშნოთ კრიტიკული შენიშვნები.

მე-4 ნაბიჯი

შემდეგ ეტაპზე როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით გადაეცით შესა-ბამისი დოკუმენტაცია და სთხოვეთ, მოემზადონ მოსწავლეთა საზოგადოების ინფორმირებისათვის. მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა მზადებას კოორდინაციას უწევდეს თქვენ მიერ სპეციალურად ამ აქტივობისთვის გამოყოფილი უფლება-მოსილი პირი.

მე-5 ნაბიჯი

ამ ეტაპზე, დირექტორის მოადგილის მეშვეობით, გააკეთეთ საბაზო და საშუ-ალო საფეხურის კლასების დამრიგებელთა საგაკვეთილო რუკა, რომელიც დაგანახებთ მათ გრაფიკში თავისუფალ დროის შუალედს (ე.წ. ფანჯარას) და, სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად, შეიმუშავეთ მათი ტრენინგების შესაძლო სამუშაო გრაფიკი. ცხადია, თვითმმართველობის წევრების მიერ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრას ამა თუ იმ კლასთან უნდა ესწრებოდეს ამ კლასის დამრიგებელიც.

მე-6 ნაბიჯი

თვითმმართველობის წევრ მოსწავლეებთან ერთად, შეიმუშავეთ ფორმა/ ფორმები, რომლებითაც მოსწავლეთა საზოგადოება შეძლებს წარდგენილ მასალაზე უკუკავშირის დაბრუნებას – იქნება ეს დოკუმენტებთან დაკავშირებული მოსაზრებები თუ პრეზენტაციის გამართვასთან დაკავშირებული კრიტიკული შენიშვნები. (ინსტრუმენტი 1)

მე-7 ნაბიჯი

ამ ეტაპზე მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა უნდა დაამუშაონ მიღებული უკუკავშირის დოკუმენტაცია და მოამზადონ წინასწარ შეთანხმებული ფორმატით ანგარიში. (ინსტრუმენტი 2)

მე-8 ნაბიჯი

პასუხისმგებლობის განვითარებისა და სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს დაესწროთ დირექცია და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები.

ინსტრუმენტი ა

გაზიარებული ინფორმაცია	ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნევ	ეს ჩანაწერი/მოსაზრება არ მომწონს, რადგან	ვისურვებდი, დამატებოდა/ შეცვლილიყო	კომენტარი
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

ინსტრუმენტი ბ

დასამუშავებლად შეთავაზებულ დოკუმენტაციაში შესატანი ცვლილებების ანგარიში

თემა	**დასამუშავებლად შეთავაზებულ დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერი**	**შემოთავაზებული ვერსია / ახალი ჩანაწერი**	**კომენტარი**
1.მოსწავლეთა უფლებები			
2.მოსწავლეთა ვალდებულებები			
3.სხვა რეგულაციები			
4.			
5.			
6.			

როლი – უზრუნველყოფს ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ მხარდამჭერ საგანმანათლებლო პრაქტიკას სასკოლო საზოგადოებისათვის; (დპს – მ.9.2.4)

<u>ქმედებები:</u>

ქმედება მოწყვლადი ჯგუფების (სსსმ, შშმ, იგპ, ეთნიკური უმცირესობა, გენდერული ნიშნით, სოციალური ნიშნით და სხვა) საჭიროებების ანალიზი და მათი ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

შემთხვევა – სკოლის საზოგადოების „მრავალფეროვნების“ ანალიზი

ერთ-ერთი სკოლის დირექციამ ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული მხარდამჭერი საგანმანათლებლო პრაქტიკის ფარგლებში, გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მოკვლევა სხვადასხვა ნიშნის (სსსმ, სოც. ასპექტი, ეთნიკური, გენდერული, რელიგიური და ა.შ. ასპექტი) მოსწავლეების საჭიროებების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. სასკოლო საზოგადოების ინიციატივით, დაკომპლექტდა საინიციატივო / კვლევითი ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრების შემადგენლობით. მომდევნო ეტაპზე, დირექტორის აქტიური მხარდაჭერით, კვლევითმა ჯგუფმა, საჭიროებების მოკვლევის მიზნით, აწარმოა ინტერვიუები და ჩაატარა ფოკუსჯგუფები მოსწავლეებთან და მშობლებთან. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ეტაპზე, სამეურვეო საბჭოსთან ერთად, მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, განისაზღვრა პრიორიტეტული ასპექტები და დაისახა შესაბამის სამოქმედო გეგმაში.

ინსტრუმენტი – სკოლის საზოგადოების მრავალფეროვნების ანალიზი

სამიზნე ჯგუფი	**რაოდენობრივი მაჩვენებლები**	**საჭიროებები**	**სტატუსი**	**აქტივობა/ ინტერვენცია**	**მატერიალური რესურსი**
სსსმ მოსწავლეებთან		**სჭ.1** **სჭ.2**			
ეთნიკური უმცირესობა					
გენდერული ასპექტი					
სოციალური ასპექტი					
....					

როლი – უზრუნველყოფს სკოლის დოკუმენტების შემუშავებაში (სტრატეგიული მიზნების, მისიის, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმების და ა.შ.) სასკოლო საზოგადოების, მათ შორის, მოსწავლეების, მონაწილეობას. (დპს – მ. 6)

<u>ქმედებები:</u>

ქმედება – სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით, სკოლის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა და ხელმძღვანელობა;

<u>პრაქტიკული რჩევები – მონიტორინგის ჯგუფი</u>

1-ელი ნაბიჯი

დირექტორის მიერ მონიტორინგის ჯგუფის დაკომპლექტება მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის შემადგენლობით. მათ მიერ სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზი – ჯგუფი შეიმუშავებს პირველად ანგარიშს, რამდენად არის ასახული მოსწავლეთა მონაწილეობა მათ მიერ შესწავლილ დოკუმენტებში.



მე-2 ნაბიჯი

მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება პედაგოგიურ საბჭოსთან – სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების მხრიდან გამოვლენილი ინიციატივებისა და აქტივობების ანალიზი. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი, კურიკულუმით გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი აქტივობები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები.

მე-3 ნაბიჯი

მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება დამრიგებლებთან – მოსწავლეთა პროაქტიული ქცევების ანალიზი, მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის შემთხვევების იდენტიფიცირება.

მე-4 ნაბიჯი

ჯგუფის მიერ მშობელთა გამოკითხვისათვის კითხვარების შემუშავება და პროცესის წარმართვა – როდის, როგორ, სად, ჩართულობის რა ხარისხით მონაწილეობს თქვენი შვილი სასკოლო ცხოვრებაში.

მე-5 ნაბიჯი

ჯგუფის მიერ მოსწავლეთა ჯგუფებთან შეხვედრა – ფოკუსჯგუფების ჩატარება, თვისებრივი მონაცემების შეგროვება და სისტემატიზაცია.

მე-6 ნაბიჯი

ამ ეტაპზე ჯგუფი აანალიზებს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მონაცემებს, ახარისხებს და ქმნის ერთიან ბაზას.

მე-7 ნაბიჯი

მონიტორინგის ჯგუფი მიღებული შედეგების შესახებ ამზადებს ანგარიშს დირექტორისთვის, რომელიც, მოცემულ კვლევაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, შეიმუშავებს მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის განვითარების პროგრამას (შესაბამისი ბიუჯეტით) და წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.

ქმედება – მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად სამოქმედო გეგმის შემუშავება.



<u>შემთხვევა – სამოქმედო გეგმის შექმნაში მოსწავლეთა მონაწილეობის პრაქტიკა</u>

ერთ-ერთ სკოლაში, მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, დირექტორის აქტიური ჩართულობით, დაიგეგმა მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის წახალისების სამოქმედო გეგმა. სკოლის ადმინისტრაცია საწყის ეტაპზე შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს – მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი – და, მათთან კონსულტაციების შედეგად, მომზადდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. შემდეგ ეტაპზე მომზადებული მოდელი უკუკავშირისათვის მიეწოდა მოსწავლეთა თვითმმართველობას, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად განსახილველად. ამის შემდგომ კი მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ რეკომენდაციებით დაბრუნებული ვერსია გადამუშავდა და წარედგინა სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. სამეურვეო საბჭოზე საკითხი წარადგინა თავად მოსწავლე წევრმა.

ქმედება – მონაწილეობითი ბიუჯეტირება – (კზგშ მ.43) სკოლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი თანხის განკა-

რგვის ასპექტების შეთანხმება მოსწავლეთა საზოგადოებასთან / მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;



<u>პრაქტიკული რჩევები – მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის აღწერა</u>

1-ელი ნაბიჯი

მოსწავლეებთან შეხვედრების გამართვა და ინფორმირება მათი საჭიროებების სკოლის ბიუჯეტში ასახვის შესაძლო მექანიზმების შესახებ, მათი იდეების შეგროვება;

მე-2 ნაბიჯი

დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს მიერ რეკომენდაცია მიეცეს მოსწავლე წევრს, უშუალოდ საბჭოს სხდომაზე ბიუჯეტის განხილვამდე მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით მოეწყოს მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი თანხისა და დასაბუთების განხილვა და გამზადდეს მოსწავლეთა რეკომენდაციები, რომლებსაც წევრი წარმოადგენს უშუალოდ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე;

მე-3 ნაბიჯი

სკოლის ბიუჯეტში მოსწავლეთა ინიციატივებისთვის თანხის გამოყოფა;

მე-4 ნაბიჯი

სკოლის ბიუჯეტში მოსწავლეთა ინიციატივებისთვის გამოყოფილი თანხის – კონკურსის საფუძველზე გაცემის გამჭვირვალე პროცედურის შექმნა, წესის შემუშავება;

მე-5 ნაბიჯი

სკოლის ბიუჯეტში მოსწავლეთა ინიციატივებისთვის არსებული თანხისა და მისი მოპოვების პროცედურების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება;

მე-6 ნაბიჯი

მოსწავლეთა იდეების/პროექტების კონკურსის განხორციელება.

ქმედება – სკოლის განვითარების სტრატეგიის შემუშავების/გადასინჯვის პროცესში, მოსწავლეთა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოსწავლეთა მოსაზრებების შესწავლა;

ქმედება – სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების/გადასინჯვის პროცესში საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა მოსწავლეთა თვითმმართველობისა თუ მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებთან;

ქმედება – სკოლის შინაგანაწესის გადასინჯვა მოსწავლეთა მონაწილეობით; (კზგშ მ.43)

<u>პრაქტიკული რჩევები – სკოლის შინაგანაწესის განახლება</u>[2]

დისციპლინური კომიტეტი აანალიზებს წლის განმავლობაში დაფიქსირებული დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებს;

2 იხ. პროექტი https://tinyurl.com/3h9xuxj5



1-ელი ნაბიჯი

დისციპლინური კომიტეტი ამზადებს და აცნობს სასკოლო საზოგადოებას საინფორმაციო წერილს სკოლაში დისციპლინური გადაცდომების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე;

მე-2 ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობა ავრცელებს საინფორმაციო წერილს კლასებში;

მე-3 ნაბიჯი

დისციპლინური კომიტეტი აწარმოებს მოსწავლეების ანონიმურ გამოკითხვას – რა უნდა შეიცვალოს სკოლაში დისციპლინის საკითხის გასაუმჯობესებლად?

მე-4 ნაბიჯი

დისციპლინური კომიტეტი ამზადებს, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლის შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების პაკეტს;

მე-5 ნაბიჯი

სკოლის შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების პაკეტის საჯაროდ გამოქვეყნება – დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებისთვის ვადისა და კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრა (საჯარო განხილვები, მოსაზრებების ელექტრონულად გამოგზავნა);

მე -6 ნაბიჯი

სკოლის განახლებული შინაგანაწესის პროექტის წარდგენა დირექტორისა და სასკოლო საზოგადოებისთვის;

მე-7 ნაბიჯი

სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან აღნიშნული დოკუმენტის განხილვა-ანალიზი;

მე-8 ნაბიჯი

საბოლოო დოკუმენტის დამტკიცება შესაბამისი წესით.

ქმედება – უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შექმნა მოსწავლეთა ჩართულობით.

<u>პრაქტიკული რჩევები – უსაფრთხო სკოლის კონცეფცია</u>[3]

მოსწავლეების მიერ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად საკუთარი თავის მოაზრებისა და, ზოგადად, სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი გარანტი უსაფრთხო, ემოციური თუ ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს შექმნაა. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, სკოლამ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას:

1-ელი ნაბიჯი

უსაფრთხო სკოლის იდეაზე ფიქრისა და მოქმედების საწყის ეტაპად სამივე საფეხურის კლასების დამრიგებლებთან სამუშაო შეხვედრის ჩანიშვნა, რათა მათ მოამზადონ თავიანთი კლასები უსაფრთხოების თემატიკაზე სასაუბროდ და მიაწოდონ ინფორმაცია ძალადობის ტიპებისა და მახასიათებლების შესახებ. აღნიშნული კი გაუმარტივებს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს პროცესში მონაწილეობას.

3 უსაფრთხო სკოლის კონცეფციისა და საფრთხის დონეების შესახებ, იხ. https://tinyurl.com/3kpkw5y6



მე-2 ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი (მაგ. მანდატური) შეხვდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს და მათთანაც ისაუბროს სასკოლო სივრცეში ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოვლინებების შესახებ და მოისმინოს მათი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით.

მე-3 ნაბიჯი

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შესაბამისი სპეციალისტის შერჩევა, რომელსაც მოიწვევთ ძალადობასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსწავლეთა თვითმმართველობასა და პედაგოგიურ საბჭოსთან სასაუბროდ, აღნიშნული სამუშაო შეხვედრის მიზანი უნდა იყოს როგორც თავად მოსწავლეთა ინფორმირება და მახასიათებლების გაცნობა, ისე ძალადობის საწინააღმდეგო პრევენციის სტრატეგიებში მათი გაწაფვა. აქვე, ტრენერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მსმენელებმა – მოსწავლეებმა – სამომავლოდ თავად უნდა ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები დანარჩენ კლასებთან.

მე-4 ნაბიჯი

ამ ეტაპზე, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთა აქტიური ჩართულობით, შეგროვდება სკოლაში ძალადობის და დისკრიმინაციის ფორმებთან და შემთხვევებთან დაკავშირებული გამოცდილება. აღნიშნული მონაცემების შეგროვება, რა თქმა უნდა, ანონიმურობის სრული დაცვით განხორციელდება. დამრიგებლების, მოსწავლეებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეიქმნება ანკეტირების ინსტრუმენტი. (ინსტრუმენტი ა)

მე-5 ნაბიჯი

მიღებული მონაცემების დამუშავება-ინტერპრეტირებისათვის შეიქმნება მოსწავლის (მოსწ. თვითმმართველობა თავად აირჩევს წარმომადგენელს), მშობლისა და მასწავლებლის ჩართულობით სპეციალური ჯგუფი.

მე-6 ნაბიჯი

მონაცემების დამუშავების შედეგად, განისაზღვრება აღნიშნული კონკრეტული სკოლისთვის ტიპური ძალადობრივი კონტექსტის შემთხვევები. შესაბამისად, გამოვლინდება სკოლის მხარდაჭერის არეალი და შესაძლებლობები. მიღებული მონაცემების საფუძველზე, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ინდივიდუალური შეხვედრა-განხილვების შედეგად, მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შემუშავდება კონფლიქტების მართვისა და მონიტორინგის სასკოლო კონცეფცია. (ინსტრუმენტი ბ)

მე-7 ნაბიჯი

ამ ეტაპზე წარმოდგენილი კონცეფცია განიხილება საერთო სხდომაზე, რომელზეც დაესწრება ყველა წარმომადგენლობითი ორგანო და გაიმართება საერთო დებატები და განხილვა.

მე-8 ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის მიერ, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის დაიგეგმება რეგულარული შეხვედრები უსაფრთხო სკოლის კონცეფციასთან დაკავშირებით. შეხვედრებზე დეტალურად იქნება მიწოდებული და განხილული ინფორმაცია საფრთხის ტიპებისა და მათზე რეაგირების მექანიზმების / პროცედურების შესახებ.

ინსტრუმენტი ა

ძალადობის/დისკრიმინაციის/ კონფლიქტის შემთხვევა (როგორც თავს გადახდენილი, ისე რომელსაც შეესწარით)	თქვენი აზრით, განმაპირობებელი ფაქტორი	ძალადობის ფორმა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, უგულებელყოფა და ა.შ.	კონფლიქტის მოგვარების თქვენეული ვერსია	რაში გჭირდებათ სკოლის მხარდაჭერა

ინსტრუმენტი ბ

ძალადობის ან დისკრიმინაციის ტიპური შემთხვევა	პრევენციის მექანიზმები	კონფლიქტის მართვა	პასუხისმგებელი პირი	მოსალოდნელი შედეგი

როლი – ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც წაახალისებს გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და მოსწავლეთა თანამონაწილეობას სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა); (დპს – მ. 2 ა, დპს – მ.8.3.2)

ქმედება – სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას (კზგშ მ.43) – მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების ერთ-ერთ საკითხად განსაზღვრა.

ქმედება – სამეურვეო საბჭოს წევრი მოსწავლის როლის გაძლიერება, საბჭოს შეხვედრაზე მისთვის სპეციალური „მოსწავლის ხმა“ დროის გამოყოფა.

<u>შემთხვევა – „მოსწავლის ხმა“ სამეურვეო საბჭოში</u>

ერთ-ერთ სკოლაში სამეურვეო საბჭოს წევრი მოსწავლის როლის გაძლიერების მიზნით, სამეურვეო საბჭომ და სკოლის დირექციამ გადაწყვიტეს, ყოველი სხდომისას გამოეყოთ სპეციალური დრო სამეურვეო საბჭოს წევრი მოსწავლისათვის, რათა მას მისცემოდა საშუალება, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია როგორც დღის წესრიგში წარმოდგენილი მიმდინარე საკითხების შესახებ, ასევე, გაეჟღერებინა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული სხვა წინადადებები. აღნიშნულმა შესაძლებლობამ აშკარად გააქტიურა როგორც

თავად მოსწავლე, ისე მკაფიო ანგარიშვალდებულებითი და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გაუჩინა სასკოლო საზოგადოების მიმართ თავად მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს. ამ პრაქტიკის დანერგვის შემდეგ მოსწავლეთა თვითმმართველობისა და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის საკომუნიკაციო სხვადასხვა არხი გაჩნდა, შექმნეს „ფეისბუქჩათი“, ვაიბერის „ინიციატივათა ყუთი“, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ სამეურვეო საბჭოს მოსწავლე წევრი ყოველთვის ნაყოფიერად იყენებდა მისთვის დათმობილ დროს და ნამდვილად ცვლიდა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს უკეთესობისაკენ. აღნიშნული მცირე ცვლილება, საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა მონაწილეობითი კულტურის გაზრდის მნიშვნელოვან სტიმულად იქცა.

ქმედება – მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების საინიაციატივო პაკეტის შემუშავება.

<u>პრაქტიკული რჩევები – საინიციატივო პაკეტი</u>



1-ელი ნაბიჯი

მოაწყვეთ ფოკუსირებული შეხვედრა (ინსტრუმენტი 1) სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად, სადაც განიხილავთ თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და საჭიროებებს.

მე-2 ნაბიჯი

ფოკუსირებულ შეხვედრაზე მონაწილე მოსწავლეთა ჯგუფთან ერთად ფოკუს ჯგუფის ძირითადი მიგნებები შეაჯამეთ და გამოყავით მთავარი პრიორიტეტები.

მე-3 ნაბიჯი

იდენტიფიცირებული პრიორიტეტების შესაბამისად, მოსწავლეთა ჯგუფთან ერთად შეიმუშავეთ რეალისტური რეკომენდაციები სკოლაში არსებული ადამიანური თუ ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეების ლიდერობით გაწერეთ განხორციელების გეგმა და პროცესში ჩართული მოსწავლეების როლები.

მე-5 ნაბიჯი

წარადგინეთ განხორციელების შედეგების პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოების წინაშე.

<u>1 ინსტრუმენტი – ფოკუსჯგუფი / ფოკუსირებული შეხვედრა</u>

გამხსნელი შეკითხვა – გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი თავი (სახელი, გვარი, კლასი) და გაგვიზიაროთ, როდის და როგორ დაინტერესდით მოსწავლეთა თვითმართველობის საკითხით?

შესავალი შეკითხვები – თქვენ როდის და რატომ ჩაერთეთ მოსწავლეთა თვითმართველობის საქმიანობაში? მთავარი მოტივაცია რა იყო?

გარდამავალი შეკითხვა – მოსწავლეთა თვითმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას როგორ იგებდით?

ძირითადი შეკითხვები

გთხოვთ, გაიხსენოთ, სკოლაში მოსწავლეთა თვითმართველობის ხელმძღვანელობით განხორციელებული ღონისძიების „საუკეთესო პრაქტიკა“. თქვენი აზრით, რამ განაპირობა მისი წარმატება?

გთხოვთ, გაიხსენოთ, სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელმძღვანელობით განხორციელებული ღონისძიების „უარესი“ პრაქტიკა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა მისი წარუმატებლობა?

რა მიგაჩნიათ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის ხელშემწყობ გარემოებად?

რა მიგაჩნიათ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის ხელშემშლელ გარემოებად?

შემაჯამებელი შეკითხვა

გთხოვთ, 1-დან 7-მდე სკალაზე შეაფასოთ ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა?

რატომ ფიქრობთ ასე?

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის გასაუმჯობესებლად?

რამეს ხომ არ დაამატებდით?

ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში (კზგშ მ.43) და უზრუნველყოფს კურიკულუმის, მათ შორის ექსტრაკურიკულარული აქტივობების, შემუშავება/გადასინჯვის პროცესში მოსწავლეების მონაწილეობის პრაქტიკის დანერგვას.

ქმედება – მოსწავლეთა როლის გაძლიერება სასწავლო მეთოდების შერჩევასა და სწავლა-სწავლების პროცესში მათი ჩართულობით

<u>შემთხვევა – მოსწავლეთა ჩართვა საგაკვეთილო პროცესში</u>

ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი მუდმივად ეცნობოდა თანამედროვე ლიტერატურას სკოლებში მონაწილეობითი კულტურისა და დაწესებულების დემოკრატიული განვითარების თაობაზე, ამასთანავე, მუდმივად ადევნებდა თვალ-ყურს საერთაშორისო შეფასებებს, რომელთა საფუძველზეც გაიაზრა, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეთა ნაკლები ინტერესი და მათთვის მოსაწყენი სასკოლო გარემოა.

დირექტორმა საგნობრივ კათედრებს შეკრება სთხოვა და აღნიშნული მიგნებები გაუზიარა, რის შემდეგაც გადაწყვიტა ჩაეტარებინა დისკუსია თემაზე – „როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ინტერესი სკოლის მიმართ?“. აქტივობაში მონაწილოებას იღებდნენ მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები. დასახელდა არაერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ასევე გამოითქვა მოსაზრებები მოსწავლეთა ინტერესების ზრდის თაობაზე.

საერთო ჯამში, მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ პირველ ეტაპზე ჩაეტარებინათ მოსწავლეთა გამოკითხვა, წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული კითხვარის გზით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ფოკუსჯგუფი ან/და ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის მიზანიც იქნებოდა, ანონიმურობის სრული დაცვით, მოსწავლეებისგან მიეღოთ ინიციატივები საკლასო აქტივობების, სწავლის მეთოდების, შესასრულებელი დავალების ფორმისა და აღნიშნულ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ფორმების თაობაზე, რათა მათი ინტერესი საგაკვეთილო პროცესის მიმართ გაზრდილიყო.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდა, რომ საგაკვეთილო

პროცესში მათ ჩასართავად მნიშვნელოვანი იყო, გაკვეთილი ყოფილიყო ინტერაქტიული, ახსნისას გამოყენებული ყოფილიყო ციფრული და სხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საკითხის შესახებ უფრო ცხად წარმოდგენას შეუქმნიდათ, ამასთანავე, მასწავლებლებს გამოეყენებინათ კონსტრუქციული უკუკავშირის მეთოდები.

სკოლის ადმინისტრაციამ მიღებული შედეგები გააცნო მასწავლებლებს და მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ გაეთვალისწინებინათ მიღებული სურვილები, ხოლო სემესტრის ბოლოს გაეზომათ მოსწავლეთა ჩართულობის ცვლილება, საგაკვეთილო პროცესში.

ქმედება – სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი აქტივობების ასახვის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება (კზგშ მ.45);

<u>შემთხვევა – აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობა</u>

ერთ-ერთ სკოლაში, დირექტორის ინიციატივით, ჩატარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვა „სასწავლო დანაკარგებისა“ და აკადემიური საჭიროებების მიმართულებით. მონაცემთა გაანალიზების საფუძველზე, ჩართული იყვნენ მოსწავლეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელი პრიორიტეტული მიმართულებები უნდა აერჩია სკოლას მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით. შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ასპექტი, რომლის შესახებაც სკოლამ შესთავაზა მოსწავლეებს სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისი: დაემატა სასწავლო გეგმას არჩევითი საგანი, ხოლო ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრებს დამატებითი გაკვეთილების ჩატარების რეკომენდაცია მიეცათ. აღნიშნული პროცესების განხორციელებიდან 3 თვის შემდეგ სკოლამ ჩაატარა მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კვლევა, რომელმაც ცალსახად აჩვენა არსებული პრობლემური მიმართულებით ხელშესახები პოზიტიური ძვრები – აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისა თუ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის თვალსაზრისით.

<u>პრაქტიკული რჩევები – სასწავლო გეგმის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის შექმნა და ამოცანები:</u>



1-ელი ნაბიჯი

სკოლის დირექციის მხარდაჭერით, მასწავლებლებმა აწარმოონ თავიანთი საგნის კურიკულუმის პრაქტიკაში რეალიზაციის შესახებ მოსწავლეთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგები წარმოადგინონ პედაგოგიურ საბჭოზე;

მე-2 ნაბიჯი

სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლებმა აწარმოონ მომავალი წლის საქმიანობის დაგეგმვისთვის მოსწავლეთა მოლოდინების გამოკითხვა და მოამზადონ ანგარიში;

მე-3 ნაბიჯი

მოსწავლეთა გამოკითხვების/მოლოდინების ანგარიშების საფუძველზე გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირება და მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესისთვის რეკომენდაციების განსაზღვრა და კათედრებს შორის გაზიარება;



მე-4 ნაბიჯი

სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრების მიერ მოსწავლეთა შეფასების კომპონენტების/ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტების განახლების პროცესში მათი მონაწილეობა.

ქმედება – სკოლის არაფორმალური განათლების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

<u>შემთხვევა – არაფორმალური განათლების სასკოლო საჭიროები</u>



არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერის მიზნით, ერთ-ერთი სკოლის დირექციამ ჩაატარა რიგი აქტივობებისა: დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სერვისების შესახებ გამოჰკითხა მშობლები და მოსწავლეები (უკუკავშირის შეგროვების მიზნით, შექმნა საკომუნიკაციო არხი – ელფოსტა). შემდეგ ეტაპზე მიეცა რეკომენდაცია მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომ ეწარმოებინა კონსულტაციები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან კურიკულუმს მიღმა არსებული საგნობრივი ინტერესების იდენტიფიცირებისათვის და მოემზადებინა ანგარიში, რომელსაც წარუდგენდა დირექტორს. მიღებული ანგარიშის მიხედვით, დირექციამ პედსაბჭოსთან მოთათბირების შემდეგ გამოყო 2 დამატებითი საგანი, რომელთა ე.წ. ფაკულტატურ საგნებად დამატებისათვის მიმართა სამეურვეო საბჭოს. დირექტორმა და სამეურვეო საბჭომ იმსჯელეს აღნიშნულ ცვლილებაზე, შეთანხმდნენ, რომ, მართალია მეორე სემესტრიდან, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო აღნიშნული მომსახურების შეთავაზება, თუმცა გადაწყდა, რომ მომავალი სასწავლო წლის ფარგლებში მოხერხდებოდა შეთავაზება. რაც შეეხება მოსწავლეებისა და მათი მშობლების სხვა სურვილებს, სკოლა შეთანხმდა, შეეთავაზებინა მოსწავლეებისათვის სხვადასხვა გამჭოლი კომპეტენციისა თუ საგნობრივი უნარის განვითარებაზე ორიენტირებული დამატებითი ფასიანი მომსახურება.

<u>პრაქტიკული რჩევები – არაფორმალური განათლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი</u>



1-ელი ნაბიჯი

აქტივობებზე მომუშავე ჯგუფის შექმნა და ამოცანების განსაზღვრა: ჯგუფის შემადგელობაში შეიძლება შედიოდნენ მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები.

მე-2 ნაბიჯი

მასწავლებლებმა აწარმოონ არაფორმალური აქტივობების პრაქტიკაში რეალიზაციის შესახებ მოსწავლეთა ყოველსემესტრული გამოკითხვა და ანგარიშის მომზადება;

მე-3 ნაბიჯი

სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმის დაგეგმვისთვის არაფორმალური აქტივობების თემატიკაზე მოსწავლეთა მოლოდინების გამოკითხვა და ანგარიშის მომზადება;

მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეთა გამოკითხვების/მოლოდინების ანგარიშების საფუძველზე გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირება;

მე-5 ნაბიჯი

მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესისთვის რეკომენდაციების შემუშავება და გაზიარება პედაგოგიური საბჭოსთვის;

მე-6 ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობასა და პედაგოგიურ საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, სკოლის არაფორმალური განათლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება.

<u>პრაქტიკული რჩევები – არაფორმალური განათლების სტრატეგიის მომზადება – მოსწავლეთა მონაწილეობა</u>

არაფორმალური განათლების აქტივობები მოსწავლეთა საზოგადოების საერთო სასკოლო კულტურაში ჩართვის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია. იგი განაპირობებს როგორც სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას, ასევე, აუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს.

1-ელი ნაბიჯი

დირექტორის მხარდაჭერით, სადამრიგებლო პროგრამების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, არაფორმალური განათლების აქტივობების იდენტიფიცირება-კატეგორიზაცია.

მე-2 ნაბიჯი

სამუშაო შეხვედრაზე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ მოსწავლეთა თემატური კლუბების მოკვლევა არაფორმალური განათლების აქტივობების თვალსაზრისით – რა პრაქტიკული გამოცდილება აქვთ მოსწავლეებს და რა სურვილებსა თუ წინადადებებს გვთავაზობენ სამომავლო თანამშრომლობის ფარგლებში.

მე-3 ნაბიჯი

პედაგოგიური საბჭოს სხდომის მოწვევა არაფორმალური აქტივობების ინიცირების კონტექსტში. არსებული გამოცდილების მოკვლევა, პერსპექტივაზე გათვლილი მოქმედებების იდენტიფიცირება.



მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, სამივე საფეხურის მოსწავლეთა გამოკითხვა ანკეტის საშუალებით, რომელშიც გაწერილი იქნება არაფორმალური აქტივობების ჩამონათვალი და შესავსები ველები. აღნიშნულ აქტივობაში ჩართულნი იქნებიან შესაბამისი კლასების დამრიგებლები/მასწავლებლები, რომლებიც მხარდაჭერას აღმოუჩენენ თვითმმართველობის წევრებს გამოკითხვის პროცესში.

(ინსტრუმენტი ა)

მე-5 ნაბიჯი

ამ ეტაპზე, მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დირექტორი კოორდინაციას უწევს არაფორმალური სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შექმნას, რომელიც დაეგზავნება წარმომადგენლობით ორგანოებს – მათ შორის, მოსწავლეთა თვითმმართველობას – განსახილველად და რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მე-6 ნაბიჯი

აქტორების ჩართულობით, უკუკავშირის მიღების შემდეგ, დირექტორის კოორდინაციით, მუშავდება დოკუმენტის საბოლოო ვერსია და ეგზავნება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად.

მე-7 ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები ეცნობიან დოკუმენტს და, დამრიგებლების მხარდაჭერით, მართავენ სამუშაო შეხვედრებს მოსწავლეთა საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ასამაღლებლად.

ინსტრუმენტი ა

რა გამოცდილება გვაქვს				
აქტივობა	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	აქტივობისთვის საჭირო რესურსი	
ექსკურსია				
მოსწ. კლუბები				
პროექტი				
სასწავლო ვიზიტი				
გამოფენა-გაყიდვა				
სხვა...				
რა აქტივობები გვინდა სამომავლოდ				

ქმედება – დირექციის ხელშეწყობით, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის საფუძველზე, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება და ურთიერთანამშრომლობითი შეხვედრების ორგანიზება.

<u>შემთხვევა – მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება</u>

ერთ-ერთ სკოლაში, დირექტორის ინიციატივით, ჩატარდა გამოკითხვა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის მათი ინტერესების, ჰობის შესახებ. აღნიშნული კითხვარები მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით დამუშავდა და გაანალიზდა. ამის შემდეგ, დირექციისავე ინიციატივით, ერთგვაროვანი მისწრაფებების სხვადასხვა მოსწავლეს შესთავაზეს კლუბებად გაერთიანება. ხოლო თავად ადმინისტრაციამ პასუხისმგებლობა აიღო, თემატური ჯგუფებისათვის რელევანტური არაფორმალური აქტივობების უზრუნველყოფაზე.

<u>პრაქტიკული რჩევები – დირექტორის მხარდაჭერა მშობლების როლის გაძლიერება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენაში</u>

1-ელი ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საშუალო საფეხურის მოსწავლეების პროფესიული ინტერესების იდენტიფიცირების მიზნით, მათი გამოკითხვა (ანკეტაში დასმული იქნება კითხვა მშობლების პროფესიების შესახებაც);



მე-2 ნაბიჯი

მონაცემთა შეგროვების შემდეგ, სასურველი პროფესიების იდენტიფიცირება;

მე-3 ნაბიჯი

არსებულ მონაცემზე დაყრდნობით, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები: ა)ქმნიან სასურველ და მშობელთა პროფესიების ბაზებს და გადასცემენ შესაბამის პასუხისმგებელ პირს; ბ) ჩაატარებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებში გამოკითხვას, რომლის შედეგად ამოარჩევენ მათთვის ყველაზე პრიორიტეტულ პროფესიებს.

მე-4 ნაბიჯი

სამეურვეო საბჭოს წევრ მშობლებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და სკოლის საქმის მწარმოებელთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა სპეციალიზაციის მშობელთა ბაზის გაკეთება, პროფესიული ორიენტაციის პროგრამების შემუშავება-დანერგვისას თანამშრომლობის მიზნით.

მე-5 ნაბიჯი

სასკოლო პრაქტიკაში შესაბამის კლასებში „პროფესიის დღის/კვირეულის“ ორგანიზება, რომლის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სპეციალისტთან შეხვედრა ან თემატური ექსკურსიები ამა თუ იმ საწარმოსა თუ დაწესებულებაში.

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – წარმართავს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობ სასკოლო პოლიტიკას;

ქმედება – დირექციის ინიციატივით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, სკოლის გარე სივრცის მოწყობა, სასკოლო თემისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით.

<u>შემთხვევა – სკოლის გარე სივრცის მოწყობა</u>

ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორმა სასკოლო საზოგადოებასთან საერთო შეხვედრაზე გააჟღერა მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდან შემოსული ინიციატივა სკოლის გარე სივრცის მოწყობის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, სკოლაში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი (მშობელი,მასწავლებელი, დირექცია,მოსწავლე). აღნიშნულმა ჯგუფმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა სასკოლო საზოგადოების უმრავლესობა, ასევე აღნიშნულ ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ ადგილობრივი თემის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ, სკოლასთან თანამშრობლობის ფარგლებში, მოსწავლეებისთვის გამოაცხადა კონკურსი: „როგორი მინდა იყოს ჩემი სკოლის გარე სივრცე?!“ მოსწავლეებმა შექმნეს ნამუშევრები, ნახატისა და ესკიზის სახით. შეიქმნა კომისია, რომელმაც გააერთიანა სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და რომელმაც გამოავლინა საუკეთესო იდეა და წარუდგინა სასკოლო თემს.



სკოლის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა მშობელმა სკოლას, შემოწირულობის სახით, უსახსოვრა კონკრეტული თანხა სკოლის გარე სივრცის მოსაწყობად, ასევე, ადგილობრივმა თვითმმართველობამ აღნიშნული ინიციატივა დააფინანსა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.[4]

4 დამატებითი ინფორმაცია, სკოლის მხრიდან შემოწირულობის მართვასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ: https://tinyurl.com/ywx8mwtb გვ. 54.

ქმედება – სათემო საზოგადოებაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეთა თვითმმართველობის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სამოქალაქო ჩართულობის უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე ზრუნვა.

შემთხვევა – რეკრეაციული ზონები – სათემო ინიციატივა

ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორმა სკოლის, როგორც თემის მხარდამჭერის მნიშვნელოვნების გასაზრდელად და მოსწავლეთა მონაწილეობითი კულტურის ხელშესაწყობად, იმ მოსწავლეებს, რომლებიც თავად წარმოადგენდნენ მიკრორაიონის/სოფლის მცხოვრებლებს, შესთავაზა, ჩაეტარებინათ სამეზობლოებში გამოკითხვა რეკრეაციული ზონების საჭიროებების შესახებ. მოგროვებული ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ თავად მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და მიაწოდა აღნიშნული ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისათვის.

პრაქტიკული რჩევები – ჯანსაღი ცხოვრების წესი / სათემო ჩართულობა

1-ელი ნაბიჯი

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, ინფორმაციის მოძიება სათემო ღონისძიებებსა და აქტივობებში სკოლების მონაწილეობის პრაქტიკის შესახებ. ამ ქმედების მნიშვნელობასა და სარგებელზე მკაფიო ხაზგასმით, აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, თვალსაჩინოების (Power Point) მომზადება ქართულ ენაზე.

მე-2 ნაბიჯი

დირექტორის/დირექტორის მოადგილის ხელშეწყობით, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან საერთო სამუშაო შეხვედრის გამართვა, რომელზეც მომზადებულ პრეზენტაციაზე დაყრდნობით, მათ გააცნობთ სათემო ღონისძიებებსა და აქტივობებში სკოლების მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პრაქტიკას.

მე-3 ნაბიჯი

სათემო საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერის მიზნით, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებიდან მოხალისეთა შერჩევა და 5-6-წევრიან ჯგუფებად დაკომპლექტება. თითოეული ჯგუფისთვის კოორდინატორი მასწავლებლის მიმაგრება.



მე-4 ნაბიჯი

დირექტორის მიერ ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრის გამართვა და სამიზნე ამოცანების გაცნობა – თემში / სოფელში/ მიკრორაიონში / სამეზობლოში საველე კვლევის ჩატარება, რომელსაც 3 მთავარი მიზანი ექნება:

ა) ღია სატრენაჟორო ადგილების იდენტიფიცირება და ინტერაქტიური რუკის შედგენა;

ბ) ტრენაჟორების / სავარჯიშო ხელსაწყოების შესწავლა, დაზიანებების აღმოჩენა და აღწერა **(ინსტრუმენტი ა)**;

გ) თემის/მოსახლეობის გამოკითხვა ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის ფარგლებში სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან რა მხარდაჭერა სჭირდებათ **(ინსტრუმენტი ბ)**.

მე-5 ნაბიჯი

ამ ეტაპზე პირველი და მეორე მიზნის შესასრულებლად, ჯგუფების კოორ-დინატორები, ჯგუფის წევრებთან შეთანხმებით, შეადგენენ საველე მუშაობის გეგმა-გრაფიკს და გაიყოფენ ადგილმდებარეობებს. ხელოვნების, გეოგრაფიისა და მათემატიკის მასწავლებლის დახმარებით, შექმნიან თავიანთი საკურატორო ტერიტორიის რუკას.

მე-6 ნაბიჯი

ამ ეტაპზე ჯგუფები გავლენ განსაზღვრულ ტერიტორიებზე, შეისწავლიან მას და დაიტანენ შესაბამის აღმნიშვნელებს გამზადებულ რუკაზე. ასევე, აღწერენ ტრენაჟორებისა თუ სავარჯიშო ინვენტარის დაზიანებებს და შეავსებენ **რესურს ა**-ს.

მე-7 ნაბიჯი

შემდეგ ეტაპზე ჯგუფები, კოორდინატორის ხელმძღვანელობით, ჩაატარე-ბენ სამეზობლოების გამოკითხვას, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და აღწერის მიზნით. შეავსებენ შესაბამის დოკუმენტს (გამოკითხულთა სურვილის მიხედვით, შესაძლებელია ანონიმურად დაფიქსირდეს წინადადებები).

მე-8 ნაბიჯი

მოსწავლეთა ჯგუფები შეკრებენ მონაცემებს და მასწავლებლების (მაგ. ხელოვნების, გეოგრაფიისა და მათემატიკის) ფასილიტაციით:

ა) შექმნიან სამეზობლოს / მიკრორაიონის / სოფლის საერთო რუკას, დაი-ტანენ ყველა ტიპის აღმნიშვნელს, რომელიც მიემართება ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობ რესურსებს;

ბ) მოამზადებენ ერთიან დოკუმენტს, რომელშიც მისამართების მიხედვით აღწერილი იქნება ყველა დაზიანებული ინვენტარი (ვრცელი ინსტრუმენტი ა);

გ) მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტების (ინსტრუმენტი ბ) შესწავლის შემდეგ, შეიმუშავებენ ინიციატივათა ჩამონათვალს და შექმნიან ერთიან წინა-დადებათა პაკეტს.

მე-9 ნაბიჯი

მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სახელით, მოამზადებენ წერილს, რომელშიც აღწერენ აქტივობის მიზანსა და შედეგებს, განმარტავენ თანდა-რთული მასალების ხასიათს და ოფიციალურად მიმართავენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შესაბამისი რეაგირებისათვის.

ინსტრუმენტი ა

ადგილმდებარეობა	ტრენაჟორის/სავარჯიშო ხელსაწყოს ტიპი	დაზიანების ტიპი	კომენტარი
1.			
2.			
3.			

ინსტრუმენტი ბ

მისამართი	განმცხადებელი	ინიციატივა	კომენტარი
1.			
2.			
3.			

ინსტრუმენტი

საჯარო სივრცე – სათემო ინიციატივათა გრაფიკული მაორგანიზებელი

საჯარო სივრცე / ადგილმდებარეობა	არსებული პრობლემები	პრობლემის გადაჭრის გზა	დამატებითი შემოთავაზებები	მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	კომენტარი

ქმედება – დირექციის მხარდაჭერით, სათემო საზოგადოებაში მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით, მოსწავლეთა მონაწილეობით, ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიის ხელშეწყობა.

შემთხვევა – ეკოწიგნიერება – სკოლა – თემს

ერთ-ერთი სკოლის დირექციის მხარდაჭერით, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივ მცხოვრებლებში/თემში ეკოწიგნიერების განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზნით, მოსწავლეებმა დაამზადეს საცნობარო ბარათები, რომლებშიც ახსნილი იყო ფურცლის დაზოგვის მნიშვნელობა და სარგებელი. იქვე მითითებული იყო, რომ აღნიშნული სკოლა წარმოადგენდა მაკულატურის შემგროვებელ მთავარ პუნქტს თემში, სადაც 24 საათის განმავლობაში იყო შესაძლებელი მაკულატურის ჩაბარება. მითითებული იყო სკოლის ნომერი, რათა იმ პირებს, რომელთაც არ შეეძლოთ ადგილზე მოტანა, დაერეკათ და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები ადგილზე მიაკითხავდნენ მათ და წამოიღებდნენ მაკულატურას სკოლის ტერიტორიაზე. ამ ინიციატივის ფარგლებში, სკოლა ზრუნავდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე – აბარებდა მაკულატურას და ცვლიდა წიგნების ვაუჩერზე – https://tinyurl.com/3jvuhr5c

პრაქტიკული რჩევები – უბნის ეკოლოგიური კლიმატი

1-ელი ნაბიჯი

სკოლის დირექციის აქტიური მხარდაჭერით, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ეკოლოგიური წიგნიერების შესახებ სამუშაო შეხვედრის გამართვა, რომელზეც ხაზი გაესმება გარემოს დაბინძურების შედეგებსა და მოსახლეობის ეკოცნობიერების განვითარების სარგებელს.

მე-2 ნაბიჯი

შემდეგ ეტაპზე დირექციის მიერ ამავე საფეხურების მოსწავლეებისათვის საკვლევი მიზნის გაცნობა – სამეზობლოების / ოჯახის წევრების გამოკითხვა-ანკეტირება, რომელიც ისახავს შემდეგ მიზნებს:

ა) შეგროვდეს ინფორმაცია დაბინძურებული ტერიტორიების, დაზიანებული სანიაღვრე თუ საკანალიზაციო ჭების და ა.შ. შესახებ; (ინსტრუმენტი ა)

ბ) შეგროვდეს მოსახლეობაში, მათი აზრით, ეკოლოგიური ვითარების გამოსწორებისათვის საჭირო აქტივობათა/წინადადებათა ნუსხა.

მე-3 ნაბიჯი

ამ ეტაპზე მოსწავლეები შეისწავლიან სამეზობლოების ინტერესებსა და საჭიროებებს. ასევე აღწერენ ეკოპრობლემებს, შეავსებენ რესურს ა-ს და მოაგროვებენ მტკიცებულებებს ფოტო და ვიდეო მასალის სახით. მაგალითი: სკოლის დირექტორს ამ ეტაპზე შეუძლია, რომ ჯგუფის წარმომადგენელს შეეხმიანოს და მოკითხოს რაიმე დახმარება ხომ არ სჭირდებათ პროცესში.



მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეები შეგროვებულ მონაცემებს თავს მოუყრიან ამ საკითხზე პასუხისმგებელ მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთან, რომელიც, სხვა წევრების ჩართულობით, დაამუშავებს წარმოდგენილ მასალებს, შექმნის ეკოპრობლემების ვრცელ დოკუმენტსა და წინადადებების პაკეტს.

მე-5 ნაბიჯი

მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სახელით, მოამზადებენ წერილს, რომელშიც აღწერენ აქტივობის მიზანსა და შედეგებს, განმარტავენ თანდართული მასალების ხასიათს, თან დაურთავენ ფოტო-ვიდეო მასალას და საკანცელარიო წესით შეიტანენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში შესაბამისი რეაგირებისათვის.

ინსტრუმენტი ა

ადგილმდებარეობა	ეკოპრობლემა	კომენტარი
1.		
2.		
3.		

ქმედება – დირექციის მიერ სათემო საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თემის წევრებისათვის სასკოლო სივრცით სარგებლობის პრაქტიკის დამკვიდრება, მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით.

<u>შემთხვევა – სკოლა – თემისთვის</u>

დირექციისა და სამეურვეო საბჭოს ინიციატივით, ერთ-ერთ სკოლაში გადაწყდა სათემო ორგანიზაციებისა თუ სამეზობლოებისათვის შეხვედრების/ტრენინგებისთვის ფართის გამოყოფა უსასყიდლოდ. მთავარ პირობად განისაზღვრა ის აქტივობები, რომლებიც ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა თუ საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეუწყათ მოსწავლეებს, მშობლებსა და მთლიანად სასკოლო საზოგადოებას. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სკოლის ვებგვერდზეც. სკოლაში გაიწერა ამ კონტექსტით მიმართვიანობის წესი, რომელიც, ასევე, განთავსებული იყო ხელმისაწვდომ ადგილას როგორც სკოლის ტერიტორიაზე, ისე მის ფეისბუქგვერდზე. თემის წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავდა განცხადებით 3 კვირით ადრე, აღწერდა შეხვედრის მიზანს, აქტივობის ჩატარების დროს და მასშტაბს, დაასაბუთებდა მის საგანმანათლებლო-კულტუროლოგიურ მნიშვნელობას. მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით, მიღებული წინადადებების განხილვის პროცესში ჩაერთვნენ მოსწავლეები, რამაც გაზარდა მათი მოტივაცია, მონაწილეობა მიეღოთ დაგეგმილ ღონისძიებებში. აღნიშნულმა პრაქტიკამ მკვეთრად გაზარდა სკოლისადმი ნდობა თემში, და იგი კონკრეტულ უბანში საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრად აქცია.

ქმედება – სკოლის დირექტორის მხარდაჭერით, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობის ფარგლებში შემუშავდება თემში არსებული სხვადასხვა ტიპის (სამთავრობო, არასამთავრობო/საზოგადოებრივი, ჯანდაცვის ადგილობრივი ცენტრები, სპორტდარბაზები, ბიბლიოთეკები, საქველმოქმედო ფონდები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები) ორგანიზაციის სია მათთან შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით.

ინსტრუმენტი – სათემო ანალიზატორი

ორგანიზაცია	საკონტაქტო მისამართი	ვებგვერდი/სოცმედია	საქმიანობის სფერო	თანამშრომლობის პერსპექტივა	კომენტარი
1.					
2.					
3.					

რეფლექსიის ინსტრუმენტი

მას შემდეგ რაც დაგეგმვის ინსტრუმენტის მიხედვით განახორციელებთ სხვადასხვა ქმედებას (თქვენს მიერ შემუშავებულს, თუ გზამკვლევიდან აღებულს), შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული რეფლექსიის ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმაებათ პირველ ეტაპზე სვოტის ინსტრუმენტის ან საჭიროებების იდენტიფიცირების ინსტრუმენტის საშუალებით გამოკვეთილი სუსტი თუ ძლიერი მხარეების შესაბამისად, დაგეგმილი ქმედებების განხორციელების პროგრესი და შედეგები შეადაროთ თავდაპირველ, მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით, სკოლაში არსებულ მდგომარეობას.

რეფლექსიის ინსტრუმენტი

(რეფლექსიის ეს ინსტრუმენტი დაგეხმარებათ დაგეგმვის თავდაპირველ ინსტრუმენტში განსაზღვრული და შერჩეული ქმედებების განხორციელებისა და შედეგების შესახებ რეფლექსიაში. ასევე, რეფლექსიის ეს ინსტრუმენტი შეგიძლიათ დაუკავშიროთ „სვოტსა“ და დაგეგმვის სრულ პროცესს)

სწავლება-აღზრდის პროცესი მასწავლებლისგან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ყოველდღიურმა რუტინამ მასწავლებელს დააკარგვინოს მოქმედების გენერალური გეზი, ის კონცენტრირდეს უშუალოდ მიმდინარე ყოველდღიურ პროცესებზე და მისმა მოქმედებამ უფრო მექანიკური ხასიათი მიიღოს. მართალია, მასწავლებლები ერთმანეთთან ყოველდღიური კომუნიკაციის გზით ახორციელებენ სწავლება-აღზრდის პროცესის ანალიზს, მაგრამ საკუთარი პროფესიული შრომის შეჯერებისთვის მათ დაეხმარებათ სტრუქტურირებული რეფლექსია, რომელსაც გარკვეული პერიოდულობით მიმართავენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ რეფლექსიას არ უნდა მივმართოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმეთი უკმაყოფილონი ვართ, არამედ რეფლექსია უნდა გახდეს სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რითაც ხელს შევუწყობთ წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას.



რეფლექსიისათვის მასწავლებელს შეუძლია თავად შექმნას გარკვეული ინსტრუმენტები – კითხვარები, დიაგრამები, ცხრილები, რომლებიც მას გაუადვილებს ყველა ცალკეულ სიტუაციაში საკუთარი როლის სრულფასოვნად შეფასებას. ნიმუშად გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტს, რომელსაც კითხვარის ფორმა აქვს:

- რამდენად შევძელი დაგეგმვისას განსაზღვრული ნაბიჯების განხორციელება?
- რამდენად მივაღწიე სასურველ შედეგებს?
- რამდენად გაიზარდა მოსწავლეთა მონაწილეობა?
- რამდენად ვახორციელებდი დაგეგმილი აქტივობების პროგრესის მონიტორინგს?
- როგორ შევძელი მოსწავლეების დაინტერესება საკლასო/სასკოლო/კლასგარეშე/ სათემო საკითხებით?
- როგორ შევძელი მოსწავლეების წახალისება მონაწილეობისთვის?
- დავსვი თუ არა ყველა საჭირო კითხვა?
- რამდენად მივაღწიე მოსწავლეთა გულწრფელობას?
- ყურადღებით ვუსმენდი მოსწავლეებს?
- რამდენად შევძელი მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინება განსახორციელებელი მოქმედებების დაგეგმვისას?
- როგორ შევძელი როლებისა და ფუნქციების გადანაწილებაში მოსწავლეების ჩართვა?
- დასახული ამოცანა და ინდივიდუალური ფუნქცია ყველა მოსწავლისთვის გასაგები გავხადე?
- როგორ გავუმკლავდი საორგანიზაციო საკითხებს?
- რა საკითხების მოგვარება შეიძლებოდა მიმენდო სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის და მოზარდებისთვის? სად არ გამოვიჩინე საკმარისი ნდობა?
- საკმარისი ემოციური და ორგანიზაციული მხარდაჭერა აღმოვუჩინე მოწაფეებს, რომლებმაც გარკვეული შეცდომები დაუშვეს?
- როგორ ვრეაგირებდი მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე? როგორ ვრეაგირებდი იმ მოსაზრებებზე, რომლებსაც არ ვეთანხმებოდი?
- როგორ ვრეაგირებდი ყველას და თითოეულის წარმატებასა და წარუმატებლობაზე? როგორ ვანაწილებდი ყურადღებას?
- იცავდნენ თუ არა მოსწავლეები შეთანხმებულ წესებსა და არსებულ რეგულაციებს?
- შევძელი უკლებლივ ყველა მოსწავლის მოტივირება?
- რამდენად შევძელი კონფლიქტური ან უხერხული სიტუაციების თავიდან არიდება?
- რამდენად მოვაგვარე ეს სიტუაციები?
- რაში მივაღწიეთ წარმატებას? რაში განვიცადეთ მარცხი? რა იყო ჩემი შეცდომები?
- რამდენად მოვახერხე მოსწავლეთა დახმარება გამოცდილების გააზრებაში?

მოსწავლეთა მონაწილეობა – სახელმძღვანელო ინსტრუქციები მასწავლებლებისთვის

მასწავლებლის როლი მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში სრული ინტეგრაციისა და აქტიური მონაწილეობისათვის უმნიშვნელოვანესია. სწორედ მასწავლებელმა უნდა შექმნას მოსწავლეთა მამოტივირებელი საკლასო გარემო, აგებული დემოკრატიულ ღირებულებებზე. იგია პასუხისმგებელი, მოსწავლეებთან ერთად დაამკვიდროს სასკოლო ცხოვრების ისეთი კულტურა, რომელიც მოსწავლეებს გაუჩენს სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას და ამ კულტურის გაზიარების სურვილს.

მოზარდების სწავლება და აღზრდა ურთულესი ამოცანაა, რომელიც მასწავლებელთა წინაშე დგას. ყველა მასწავლებელმა იცის, რომ მოზარდის პიროვნებად ფორმირების მიმართულებით უდიდესი ნაბიჯი აქვს გადადგმული, თუკი მოსწავლეებში შეძლო თვითრეგულირებისა და ავტონომიურობის უნარების აღზრდა, თუკი ისინი დამოუკიდებლად შრომასა და პასუხიმგებლობის გაზიარებას შეაჩვია. ამდენად, მთელ სასწავლო პროცესში სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს პრაქტიკულ მუშაობას, როგორც ცოდნა-ჩვევების გაღრმავების თვალსაზრისით, ასევე, მოზარდის პიროვნული და მოქალაქეობრივი კომპეტენციების, მათ შორის, მონაწილეობის განვითარებისათვის.

როგორ ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა მონაწილეობა:



მოსწავლეების მონაწილეობა აუმჯობესებს ურთიერთობებს

არავის შეუძლია უარყოს, რომ დადებით გარემოში მუშაობა ცხოვრებით კმაყოფილებას განაპირობებს. თუ მოსწავლეებს უსმენენ, ეხმარებიან და ხელს უწყობენ ინიციატივის გამოჩენაში, იდეების გაზიარებასა და მათთვის მნიშვნელოვანი მიზნებისკენ სწრაფვაში, ისინიც უკეთ გრძნობენ თავს სკოლაში. ეს განაპირობებს თანამშრომლობაზე, ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს. ხშირად ითქმის, რომ ბავშვები ყველაზე უკეთ სწავლობენ იმ მასწავლებლებისგან, რომლებიც მოსწონთ.

ამის გარდა, იცვლება მოსწავლის ურთიერთობები თანაკლასელებთან და სკოლელებთან, როგორც „თანაგუნდელებთან“. სასკოლო გარემო ნაკლებად კონფლიქტური და მოსწავლეებისთვის უფრო სასიამოვნოა, რაც მთლიანად ცვლის სკოლის, სასწავლო პროცესის და სკოლის თემის აღქმას მოსწავლის მიერ. მოსწავლეებს შორის მყარდება თანამშრომლობაზე, ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე აგებული ურთიერთობები.

საზოგადოებრივი ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, ასევე, არის **მონაწილეობის ზეგავლენა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე**. ალბერტო დავილასა და მარიე ტ. მორას მიერ 2007 გამოქვეყნებულ კვლევის ანგარიშში, რომელიც საზოგადოებრივი ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების კორელაციას ეხება, წარმოდგენილია 1988-2000 წლებში ჩატარებული პანელური კვლევის შედეგები. კვლევაში მონაწილეობდა 15 340 მოსწავლე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. აღმოჩნდა, რომ სკოლის თვითმმართველობასა და თემის საქმიანობაში ნებაყოფლობით ჩართულ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება (წლების განმავლობაში) პოზიტიურად შეიცვალა კითხვის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ისტორიის მიმართულებით[5]. ეს ფაქტი ადასტურებს ვარაუდს, რომ მონაწილეობის ფონზე მოსწავლეებს უვითარდებათ თვითეფექტურობის განცდა, საკუთარი თავის რწმენა, ავტონომიურობა, ინიციატივა, იზრდება მათი სასწავლო მოტივაცია.

ასევე, დემოკრატიულ გარემოში პოზიტიურად შეცვლილი მასწავლებლის როლი ცვლის დამოკიდებულებას მასწავლებლისა და სასწავლო დისციპლინების მიმართ.

პოზიტიური ცვლილებების ეს ჩამონათვალი, რასაკვირველია, არასრულია, თუმცა უკვე ცხადია, რომ ყოველივე ეს მასწავლებელს უადვილებს სასიამოვნო და მოტივაციის მიმცემი სასწავლო გარემოს შექმნას, აღიარებასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მოზარდის მიერ საკუთარი ძალების მოსინჯვაში ხელშეწყობას და, ბოლოს, საზოგადოებრივი დანიშნულების გააზრებას, რაც არის კიდეც აღზრდის უმთავრესი მიზანი.

მოსწავლეების მონაწილეობა აუმჯობესებს პროფესიულ კომპეტენციას

5 Alberto Dávila, Marie T. Mora, CIVIC ENGAGEMENT AND HIGH SCHOOL ACADEMIC PROGRESS: AN ANALYSIS USING NELS DATA, The University of Texas—Pan American 2007

მოსწავლეებმა არაფერი იციან საგნის კურიკულუმისა თუ თანამედროვე პედაგოგიური თეორიების შესახებ, თუმცა მათ შეუძლიათ იმის თქმა, თუ რის სწავლა უნდათ მასწავლებლისგან უკეთ და უფრო ეფექტურად, მათ შეუძლიათ თქვან, რომელი სასწავლო მიდგომა მუშაობს უკეთ და რომელი უშლის ხელს სწავლაში. თავდაპირველად მოსწავლეები ერიდებიან კითხვების დასმას, რადგან ნდობის ნაკლებობას, დაცინვასა თუ უადგილო კომენტარებს უფრთხიან. მაგრამ როცა მოსწავლეების აზრი სერიოზულად აღიქმება, ისინი მასწავლებლის პროფესიული განვითარების თანამონაწილენი ხდებიან.

მოსწავლეების მონაწილეობა აუმჯობესებს სკოლაში დისციპლინის ხარისხს

რატომ გვჭირდება სკოლაში წესები? ვინ აწესებს მათ? როგორ დგება ეს წესები? ვინ ამოწმებს მათ შესრულებას? რა ხდება, თუ რომელიმე წესი არ მუშაობს და წინაღობებს ქმნის. თუ წესები იქმნება სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, თუ მოსწავლეებს შეეკითხებიან აზრს, მოუსმენენ მათ მოლოდინებსა და იდეებს, თუ მოსწავლეები დაინახავენ, რომ მათი შეხედულებები წესებში გათვალისწინებულია, მასწავლებლებს სკოლაში დისციპლინის შენარჩუნებაზე ნაკლები ძალისხმევა დასჭირდებათ.

მოსწავლეთა მონაწილეობა ავითარებს დემოკრატიული კულტურისთვის საჭირო კომპეტენციებს

მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა შეუქმნან კონტექსტი, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცხოვრებისეული სიტუაციების სიღრმისეულად გააზრებას; როლური თამაშების მეშვეობით, მოახერხებენ მოვლენების აღქმას განსხვავებული პერსპექტივით. ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია მოსწავლეების მონაწილეობით – კომპეტენციების განვითარებით, რომლებიც მუშავდება თეორიის პრაქტიკაში განხორციელების, სხვებთან თანამშრომლობითი მუშაობის (ერთობლივად კეთებით სწავლის) საშუალებით.

მშობლებთან კომუნიკაცია აუმჯობესებს მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს



სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობა საუკეთესო საგანმანათლებლო მიდგომების შერჩევის საშუალებას იძლევა, ეხმარება როგორც სკოლას, ისე ოჯახს და ხელს უწყობს სახლსა თუ სკოლაში შესაფერისი გარემოს შექმნას. მშობლები მჭიდრო კავშირს ამყარებენ სკოლასთან, რომელიც მოსწავლეთა მონაწილეობას უწყობს ხელს, რაც მასწავლებლისთვის მნიშვნელოვნად აადვილებს აკადემიურ შედეგებზე გასვლას.

რა როლს ვასრულებთ მოსწავლეთა მონაწილეობის წახალისებაში?

მასწავლებელი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- მოსწავლეებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენებით, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას; (მპს,მ.6, ე)
- სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფს ინკლუზიურ და თანასწორობის ღირებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას მოსწავლეებისთვის; (მპს,მ.5, ე)
- ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური აქტივობების, შემუშავება/გადასინჯვის პროცესში მოსწავლეების მონაწილეობას;(მპს,მ.5, გ)



- ხელს უწყობს მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას და მხარს უჭერს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობ სასკოლო პოლიტიკას; (მპს,მ.10, ბ)

როგორ განვსაზღვროთ, რა ეტაპზე ვართ – თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი, SWOT-ანალიზი

იმისათვის, რომ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯები რელევანტური იყოს, სასურველია, მასწავლებელმა საწყის ეტაპზე გააანალიზოს, კლასის, ჯგუფის რეალური მდგომარეობა – როგორია მათი მონაწილეობა ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიალური ორგანოების საქმიანობაში, სკოლის სტრატეგიისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, 2. მონაწილეობა კლასში, 3. მონაწილეობა კურიკულუმით გაუთვალისწინებელ აქტივობებში და 4. მონაწილეობა თემის საქმიანობაში. მდგომარეობის გასაანალიზებლად შესაძლებელია დაგეგმვის საკმაოდ ცნობილი ინსტრუმენტის – SWOT ანალიზის გამოყენება, სადაც ასო S აღნიშნავს Strengths – ძლიერ მხარეებს, W – Weaknesses – სუსტ მხარეებს, O – Opportunities – შესაძლებლობებს და T – Threats – საფრთხეებს.

ამ სქემის მიხედვით, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, მოცემული მომენტისთვის:

- ძლიერი მხარეები – რის გამოყენებაა შესაძლებელი წარმატების მისაღწევად? იგულისხმება ისეთი მატერიალური და არამატერიალური რესურსები, როგორიცაა მოსწავლეთა ცოდნა, ღირებულებები, დამოკიდებულებები, კლასში არსებული პოზიტიური ტენდენციები, ურთიერთობის კულტურა და მოსწავლეთა მზაობა გარკვეული მიმართულებით. იფიქრეთ, რის მიღწევაა შესაძლებელი კონკრეტული შესაძლებლობის (ეს შეიძლება იყოს რაიმე ღონისძიების ჩატარება, ცვლილებების განხორციელება, ახალი წესების დანერგვა და ა. შ.) გამოყენებით.

- სუსტი მხარეები – რის გაუმჯობესება გსურთ? ამ თვალსაზრისით, იფიქრეთ არა მხოლოდ მოსწავლეების ქცევასა და დამოკიდებულებებზე, არამედ მათ ორგანიზაციულ, სოციალურ და მოქალაქეობრივ კულტურაზე.

- შესაძლებლობები – განსაზღვრეთ სკოლის შიდა და გარე სოციალური კავშირები, მატერიალური, სტრუქტურული და ტექნიკური შესაძლებლობები, რომლებსაც სკოლა, თემი და საზოგადოება გთავაზობთ.

- დაბოლოს, საფრთხეები – ნებისმიერ მოვლენას თან სდევს გარკვეული საფრთხეები და მათი სწორად განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გაიაზრეთ, რა ტიპის დაბრკოლებას შეიძლება შეხვდეთ კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლეებზე, რის იმედი არ შეიძლება გქონდეთ და შეიმუშავეთ სათადარიგო ღონისძიებები წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად.

ძლიერი მხარეები	***სუსტი მხარეები***
სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობის ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობის *თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით*	სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობის ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობის *თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით*
შესაძლებლობები	***საფრთხეები***

მოცემული სქემის საფუძველზე, მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს სამოქმედო პრიორიტეტები, სტრატეგია და შეიმუშაოს კონკრეტული ქმედების გეგმა.

როგორ განვსაზღვროთ პრიორიტეტები?

დაგეგმვის ინსტრუმენტი

ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი სურათი მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, შეიმუშაოს კონკრეტული გეგმა მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის. კარგი გეგმის შემუშავება ყოველთვის დაიწყება მოქმედების მიზნის განსაზღვრით:

რა არის ჩემი მიზანი? – მონაწილეობის რომელი მიმართულების გაძლიერება მსურს, სასკოლო, საკლასო, კლასგარეშე თუ სათემო? რა ცოდნა უნდა მიიღონ მოწაფეებმა, რა უნდა გაიაზრონ და რა უნარ-ჩვევები განივითარონ?

რა ნაბიჯები გადავდგა? – მოქმედების მიზნის განსაზღვრა დაგვეხმარება იმაში, რომ ვივარაუდოთ, რა ქმედებით, რა აქტივობით, რა ნაბიჯებით არის შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

რა რესურსები მაქვს? – მას შემდეგ, როდესაც მოფიქრებულია კონკრეტული ქმედებები, რომელთა განხორციელებაც სურს მასწავლებელს, უნდა განისაზღვროს გეგმის განხორციელებისთვის საჭირო როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსები.

როგორ ვიმოქმედოთ? – შემდეგ ეტაპზე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს: რა როლი აქვთ მოცემულ მოქმედებაში თავად მას და მის მოსწავლეებს, სკოლის ხელმძღვანელობას ან გარე პარტნიორებს. რა ნაბიჯები უნდა გადადგას თითოეულმა მათგანმა, განსაზღვროს კონკრეტული ქმედებებისათვის საჭირო რესურსები და ვადები, გაითვალისწინოს შესაძლო წარუმატებლობის შემთხვევები და მათი შედეგები.

როგორ ხორციელდება პროცესი? – განხორციელების ეტაპზე საჭიროა პროცესის ანალიზი – სისტემატური მეთვალყურეობა და, საჭიროების შემთხვევაში, გეგმის მოდიფიცირებაც – როლებისა და ვადების გადახედვა, დამატებითი მოქმედებების შემუშავება ან რესურსების მოძიება, არარელევანტური ნაბიჯების იდენტიფიცირება.

რა შედეგები დადგა? – უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი კონკრეტული აქტივობის დასასრული ახლის დასაწყისია. მას შემდეგ, რაც ერთი მოქმედება დასრულებულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ, მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, სურათი გარკვეულწილად შეცვლილია. ამაში კვლავ SWOT ანალიზი (ან რეფლექსიის სხვა ინსტრუმენტი) დაგვეხმარება, თუმცა ცხადია, რომ ამგვარი შეფასება დასკვნით ეტაპზე აუცილებელია მომავალი მოქმედებების ეფექტურად დაგეგმვისათვის.





მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი ქმედებები:

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა

- მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხის მნიშვნელოვნების გაცნობა-გააზრების მიზნით, კლასებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობაში ჩართულობის მნიშვნელოვნების გაცნობიერებისთვის საგაკვეთილო პროცესისას დროის დათმობა – სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის წახალისება;
- სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ინიციატივების იდენტიფიცირების და გაზიარების ხელშეწყობა;
- სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდაჭერა;
- წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობის პროცესში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.

ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა

- სწავლების პროცესში სასწავლო აქტივობათა შერჩევისას, მოსწავლეთა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება;
- მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სასწავლო პროგრამაში შესაბამისი დამატებითი სასწავლო რესურსების ინტეგრირება;
- ინკლუზიური და თანასწორობის პრინციპების დაცვით, მოსწავლეების გენდერულად სენსიტიურად როლების განაწილება საკლასო პროცესზე პასუხისმგებლობისა და ჩართულობის გაძლიერებისთვის;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, გენდერული თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფა;[6]
- კულტურულად მრავალფეროვან გარემოში, ინტერკულტურულად მგრძნობარე გარემოს უზრუნველყოფა;[7]
- სკოლაში მოსწავლეთა ურთიერთსწავლების მიდგომის დანერგვა;
- საგნობრივი კათედრების მიერ მოსწავლეთა შეფასების კომპონენტების/ ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა საგანში დამატებითი საკითხავი თუ სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების მოძიებისა და შერჩევის პროცესში მოსწავლეების აქტიური ჩართვა;
- მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებისათვის კლუბების ორგანიზებისა და მართვის საკითხებზე კონსულტირება და სასკოლო პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა;
- მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით, კლასთაშორისი საგნობრივი თუ საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობების უზრუნველყოფა (ვიქტორინა, მხიარული სტარტები, ინტელექტუალური შეჯიბრებები და სხვა);
- საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, დარგის სპეციალისტების სიის შედგენა და მათ მოსაწვევად საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

6 იხ. მაგალითი: https://tinyurl.com/mr2kfnak
7 იხ. მაგალითი: https://tinyurl.com/3s6k2pew

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა

- თემში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზუნველყოფა;
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი თუ სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, სადაც მოსწავლეები მშობლებთან ერთად მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას;
- სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ მშობელთა ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო ელექტრონული ბუკლეტების / პრესრელიზების მომზადებაში მხარდაჭერა;
- სკოლაში მშობელთა ინიციატივების – „მშობლის ინიციატივა/იდეა“ – შეგროვების მიზნით, მოსწავლეთა ინსტრუმენტის გამოყენება;
- სათემო საზოგადოებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა ინიციატივების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაციის მიზნით, მოსწავლეთა ხელშეწყობა.



სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენებით, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას; (მპს,მ.6, ე)

ქმედებები:

ქმედება მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხის მნიშვნელოვნების გაცნობა-გააზრების მიზნით, კლასებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება.

შემთხვევა – კლასის კრება

ერთ-ერთი სკოლის რამდენიმე საგნის მასწავლებელმა, სემესტრის დასაწყისში მოსწავლეებს საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებული აქტივობათა გეგმა-გრაფიკი გააცნეს და ამ ქმედებებში ჩართვის აუცილებლობა და მნიშვნელობა განუმარტეს. მოუსმინეს მოსწავლეთა უკუკავშირს მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სთხოვეს, მოსმენილთან მიმართებით გამოეთქვათ მოსაზრებები თუ შეკითხვები და შემდეგი შეხვედრისას წერილობითი ფორმით წარმოედგინათ. შემდეგ ეტაპზე მასწავლებლებმა, მოსწავლეთა ინტერესების გაანალიზების საფუძველზე, კიდევ ერთხელ გამართეს სამუშაო შეხვედრა.

ქმედება მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობაში ჩართულობის მნიშვნელოვნების გაცნობიერებისთვის შესაბამისი დროის გამოყოფა.

<u>პრაქტიკული რჩევები – თვითმმართველობის მუშაობის შესახებ ინფორმირება</u>

1-ელი ნაბიჯი

კლასში მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს სთხოვეთ, მოამზადოს პრეზენტაცია აღნიშნული წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის მექანიზმებისა და ფუნქციების შესახებ;

მე-2 ნაბიჯი

სპეციალური დროის გამოყოფა ზემოაღნიშნული პრეზენტაციისთვის. მოსწავლის აქტიური მხარდაჭერა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების თვალსაზრისით (მაგ. კომპიუტერული ტექნიკის, შესაბამისი სივრცის ან სხვა საშუალებების გამოყოფა).

მე-3 ნაბიჯი

სპეციალური დისკუსიის გამართვა, მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა და შეკითხვებზე უკუკავშირის მიცემა.

მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებული შეკითხვებისა და ინიციატივების მომზადების ხელშეწყობა.

მე-5 ნაბიჯი

კლასის თვითმმართველობის წარმომადგენლის მხარდაჭერა წინადადებათა/მოსაზრებათა პაკეტის მომზადებაში, კონსულტირება წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენის მიზნით.

მე-6 ნაბიჯი

საბოლოო სამუშაო შეხვედრის ფასილიტაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან უკუკავშირის მიღების მიზნით.

ქმედება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ინიციატივების იდენტიფიცირების და გაზიარების ხელშეწყობა.



პროექტი „სურვილების ყუთი“

1-ელი ნაბიჯი

სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს გააცანით ის ღონისძიებები, რომლებიც მათ აღზრდასა და განათლებას ემსახურება – სასწავლო დისციპლინები და პროგრამები, კონკურსები და შეჯიბრებები, კონფერენციები, გასვლითი ღონისძიებები თუ ექსკურსიები, ზეიმები, თეატრალური, სახელოვნებო, სპორტული, საბუნებისმეტყველო თუ სხვა ტიპის წრეები, კვების ობიექტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი სივრცეები, სკოლის ეზო, მატერიალური რესურსები თუ სხვა. ამისათვის გამოყავით გაკვეთილზე 10-15 წუთი.

მე-2 ნაბიჯი

სასწავლო პროცესის ეს კომპონენტები ჩამონათვალის სახით ჩამოწერეთ დიდი ფორმატის ქაღალდზე და ჩამოკიდეთ კლასში, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ ყოველდღე შეავლონ მას თვალი.

მე-3 ნაბიჯი

გააცანით მოსწავლეებს მათი შესაძლებლობები აღნიშნული მიმართულებებით რაიმეს შეცვლის, გაუმჯობესების, დამატებისა თუ, პირიქით, გაუქმების შესახებ. მოზარდებმა უნდა გაითავისონ, რომ ყოველ ცვლილებას შესაბამისი რეგულაციის გათვალისწინება და რესურსების მობილიზება სჭირდება.

მე-4 ნაბიჯი

კლასში დადგით „სურვილების ყუთი“ და სთხოვეთ, ფურცელზე ანონიმურად დაწერილი სურვილები გარკვეული პერიოდულობით ჩაყარონ; ინიციატივები უნდა ეხებოდეს, რის გაუმჯობესება, მოწყობა, გამოყენება ან განვითარება სურთ მათ. სურვილების ყუთი გაიხსნება დათქმული პერიოდულობით.

მე-5 ნაბიჯი

თუკი „სურვილების ყუთში“ ჩაყრილ რამდენიმე ბარათზე მსგავსი სურვილი აღმოჩნდა, საკლასო დისკუსიის გზით დაეხმარეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ ერთიანი პოზიცია.



მე-6 ნაბიჯი

საკუთარი სურვილების არგუმენტებით გასამყარებლად, სთხოვეთ, რომ შემდეგი შეხვედრისთვის მოემზადონ, მოიძიონ ინფორმაცია საკითხის შესახებ. **(ინსტრუმენტი ა)**

მე-7 ნაბიჯი

შემდეგ შეხვედრაზე დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ თავიანთ სურვილს ადმინისტრაციისათვის წარსადგენი ნინადადების ფორმა მისცენ და წურილობით დაასაბუთონ, რა სარგებელი ექნება შეტანილ ცვლილებას. **(ინსტრუმენტი ბ)**

მე-8 ნაბიჯი

თავიანთი ნინადადებით მოსწავლეებს შეუძლიათ, მიმართონ მოსწავლეთა თვითმმართველობას ან თქვენი შუამდგომლობით – სკოლის ადმინისტრაციას.

	რა არის მოთხოვნის/ ცვლილების მიზეზი, ჩემი აზრით?	რა არის მოთხოვნის/ ცვლილების მიზანი, ჩემი აზრით?	რით შემიძლია ჩემი აზრის დასაბუთება?	როგორ აისახება მოთხოვნა/ ცვლილება თითოეულ მოსწავლეზე, ჩემი აზრით?	რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ცვლილების განხორციელებას?
1					
2					



ინსტრუმენტი ბ - განცხადების გეგმა

მიუთითეთ განცხადების ადრესატი – სსიპ N .... საჯარო სკოლის დირექტორს, ბ-ნ / ქ-ნ .....

განმცხადებელი – ამავე სკოლის X-ბ კლასის მოსწავლეთა განცხადება

ჩამოაყალიბეთ ლაკონიურად თქვენ მიერ განხორციელებული ქმედებების აღწერა – მოგახსენებთ, რომ კლასში „სურვილების ყუთის“ საშუალებით შევიმუშავეთ სასკოლო ცვლილებების პაკეტი ...

ჩამოაყალიბეთ, კონკრეტულად რა სახის მხარდაჭერა გჭირდებათ პასუხისმგებელი პირებისაგან – მაგალითად; სპორტული დარბაზის ინვენტარის განახლება / სკოლის ეზოს კეთილმოწყობა / გაკვეთილების ცხრილში საგნების გადაჯგუფება და ა.შ.

ქმედება სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

* პრაქტიკული რჩევები – კლასის ძიხაგახახესი*

1-ელი ნაბიჯი

კლასის შინაგანაწესის შემუშავებისთვის გამოყავით დრო. უმჯობესია, ამ ამოცანას დაუთმოთ მთლიანი გაკვეთილი, რათა ყველა მოსწავლე იყოს კლასში და ესწრებოდეს პროცესს.

მე-2 ნაბიჯი

შეკითხვებით დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაასახელონ მათთვის მთავარი ღირებულებები (მაგ. მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, თავისუფლება, თანასწორობა, პატიოსნება თუ სხვა და სხვა). გაამახვილეთ ყურადღება ღირებულებებზე (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით). (ინსტრუმენტი ა.)

მე-3 ნაბიჯი

ეცადეთ, შეკითხვებით დააკავშირებინოთ მოსწავლეებს ეს ღირებულებები ქცევებთან, რომლებიც ტიპურია სასკოლო ცხოვრებისთვის, თუმცა ხშირია სკოლის გარეთაც (მაგ. მეგობრობაზე დაფუძნებით შეიძლება მივიღოთ შემდეგი ქცევები: ვეხმარებით ერთმანეთს (საშინაო დავალების შესრულებისას), არ ვუშლით ხელს (საკლასო სამუშაოს წერისას). მაგ: თანასწორობაზე დაფუძნებით, შეიძლება მივიღოთ შემდეგი ქცევები: კლასის დალაგების პროცესში თანაბრად გოგოების და ბიჭების ჩართვა, და ა. შ. სხვა ღირებულებების გათვალისწინებითაც).

მე-4 ნაბიჯი

ქცევის წესები უნდა იყოს ძალიან კონკრეტული, რეალისტური და შესრულებადი.

მე-5 ნაბიჯი

წესების ფორმულირებისას, სასურველია, არჩევანი გავაკეთოთ პოზიტიურ ფორმულირებაზე, მაგ. არ ვაგვიანებთ – დროულად მოვდივართ / არ ვხმაურობთ – ყურადღებით ვუსმენთ ერთმანეთს და ა.შ.

მე-6 ნაბიჯი



დიდი ფორმატის ქაღალდზე დაწერილი წესები ჩამოკიდეთ კლასში.

მე-7 ნაბიჯი

ხშირად შეაქეთ მოწაფეები წესების შესრულებისთვის. შეახსენეთ ის დადებითი ეფექტი, რომელიც შინაგანაწესის შემოღებას ახლავს.

მე-8 ნაბიჯი

ქცევის წესები შეიძლება შეიცვალოს, გადაიხედოს და განახლდეს შედეგებიდან გამომდინარე, სემესტრის განმავლობაში ან მომდევნო სემესტრში.

ინსტრუმენტი ა – „ასოციაციური რუკა“

- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულებები;
- დასახელებული ღირებულებები დაწერეთ დაფაზე ისე, რომ შესაძლო იყოს მათი ერთმანეთთან დაკავშირება და მოსწავლეებმა გაიაზრონ მათ შორის კავშირი;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ ისეთი ქცევები, რომლებიც ასოცირდება ამა თუ იმ ღირებულებასთან;
- მოსწავლეებთან ერთად განაზოგადეთ დასახელებული ქცევები ქცევის ძირითად პრინციპებზე ფოკუსირებით.

ქმედება კოლეგიალური გადაწყვეტილების ორგანოების მუშაობის პროცესში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;

<u>შემთხვევა – მოსწავლეთა ინიციატივების ადვოკატირება სამეურვეო საბჭოში</u>

ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ სამეურვეო საბჭოს წინაშე წარმოდგენილ ინიციატივათა პაკეტზე გადაწყვეტილების მიღებამდე, სამეურვეო საბჭოს პედაგოგმა წევრმა მიმართა მოსწავლეთა თვითმმართველობას, დახმარებოდა მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფთან შეხვედრის გამართვაში. მათი უშუალო მონაწილეობით შემდგარ სამუშაო შეხვედრაზე მასწავლებელმა და მოსწავლეებმა განიხილეს თითოეული წინადადება, მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები და შეთანხმდნენ იმ ინიციატივებზე, რომელთა ადვოკატირებასაც იკისრებდა მასწავლებელი შემდგომი საკითხების განხილვისას კოლეგებთან.

<u>პრაქტიკული რჩევები – მოსწავლეთა ინიციატივა – შინაგანაწესი</u>[8]

სკოლის შინაგანაწესის შემუშავება-რედაქტირების პროცესში დისციპლინური კომიტეტის წევრი მასწავლებლები:

1-ელი ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობასთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, ხვდებიან მოსწავლეებს და აწვდიან ინფორმაციას სკოლაში დისციპლინური წარმოების წესის შესახებ;

მე-2 ნაბიჯი

დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით აწარმოებს მოსწავლეების ანონიმურ გამოკითხვას – რა უნდა შეიცვალოს სკოლაში დისციპლინის საკითხის გასაუმჯობესებლად.

მე-3 ნაბიჯი

8 მოსწავლეთა ინიციატივების შესახებ, იხ. პროექტი: https://tinyurl.com/29akb8ya

მიღებული წინადადებების ანალიზის შემდეგ კომიტეტის წვერები შეიმუშავებენ ცვლილებათა პაკეტს, რომელსაც მოსწავლე წევრების უშუალო ჩართულობით გააცნობენ მოსწავლეთა თვითმმართველობას, მოსწავლეებში დისემინაციის მიზნით.

მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეებისაგან საბოლოო დოკუმენტზე მიღებული რეკომენდაციების შემდეგ შეიმუშავებენ დისციპლინური წარმოების წესში შესატანი ცვლილებების პაკეტს და დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს.



ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფს ინკლუზიურ და თანასწორობის ღირებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას მოსწავლეებისთვის; (მპს,მ.5, ე)

ქმედებები:

ქმედება – სწავლების პროცესში სასწავლო აქტივობათა შერჩევისას მოსწავლეთა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება;

შემთხვევა – სასწავლო მიზნების მოსწავლეთა ინიციატივების მიხედვით გადასინჯვა

ერთ-ერთ სკოლაში სემესტრის დასაწყისში ქიმიის მასწავლებელმა გააცნო IX კლასს იმ კომპლექსური დავალებებისა და პროექტების შინაარსი, რომლებიც სემესტრის განმავლობაში უნდა შეესრულებინათ. შემდეგ დაყო კლასი ჯგუფებად და სთხოვა, თავიანთი პერსპექტივიდან წარმოედგინათ ამა თუ იმ შესასრულებელი დავალების შესახებ მოსაზრებები და კრიტიკული წინადადებები. შემდეგ ეტაპზე, საერთო საკლასო მუშაობის ფარგლებში, ერთად გააანალიზეს მოსწავლეთა უკუკავშირი და, მათი ინიციატივისა და ხედვის მიხედვით, მასწავლებელმა დავალებები დაარედაქტირა.

ინსტრუმენტი – სასწავლო მასალის შესახებ უკუკავშირის მიღების ფორმა

დავალება/პროექტი	გასაუმჯობესებელი ასპექტი	შემოთავაზებული ალტერნატივა	წარმოდგენილი ცვლილების არგუმენტაცია	კომენტარი

ქმედება – მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სასწავლო პროგრამაში შესაბამისი დამატებითი სასწავლო რესურსების ინტეგრირება.

შემთხვევა – მრავალფეროვნება ჩვენს კლასში

ერთ-ერთ სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა წამოაყენა ინიციატივა, საგნობრივი კათედრების მიერ საკუთარი პროგრამების შედგენისას, გათვალისწინებულ იქნას „მრავალფეროვნება ჩვენს სკოლაში“- კვირეულის ჩატარების შესაძლებლობა. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, თითოეული საგნობრივი ჯგუფის მიერ სხვადასხვა საგანში მომზადდა საგნის კვირის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საგნობრივი ცოდნის გადაცემის საშუალებად / რესურსად გამოეყენებინათ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესაბამისი თემატიკა. მაგალითად: – ფიზიკის მასწავლებელმა, მექანიკის სწავლებისას, აჩქარებისა და დახრის კუთხის ახსნისას, ამუშავა კლასი პანდუსის მაკეტზე.[9]

9 საგნობრივი კათედრების თანამშრომლობის შესახებ დამატებით იხ. https://tinyurl.com/5t54pt7s



შემთხვევა – საკლასო პროექტი თანასწორუფლებიანობისათვის

ერთ-ერთი საჯარო სკოლის IX კლასის მიერ განხორციელებული საკლასო პროექტის შემდეგ ამავე სკოლაში, მოსწავლეთა ინიციატივითა და დირექტორის ხელშეწყობით, პანდუსი გაკეთდა. ხელოვნების გაკვეთილზე, საკლასო პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოიძიეს და დაამუშავეს ინფორმაცია თანასწორუფლებიანობის შესახებ, რის შემდეგაც დაამზადეს კედლის გაზეთები და სკოლაში მოაწყვეს საინფორმაციო აქცია. ასევე, დაწყებითი კლასებისთვის ჩაატარეს პრეზენტაცია, რომელზეც განხილული იყო ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა და შშმ პირთა საჭიროებები. პროექტის განხორციელების შემდეგ, მიმართეს დირექტორს, რათა სკოლის კიბეზე პანდუსი გაეკეთებინათ. დირექტორმა მხარი დაუჭირა მოსწავლეთა ინიციატივას და უზრუნველყო საჭირო სამუშაოების ჩატარება. პანდუსის გაკეთებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თავად ბავშვებმაც.

შემდგომ ეტაპზე დაიგეგმა ბრაილის შრიფტის გამოყენება სასკოლო ინფრასტრუქტურაზე, უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის. მოიწვიეს სპეციალისტი სათანადო რეკომენდაციების გასაცნობად და ინსტრუქციების მისაღებად.

პრაქტიკული რჩევები – კულტურათა დიალოგი[10]

სკოლის მასწავლებლები შეისწავლიან სასკოლო საზოგადოების კულტურულ მრავალფეროვნებას და შედეგების შეჯამების შემდეგ:

1-ელი ნაბიჯი

სწავლის სამივე საფეხურზე კლასებში დაგეგმავენ სამუშაო შეხვედრას მოსწავლეებთან, რომელზეც გააცნობენ ერთიან სასკოლო პროექტს – „კულტურათა დიალოგი ჩვენს სკოლაში“; მისი მიზანი იქნება სკოლაში არსებული მრავალფეროვნების გაცნობა და მისი კულტურული მახასიათებლების გაცნობიერება.

მე-2 ნაბიჯი

კლასების დამრიგებლების მიერ მშობელთა საერთო საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, რომელზეც მათ ეცნობებათ აღნიშნული ინიციატივების შესახებ და აქვე აღინიშნება მათი ჩართულობის მნიშვნელოვნება მოსწავლეთა მიერ მრავალფეროვანი კულტურის გაცნობიერებისა და სწორი დამოკიდებულების გაჩენის თვალსაზრისით.

მე-3 ნაბიჯი

მოსწავლეთა და მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების გამართვა, რომელზეც მკაფიოდ განისაზღვრება პრეზენტაციის / წარდგენის ყველა ასპექტი და მოსწავლეები მიიღებენ მაქსიმალურ მხარდაჭერას მასწავლებლებისაგან;



მე-4 ნაბიჯი

კლასის ფარგლებში ღონისძიების გამართვა, რომელზეც მშობლებისა და მოსწავლეების თანაბარი ჩართულობით წარმოდგენილი იქნება მომზადებული პრეზენტაციები.

ქმედება – ინკლუზიური და თანასწორობის პრინციპების დაცვით, მოსწავლეების გენდერულად სენსიტიურად როლების განაწილება საკლასო პროცესზე პასუხისმგებლობისა და ჩართულობის გაძლიერებისთვის;

10 კულტურათა დიალოგის შესახებ იხ. პროექტი: https://tinyurl.com/f6a5f9a2

შემთხვევა – თანასწორი როლები

ერთ-ერთი სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა კლასში შენიშნა, რომ მოსწავლეები ხშირად არეულს ტოვებდნენ საკლასო ოთახს და როცა მათ ოთახის დალაგებას სთხოვდა, მხოლოდ გოგოები იჩენდნენ ინიციატივას. ერთ-ერთ დღეს გადაწყვიტა, ოთახის დალაგება-დასუფთავებაში მოსწავლეების ჩართულობის და მათ მიერ საკლასო პროცესზე პასუხისმგებლობების გააზრების მიზნით მცირე აქტივობაში ჩაერთო მოსწავლეები. ფურცლებზე გაწერა სხვადასხვა როლი მაგ: მაგიდების და სკამების გასწორება, ფურცლების და კალმების ალაგება მაგიდებიდან, იატაკზე დაყრილი ნივთების მოგროვება, ყვავილების მორწყვა და სხვა. ფურცლები დაკეცა და ჩაყარა ყუთში. თანაბარი რაოდენობის ბიჭს და გოგოს სთხოვა რომ გამოსულიყვნენ და რიგრიგობით აეღოთ ფურცლები ყუთიდან, ისე რომ არ იცოდნენ რა როლი შეხვდებოდათ. მოსწავლეებს განუმარტა, რომ საკლასო ოთახის მოვლა ყველას პასუხისმგებლობაა და რომ ფურცელზე მოცემული დავალება იქნებოდა მათი როლი მთელი კვირის განმავლობაში. შემდეგ კვირაში კი სხვა ჯგუფი გადაინაწილებდა ამ პასუხისმგებლობას.

როლი – ხელს უწყობს კურიკულუმის, მათ შორის არაფორმალური აქტივობების, შემუშავება/გადასინჯვის პროცესში მოსწავლეების მონაწილეობას; (მპს, მ.5, გ)

ქმედება – სკოლაში მოსწავლეთა ურთიერთსწავლების დანერგვა

შემთხვევა – თანატოლების სწავლება

ერთ-ერთ სკოლაში, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ფიზიკის მასწავლებელმა წამოაყენა იდეა საგნობრივი კათედრების მიერ, საკუთარი პროგრამების შედგენისას, გათვალისწინებულ იქნეს სემესტრის განმავლობაში, სულ მცირე, 3 გაკვეთილი, რომელსაც მოსწავლეები უმცროსკლასელებს ჩაუტარებენ. იდეის ავტორმა გამოთქვა აზრი, რომ სწავლების ამგვარი მეთოდი თანატოლებს გაუზრდით სწავლის მოტივაციას, მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ ცოდნას, გამოცდილებასა და სწავლის მეთოდებს, უკეთ შეისწავლიან კონკრეტულ საგნობრივ მასალას, გაიცნობენ მასწავლებლის პროფესიას, ამით კი გაიზრდება მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში. ამ ინიციატივას შეუერთდნენ სხვა საგნობრივი ჯგუფები და კათედრები და თითოეული საგნობრივი ჯგუფის მიერ შეირჩა, სულ მცირე, ის 3 თემა, რომელზეც მოსწავლეები თავად ჩაატარებდნენ გაკვეთილს.

მასწავლებლებმა მოსწავლეებს გაკვეთილზე გააცნეს ახალი ინიციატივა და, მოსწავლეთა მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა ის მოსწავლეები, რომელებიც პირველ ეტაპზე მოირგებდნენ მასწავლებლის როლს. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დაამუშავეს კონკრეტული მასალა და განსაზღვრეს ის კლასები, რომელშიც მიზანშეწონილი იქნებოდა შერჩეულ თემაზე მუშაობა და განახორციელეს ერთობლივად დაგეგმილი აქტივობა.

ქმედება – საგნობრივი კათედრების მიერ მოსწავლეთა შეფასების კომპონენტების/ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პრაქტიკული რჩევები – შეფასება – მოსწავლეთა ჩართულობა

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავდება საგნობრივი პროგრამები, შეფასების სქემები და ინსტრუმენტები, პროექტული სწავლების გეგმები თუ ინტეგრირებული გაკვეთილები. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, რაც, პირველ რიგში, გაზრდის მათ სასწავლო მოტივაციასა და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას სასწავლო მიზნებისადმი.



1-ელი ნაბიჯი

საბაზო-საშუალო საფეხურის კლასებში სწავლების პირველივე კვირას მოსწავლეებს გააცანით ესგ-ის საგნობრივი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით შემუშავებული დავალებათა/აქტივობათა ტიპები და მათი შეფასების კრიტერიუმები.

მე-2 ნაბიჯი

პირველი სასწავლო კვირის განმავლობაში საგაკვეთილო პროცესი დაუთმეთ აღნიშნული დავალებებისა და შეფასების სქემების ანალიზს, რათა თითოეული მოსწავლისათვის მკაფიოდ იყოს გასაგები თქვენი მიზნები და მათთვის მოთხოვნილი ქმედებების თავისებურებები.

მე-3 ნაბიჯი

შემდეგ ეტაპზე გაკვეთილი დაუთმეთ საგნის ფარგლებში გამოყენებული დავალებებისა და შეფასების სქემების მოსწავლეთა მიერ ჯგუფური მუშაობის ფორმატში ანალიზს; სთხოვეთ მათ, არგუმენტირებულად წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია – დოკუმენტებში, მათი აზრით, არსებული ხარვეზების შესახებ და, იმავდროულად, შემოგთავაზონ შესაბამისი ოპტიმალური გადაჭრის გზა.

მე-4 ნაბიჯი

მოსწავლეების მიერ მომზადებული რეკომენდაციათა და მოსაზრებათა ნუსხა გადაამუშავეთ და შეიტანეთ შესაბამისი ცვლილებები თქვენ ხელთ არსებულ მასალებში.

მე-5 ნაბიჯი

დავალებათა და შეფასების სქემათა განახლებული რედაქცია გააცანით მოსწავლეებს, განუმარტეთ ცვლილებების ასახვის ტაქტიკა და, ასევე, განუმარტეთ ზოგიერთი მათი რჩევის არგათვალისწინების მიზეზი.

მე-6 ნაბიჯი

შეფასების სქემების ელექტრონული ვერსიები გახადეთ ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის – მიაწოდეთ ელფოსტის / სასაუბროს, საერთო ფეისბუქგვერდის თუ სხვა საშუალებით.

ქმედება – სხვადასხვა საგანში დამატებითი საკითხავი თუ სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების მოძიებისა და შერჩევის პროცესში მოსწავლეების აქტიური ჩართვა.

<u>*შემთხვევა – ვქმნით სასწავლო მასალას*</u>

ერთ-ერთი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად დაგეგმა დამხმარე საგანმანათლებლო მასალის ერთობლივი შერჩევა. მან მოსწავლეებს წარუდგინა წლიური კალენდარული გეგმა – თემატიკათა ჩამონათვალი და მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფს გაუნაწილა მსხვილი თემატური ჯგუფები, რომლებზეც მათ უნდა მოეპოვებინათ ქართულ და უცხოურ ენებზე დამატებითი მასალები – დოკუმენტური ფილმები, ვიდეორგოლები, აკადემიური საკითხავი მასალა და სხვა. ასევე, აუხსნა მოსწავლეთა ჩართულობისა და ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობის შესახებ. მოსწავლეებმა, მასწავლებელთან აქტიური თანამშრომლობით, შექმნეს მე-10 კლასის ბიოლოგიის საპროგრამო მასალისათვის დამხმარე რესურსების (მათ შორის, მულტიმედიური მასალების) კრებული, რომელზე მუშაობამაც მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც მოსწავლეთა სასწავლო მოტივაცია, ისე პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება თავად საგნის შესწავლისადმი. მოძიებული რესურსები მოსწავლეებმა განათავსეს მათ მიერვე (ისტ-ის პედაგოგის დახმარებით) სპეციალურად შექმნილ პლატფორმაზე (ბლოგზე) და, ასევე, დაგეგმეს მისი გაზიარება სხვა სკოლებთან.

ქმედება – მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებისათვის კლუბების ორგანიზებისა და მართვის საკითხებზე კონსულტირება და სასკოლო პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა;

შემთხვევა – სასკოლო კლუბები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისების კონკურსში, ერთ-ერთმა სკოლამ წარადგინა სასკოლო კლუბის პროექტი – „წიგნის კლუბი“. იგი მიზნად ისახავდა მოსწავლეების მიერ კლუბის დაარსებას, მოსწავლეთა ინტერესების იდენტიფიცირების მიზნით, სასკოლო კვლევის ჩატარებას, სასურველი ლიტერატურის მოძიებას, თანამედროვე ქართველი ავტორების შემოქმედების გაცნობას და შემდგომ ეტაპზე ავტორებთან ერთად ნაწარმოებების შესახებ დისკუსია-განხილვას, სკოლის ბიბლიოთეკის შესწავლასა და დაზიანებული წიგნების რესტავრაციას ხელოვნების, ისტორიისა და ქართულის მასწავლებლებთან თანამშრომლობით, ასევე, მშობლების ჩართვას დისკუსია-განხილვებში.

წარდგენილმა პროექტმა გაიმარჯვა და ერთი სემესტრის განმავლობაში უმასპინძლა 4 ქართველ თანამედროვე ავტორს.

ინსტრუმენტი – მოხალისეობრივი საქმიანობის ორგანიზების გზამკვლევი

არსებობს მოხალისეობის უამრავი შესაძლებლობა, როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური, მათ შორის, ციფრული რესურსების გამოყენებით. ამჯერად, ვნახოთ, თუ როგორ გამოიყურება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს მათი ასაკის შესაფერისი აქტივობა შესთავაზოთ და, ასევე, გაუადვილოთ მოხალისეობრივი საქმიანობის დაწყება:

- დაუკავშირდით შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და მიიღეთ დეტალური ინფორმაცია მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ. სასურველია, ეს კავშირები გაფორმდეს სკოლის სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით;[11]
- შეარჩიეთ რამდენიმე ტიპის საქმიანობა, რომელიც მოსწავლეების ასაკთან, მათ ფსიქო-ფიზიკურ განვითარებასთან შესაბამისობაში იქნება;
- გააცანით ეს შესაძლებლობები მოსწავლეებს (მაგალითად, საქმიანობა, რომე-

11 მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალი:
https://helpinghand.ge – არასამთავრობო ორგანიზაცია მოხალისეობის მსურველთათვის;
https://csdc.ge – სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი;
https://app.orbeliani.net/ka/visitor – ორბელიანი საქართველო – იდეები თემში პოზიტიური ცვლილებებისათვის;
https://caritas.ge – საქართველოს კარიტასი
https://ka-ge.facebook.com/GeorgiaRedCross – წითელი ჯვრის საქართველოს ოფისი;
https://edec.ge/gaxdi-moxalise – განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი;
https://www.salto-youth.net/rc/eeca/cooperation/languages/ge/esc – ევროპის სოლიდარობის კორპუსი.



ლიც დაკავშირებული იქნება 1. ქუჩაში მცხოვრებ ან უკიდურესი სოციალური გასაჭირის მქონე ბავშვებთან დღის ცენტრებში, 2. მიუსაფარ ბავშვებთან ბავშვთა სახლებში და 3. სოციალურ საწარმოებში შშმ პირებთან);

- დისკუსიის გზით, გამოკვეთეთ მათი ინტერესები, პრიორიტეტები, სურვილები; (მაგალითად, გამოიკვეთა მოსწავლეების ინტერესი დღის ცენტრებისა და სოციალური საწარმოების მიმართულებით, მაშასადამე მოსწავლეები ორი მიმართულებით დასაქმდებიან. ასეთ შემთხვევაში დარწმუნდით, რომ მათი საქმიანობა მეტ-ნაკლებად თანაბარ რესურსს მოითხოვს – გაითვალისწინეთ როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური რესურსები – მოსწავლის დრო და ძალისხმევა);
- შეიმუშავეთ მოხალისეობის სასკოლო რეჟიმზე მორგებული სქემა (მოხალისეობრივი საქმიანობა უმჯობესია იყოს არაერთჯერადი, გაიწეროს რამდენიმე კვირაზე მცირე საათობრივი დატვირთვით – მაგალითად, კვირაში მხოლოდ 2 საათი 8 კვირის განმავლობაში), მოცემული სქემა წინასწარ შეათანხმეთ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან;
- საქმიანობის დაწყებამდე შეგიძლიათ SWOT ანალიზის მეთოდით დაეხმაროთ მოსწავლეებს მათი საქმიანობის წინასწარ გააზრებაში (შეადგინეთ SWOT ანალიზისათვის განკუთვნილი სქემა (იხ. სქემა)[12] და მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ ის, შემდეგ დატოვეთ საკლასო ოთახში მოხალისეობის დასრულებამდე);
- მოსწავლეები ინტერესის მიხედვით დააკავშირეთ მოხალისეობრივ ორგანიზაციებს, რომლებთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს წინასწარ ჩაუტარდებათ მოსამზადებელი ტრენინგი, ეყოლებათ კოორდინატორი და პირადი კონსულტანტი ადგილზე;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, აწარმოონ დღიური;
- იქონიეთ სისტემატური კომუნიკაცია მოსწავლეების კონსულტანტებთან;
- სისტემატურად ესაუბრეთ მოსწავლეებს მათ გამოცდილებაზე ჯგუფურად და, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალურად. (მზად იყავით, რომ ამ დროს შეიძლება წარმოიქმნას საკითხები, რომელთაც თქვენი კომპეტენციაც ნაკლებად ეყოფა. გაიაროთ კონსულტაცია შესაბამის სპეციალისტებთან);
- მოხალისეობის დასრულების შემდეგ აქტივობის შესაჯამებლად და გამოცდილების ერთმანეთისათვის გასაზიარებლად, მოსწავლეებს შეუძლიათ წაიკითხონ ამონარიდები თავიანთი დღიურებიდან და ისაუბრონ თავიანთ გამოცდილებაზე, მოამზადონ პრეზენტაციები და წარადგინონ ისინი კლასის წინაშე ან სპეციალურად მოწყობილ ღონისძიებაზე სკოლაში;
- მოსწავლეებთან ერთად, კიდევ ერთხელ გააკეთეთ SWOT ანალიზი. შეადარეთ შედეგები აქტივობის წინარე შედეგებს.
- გამოცდილების გააზრებისათვის იმუშავეთ შემდეგი კითხვებით: რა გავიგე? რა გავიაზრე? რა ვისწავლე? რა განვიცადე? რისი სურვილი გამიჩნდა? წაახალისეთ მოსწავლეები გამოცდილების განზოგადებისაკენ; (ინსტრუმენტი ა., ინსტრუმენტი ბ.)
- წაახალისეთ მოსწავლეები, რომ დაგეგმონ მომავალი აქტივობები.

12 გვ. 18

ინსტრუმენტი ა – რეფლექსიის ინსტრუმენტი 4F – (Facts, Feelings, Findings, Future – ფაქტები, გრძნობები, დასკვნები, მომავალი)

აქტივობის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ შემდეგი სქემის შევსება:

რა ვიცოდი? რა გავიგე?	**რას ვგრძნობდი? რას ვგრძნობ ახლა?**	**რის კეთება არ ვიცოდი / რა არ შემეძლო? რა ვისწავლე / რა შემიძლია ახლა?**	**რის გაკეთებაა საჭირო შემდეგ ეტაპზე? რა შემიძლია გავაკეთო მე?**

რასაკვირველია, ეს სქემა შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს მოსწავლეების ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, შეიძლება, კლასის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა სქემა შეავსონ ანონიმურად, თუკი ეს მათ მიერ აზრის უფრო თამამად გამოხატვას შეუწყობს ხელს. სქემის შევსება მხოლოდ პირველი ბიძგი იქნება, ბავშვების მიერ საკუთარი გამოცდილების გააზრების გზაზე. მასწავლებლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული, როგორ შეძლებენ ისინი საკუთარი დასკვნების განზოგადებას და მომავალში გამოყენებას.

ინსტრუმენტი ბ – 6+1 სქემა

დაკვირვება

რა აღმოვაჩინე დაკვირვებით და რამდენად ობიექტური აღმოჩნდა ჩემი წარმოდგენები?

კითხვები

რამდენად სწორად დავსვი კითხვები?

ჰიპოთეზა

გამართლდა თუ არა ჩემი ვარაუდი?

მცდელობა

როგორ დავგეგმე მოქმედებები?

ანალიზი

რა იყო ჩემს მცდელობაში კარგი? გასაუმჯობესებელი?

დასკვნები

რა შეიცვალა? რა შედეგებს მივაღწიე?

დამატებითი კითხვა:

ვინანებდი თუ არა, ეს რომ არ გამეკეთებინა?

ქმედება – მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით, კლასთაშორისი საგნობრივი თუ საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობების უზრუნველყოფა

<u>პრაქტიკული რჩევები – რომელიმე პრიორიტეტულ საკითხზე საერთო სასკოლო პროექტის შექმნა – ვიდეოფილმები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ</u>[13]

მოსწავლეთა არაფორმალური თუ ფორმალური აქტივობების ხელშეწყობა, როგორც კვლევები ადასტურებს, მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს, სასწავლო პროცესში ჩართულობას, დისციპლინასა და მოტივაციის ხარისხს. ამ მიზნით საერთო სასკოლო პროექტების შემუშავება და წარმატებული მაგალითების შეთავაზება სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.



1-ელი ნაბიჯი

საწყის ეტაპზე ინტელექტუალური შეჯიბრების ინიციატორი მასწავლებელი ხვდება სხვადასხვა საგნის მასწავლებელს და სთხოვს მათ საკუთარი საგნის პოზიციიდან მოიფიქრონ 10 შეკითხვა, რომელთაგან 5, გარკვეულწილად, საგნობრივი ცოდნას დაეყრდნობა, ხოლო დანარჩენი 5 კი სფეროსთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ანალიტიკურ-სააზროვნო მიდგომით გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული; ცხადია, მნიშვნელოვანია კონფიდენციალობის დაცვა.

მე-2 ნაბიჯი

ამ ეტაპზე ვიქტორინაში/შეჯიბრებაში ჩართული სხვადასხვა საგნის მასწავლებლები გადასცემენ ინიციატორ პედაგოგს მასალებს, რომლებითაც შედგება შეკითხვათა ბაზა; თითოეულ შეკითხვას თან უნდა ახლდეს სწორი პასუხი და ერთოდეს შესაბამისი წყაროც.

მე-3 ნაბიჯი

აღნიშნულ ვიქტორინაში ჩართული პედაგოგები არსებულ შეკითხვებს გაუკეთებენ ექსპერტულ შეფასებას და მათ გადაანაწილებენ სირთულის 3 კატეგორიის მიხედვით – მარტივი / საშუალო / რთული. მთავარია, სირთულის რანჟირებისას სპეციალისტებმა თავისი პროფესიისგან განსხვავებული საგანი შეაფასონ.

მე-4 ნაბიჯი

დამუშავებული შეკითხვების ბაზიდან შედგება მოსწავლეთა ვიქტორინის / ინტელექტუალური შეჯიბრების შეკითხვათა პაკეტი, რომელსაც გამოიყენებენ უშუალოდ ღონისძიებაზე.

მე-5 ნაბიჯი

ვიქტორინის / ინტელექტუალური შეჯიბრების წესებისა და ეტიკეტის სტანდარტი ერთობლივად უნდა შეთანხმდეს მოსწავლეთა იმ ჯგუფებთან, რომლებიც იღებენ მონაწილეობას. ეს განაწესი გადამუშავდეს მათი რეკომენდაციების შესაბამისად და დაეგზავნოთ მათ გასაცნობად;

მე-6 ნაბიჯი

აქვე მონაწილე მოსწავლეებთან არის შესათანხმებელი ვიქტორინის / ინტელექტუალური შეჯიბრების შეფასების თუ ქულათა განაწილების მეთოდიკა. ამ შემთხვევაშიც საბოლოო რედაქცია წინასწარ უნდა მიეწოდოთ მათ;

13 პროექტის შესახებ იხ. დამატებითი ინფორმაცია: https://tinyurl.com/2s4zxu5b

მე-7 ნაბიჯი

სკოლის მიერ უნდა მომზადდეს ვიქტორინის / ინტელექტუალური შეჯიბრების მონაწილეთათვის სიგელები, ხოლო გამარჯვებული გუნდისთვის შესაბამისი დიპლომები. სკოლის ბიუჯეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი წახალისება იქნება გამარჯვებული მოსწავლეებისათვის წიგნის მაღაზიის ვაუჩერების გადაცემა.

ქმედება – საგნობრივი მიმართულებების მიხედვით დარგის სპეციალისტების სიის შედგენა და მათ მოსაწვევად საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

შემთხვევა – ვარჩევთ „სპიკერებს “ ინსტრუმენტი

ერთ-ერთი სკოლის საგნობრივმა კათედრებმა სასკოლო პროექტის „სპიკერები ჩვენს სკოლაში“ ფარგლებში მოამზადეს მომხსენებლების (საგანში 3 მომხსენებელი) სია, რომლებიც ჩაატარებდნენ ლექციას/სამუშაო შეხვედრას მოსწავლეებისათვის ამ თუ იმ საგანთან დაკავშირებული შემეცნებითი-საგანმანათლებლო კონტექსტის ინფორმაციის გასაცნობად. პროექტში ჩართული მოსწავლეების ამოცანა იყო, შეესწავლათ მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი „სპიკერები“, მათი გამოსვლები და ინტერვიუები და აერჩიათ თითო საგანში ერთი მომხსენებელი, რომელსაც მოიწვევდა სკოლა.

ინსტრუმენტი ა

მომხსენებელი	არჩევანის მიზეზი	დამუშავებული მასალა	მცირე რეფლექსია	კომენტარი
1				
2				
3				

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მხარს უჭერს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას. (მპს,მ.10, ბ)

ქმედება – თემში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზუნველყოფა

შემთხვევა – ფორუმთეატრი

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ჩატარდა ფორუმთეატრი. ეს მეთოდი ემსახურებოდა სოციალური ტრანსფორმაციის, საზოგადოების სასიკეთო ცვლილებისა და თემში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში მოსწავლეთა ჩართვის ხელშეწყობას. ფორუმთეატრი ჩვეულებრივი სპექტაკლისგან განსხვავდება იმით, რომ სცენასა და მაყურებელს ერთმანეთთან აკავშირებს. მოსწავლეებმა სკოლის ეზოში მოიწვიეს სასკოლო თემი და ადგილობრივი მოსახლეობა თემში არსებული პრობლემის „ოჯახში ძალადობის“ საკითხზე დასაფიქრებლად. მოსწავლეებმა, ფორუმთეატრის წესების მიხედვით, წარმოდგენა გამართეს ორჯერ. კონკრეტული სცენის გამეორებისას, მაყურებლებს ჰქონდათ საშუალება, გამხდარიყვნენ მსახიობები და შეეცვალათ პროცესის მიმდინარეობა სასურველი სცენარით. მოსწავლეები დაიყვნენ ჯგუფებად. ჯგუფებს ჰქონდათ დავალება – დაედგათ მინისპექტაკლი შემოთავაზებულ პრობლემურ საკითხზე. კონკრეტულმა ჯგუფებმა დაინაწილეს სცენარი და როლები.

ფორუმთეატრი მიმდინარეობდა შემდეგი წესის მიხედვით: სცენაზე გადიოდა ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფის წევრები კი ითავსებდნენ მაყურებლის როლს. პირველი მოქმედების დასრულების შემდეგ ფასილიტატორი (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაციის წევრი, მშობელი ან თემის სხვა წარმომადგენელი) მიმართავდა მაყურებელს კითხვებით: რა პრობლემა დაინახეთ? როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? ხომ არ არის შესაძლებელი პრობლემის გადაჭრა რომელიმე როლის/პერსონაჟის ჩანაცვლებით? აუდიტორია იწყებდა ფიქრს გამოსავალზე. იგივე ჯგუფი განმეორებით წარმოადგენდა ახალ სცენარს. ფორუმთეატრის მიმდინარეობის პროცესში, ნებისმიერ მსურველს ტაშით შეეძლო გაეჩერებინა მოქმედება და ჩაენაცვლებინა მსახიობი. აღნიშნული დადგმა რამდენჯერმე შეწყდა ტაშის დაკვრით და ახალი მონაწილის ჩანაცვლებით. ფორუმთეატრის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია შერჩეული საკითხის შესახებ (ოჯახში ძალადობა). დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები.

როლი – ხელს უწყობს მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას და მხარს უჭერს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობ სასკოლო პოლიტიკას; (მპს,მ.10, ბ)

ქმედება – საგანმანათლებლო-შემეცნებითი თუ სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, რომლებშიც მოსწავლეები მშობლებთან ერთად მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას;



შემთხვევა – „ვთამაშობთ ჭადრაკს“

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში შეიქმნა ამ სკოლის კურსდამთავრებულის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საჭადრაკო კლუბი „კაისა“ (ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი); ჭადრაკის მასწავლებელმა ორგანიზება გაუწია საჭადრაკო სასკოლო ჩემპიონატს III-XII კლასის მოსწავლეებისათვის. პირველ ეტაპზე გამოვლინდა სამი საუკეთესო მოთამაშე, რომლებმაც პროექტის ბოლოს, ოჯახის უფროს წევრთან ერთად, საფინალო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული შეჯიბრება მოსწავლეთა და მშობელთა გუნდური ჩემპიონატის ფარგლებში გაიმართა.

სკოლის ადმინისტრაციამ, მასწავლებლის ინიციატივის წასახალისებლად, ხელი შეუწყო თემში არსებული კერძო სექტორის წარმომადგენლების დაინტერესებას საჭადრაკო კლუბის საქმიანობით და, შედეგად, ადგილობრივმა ბიზნესორგანიზაციებმა დააწესეს თავიანთი პრიზები გამარჯვებული გუნდებისთვის.

პრაქტიკული რჩევები – ჩვენი ისტორიული მეხსიერება



1-ელი ნაბიჯი

საწყის ეტაპზე მასწავლებელი საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს გააცნობს პროექტს „ჩვენი ქალაქის/რაიონის/სოფლის ისტორიული მეხსიერება. ამ იდეის ფარგლებში, მოსწავლეები და მშობლები ერთად ეცდებიან ინტერვიუების, ფოტო-ვიდეო მასალის შეგროვებით შექმნან ერთგვარი ისტორიული გზამკვლევი. მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეთა წინადადებებსა და უკუკავშირს და შეეცდება მათ გათვალისწინებას პროექტის განხორციელებისას.

მე-2 ნაბიჯი

მასწავლებელი გადაანაწილებს მოსწავლეთა ჯგუფებს შესაბამისი საქმიანობებისათვის. პირველ რიგში, ეწვევიან ქალაქის არქივს და მასწავლებელთან ერთად დაამუშავებენ არსებულ მნიშვნელოვან მასალას, გააციფრულებენ და შექმნიან ერთგვარ ელექტროკატალოგს.

მე-3 ნაბიჯი

მოსწავლეთა ჯგუფები, მშობლების აქტიური მონაწილეობით, შეაგროვებენ ზეპირ ისტორიებს რაიონის/სოფლის/ქალაქის შესახებ. ინტერვიუს დროს აქცენტი გაკეთდება საგანმანათლებლო, კულტურულ ასპექტებზე.

(ინსტრუმენტი ა)

მე-4 ნაბიჯი

ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფები ივლიან თემში, გააცნობენ პროექტის მიზნებს და სთხოვენ მათ, მისცენ საოჯახო ფოტოარქივში არსებული მნიშვნელოვანი ფოტოების გაციფრულების შესაძლებლობა.

მე-5 ნაბიჯი

მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით, პროექტის დასკვნით ღონისძიებად გაიმართება შეგროვებული მონაცემების წარდგენა. ღონისძიებაზე მოპატიჟებულები იქნებიან თემისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ინსტრუმენტი ა

სავარაუდო საკითხები/შეკითხვები ინტერვიუსთვის:

- გთხოვთ, გაიხსენოთ ჩვენს ქალაქთან/რაიონთან/სოფელთან დაკავშირებული ძველი ზეპირი ისტორიები.
- გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენ მიერ გადმოცემული ფოტოების შესახებ ისტორიები.
- გაიხსენეთ როგორ და სად ატარებდით მაშინდელი ახალგაზრდობა თავისუფალ დროს.
- რომელი ადგილი ითვლებოდა შეკრებების ცენტრად და რატომ?
- რა ტრადიცია არსებობდა თქვენს ახალგაზრდობაში, რომლის აღდგენასაც ისურვებდით. და ა.შ.

ქმედება – სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ მშობელთა ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო ელექტრონული ბუკლეტების / პრესრელიზების მომზადებაში მხარდაჭერა.

ქმედება – სკოლაში მშობელთა ინიციატივების – „მშობლის ინიციატივა/ იდეა“ – შეგროვების მიზნით მოსწავლეთა ინსტრუმენტის გამოყენება.

<u>შემთხვევა – „მშობლების ინიციატივათა შეგროვების პრაქტიკა“</u>

ერთ-ერთი სკოლის მოქალაქეობის მასწავლებელმა საბაზო-საშუალო კლასების მოსწავლეებს შესთავაზა პროექტი – „მშობელთა ინიციატივები სკოლას“, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ატარებდნენ ინტერვიუებს საკუთარ მშობლებთან, რომლის მიზანი იყო, შეეთავაზებინათ მათ სკოლისთვის ისეთი ინიციატივა / საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა ან სწავლება-სწავლის გაუმჯობესებას, ანაც სკოლის მართვის საკითხებს. აქვე, მშობელს, საუბრის დასასრულს, უნდა დაეფიქსირებინა, მას, როგორც მოხალისეს, რისი შეთავაზება შეეძლო სკოლის განვითარებისთვის.

<u>ინსტრუმენტი – „ინტერვიუ მშობელთან“</u>

- შენი მოსწავლეობის პერიოდიდან ხომ არ გაიხსენებდი მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შემთხვევას? რა როლი ჰქონდა მშობელს, შენ, მასწავლებელს?
- შენი აზრით, მშობლისა და სკოლის თანამშრომლობის რა შესაძლებლობებია თანამედროვე ცხოვრებაში?
- შენ, როგორც მოხალისემ, რა შეგიძლია გააკეთო ჩვენი სკოლისთვის, შენი რესურსი როგორ შეიძლება გამოიყენოს სკოლამ?
- 3 რჩევა, რომლებსაც მისცემდი ჩვენს სკოლას.

ქმედება – თემში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

<u>შემთხვევა – თემში არსებულ საკითხებზე დისკუსია</u>

გეოგრაფიის მასწავლებელმა დააწესა მოსწავლეებთან ყოველთვიური დისკუსიების გამართვა – თემისთვის სახასიათო და მოსწავლეთათვის ახლობელ აქტუალურ საკითხებზე (მაგ. მოსწავლეებს შეიძლება ჰქონდეთ კრიტიკული დამოკიდებულება თემში არსებული ურთიერთობების ფორმების, ქცევის წესების, საგზაო მოძრაობის საკითხების, ტრადიციების მიმართ, ბუნებრივი რესურსებისა და ტურისტული პოტენციალის ვერგამოყენების შესახებ). (ინსტრუმენტი ა) მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი ინიციატივით, გადაწყდა,

რომ დისკუსიებში მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს.

ინსტრუმენტი ა

რა? რა ვიცი? რა ინფორმაცია მაქვს? – მოსწავლეები პირველ ეტაპზე აფიქსირებენ ყველა ფაქტს, რომლის შესახებაც შეიტყვეს.

რა იქნება მერე? რას მეუბნება ეს ინფორმაცია? რა არის ამაში კარგი/ცუდი? რა არის ჩემთვის მიუღებელი? – მსჯელობის და ფაქტების ანალიზის გზით, მოსწავლეებმა უნდა გამოკვეთონ ის, რაც მათ პროტესტს, კრიტიკას ან პირიქით, დადებით შეფასებას იწვევს.

ახლა რა ვქნათ? – ბოლო ეტაპზე მოზარდებმა უნდა გამოკვეთონ შესასრულებელი ამოცანები, დასახონ მიზნები.

თუმცა ამით რეფლექსია არ მთავრდება. მოცემული სქემით მოსწავლეებთან უნდა ვიმუშაოთ აქტივობების განხორციელების ყველა მომდევნო ეტაპზე.

შემთხვევა – „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“[14]

შინდისის საჯარო სკოლამ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან ერთად, მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით”.

პროექტი მიზნად ისახავდა შინდისისა და მისი მიმდებარე სოფლების სასმელ წყალში ბუნებრივი რადიოაქტიური აირ-რადონის შემცველობის კვლევას.

მოსწავლეებმა თვითონ აიღეს წყლის სინჯები სასმელი წყლის და, ასევე, ზედაპირული წყლებიდან და ანალიზი გააკეთეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.



14 https://tinyurl.com/yv8b7vzc

ქმედება – მოსწავლეთა ინიციატივების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაციის მიზნით, მოსწავლეთა ხელშეწყობა.

შემთხვევა – „ინიციატივა მუნიციპალიტეტს“

ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ ბოლო პერიოდში, მას შემდეგ რაც მათ წინ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, მოსწავლეების დაგვიანების სიხშირემ მოიმატა. მათ გამოკითხეს დაგვიანებული მოსწავლეები და აღმოჩნდა, რომ მათ დიდხანს უწევდათ დგომა სკოლასთან არსებულ შუქნიშანთან, სანამ ფეხით მოსიარულეთათვის აინთებოდა მწვანე. აღნიშნული ინფორმაციის შემდეგ, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინიციატივით, დაიწერა განცხადება, რომლითაც ისინი ითხოვდნენ სკოლის წინა, ე.წ. რკინის ხიდის მონტაჟს.

რეფლექსიის ინსტრუმენტი

(რეფლექსიის ეს ინსტრუმენტი დაგეხმარებათ დაგეგმვის თავდაპირველ ინსტრუმენტში განსაზღვრული და შერჩეული ქმედებების განხორციელებისა და შედეგების შესახებ რეფლექსიაში. ასევე, რეფლექსიის ეს ინსტრუმენტი შეგიძლიათ დაუკავშიროთ „სვოტსა“ და დაგეგმვის სრულ პროცესს)

სწავლება-აღზრდის პროცესი მასწავლებლისგან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ყოველდღიურმა რუტინამ მასწავლებელს დააკარგვინოს მოქმედების გენერალური გეზი, ის კონცენტრირდეს უშუალოდ მიმდინარე ყოველდღიურ პროცესებზე და მისმა მოქმედებამ უფრო მექანიკური ხასიათი მიიღოს. მართალია, მასწავლებლები ერთმანეთთან ყოველდღიური კომუნიკაციის გზით ახორციელებენ სწავლება-აღზრდის პროცესის ანალიზს, მაგრამ საკუთარი პროფესიული შრომის შეჯერებისთვის მათ დაეხმარებათ სტრუქტურირებული რეფლექსია, რომელსაც გარკვეული პერიოდულობით მიმართავენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ რეფლექსიას არ უნდა მივმართოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმეთი უკმაყოფილონი ვართ, არამედ რეფლექსია უნდა გახდეს სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რითაც ხელს შევუწყობთ წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას.







რეფლექსიისათვის მასწავლებელს შეუძლია თავად შექმნას გარკვეული ინსტრუმენტები – კითხვარები, დიაგრამები, ცხრილები, რომლებიც მას გაუადვილებს ყველა ცალკეულ სიტუაციაში საკუთარი როლის სრულფასოვნად შეფასებას. ნიმუშად გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტს, რომელსაც კითხვარის ფორმა აქვს:

- რამდენად შევძელი დაგეგმვისას განსაზღვრული ნაბიჯების განხორციელება?
- რამდენად ვახორციელებდი დაგეგმილი აქტივობების პროგრესის მონიტორინგს?
- როგორ შევძელი მოსწავლეების დაინტერესება საკლასო/სასკოლო/კლასგარეშე/ სათემო საკითხებით?
- როგორ შევძელი მოსწავლეების წახალისება მონაწილეობისთვის?
- დავსვი თუ არა ყველა საჭირო კითხვა?
- რამდენად მივაღწიე მოსწავლეთა გულწრფელობას?
- ყურადღებით ვუსმენდი ჩემს მოსწავლეებს?
- რამდენად შევძელი მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინება განსახორციელებელი მოქმედებების დაგეგმვისას?
- როგორ შევძელი როლებისა და ფუნქციების გადანაწილება?
- დასახული ამოცანა და ინდივიდუალური ფუნქცია ყველა მოსწავლისთვის გასაგები გავხადე?
- როგორ გავუმკლავდი საორგანიზაციო საკითხებს?
- რა საკითხების მოგვარება შეიძლებოდა მიმენდო მოზარდებისთვის? სად არ გამოვიჩინე საკმარისი ნდობა?
- საკმარისი ემოციური და ორგანიზაციული მხარდაჭერა აღმოვუჩინე მოწაფეებს, რომლებმაც გარკვეული შეცდომები დაუშვეს?
- როგორ ვრეაგირებდი მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე? როგორ ვრეაგირებდი იმ მოსაზრებებზე, რომლებსაც არ ვეთანხმებოდი?
- როგორ ვრეაგირებდი ყველას და თითოეულის წარმატებასა და წარუმატებლობაზე? როგორ ვანაწილებდი ყურადღებას?
- იცავდნენ თუ არა მოსწავლეები შეთანხმებულ წესებსა და არსებულ რეგულაციებს?
- შევძელი უკლებლივ ყველა მოსწავლის მოტივირება?
- რამდენად შევძელი კონფლიქტური ან უხერხული სიტუაციების თავიდან არიდება?
- რამდენად მოვაგვარე ეს სიტუაციები?
- რაში მივაღწიეთ წარმატებას? რაში განვიცადეთ მარცხი? რა იყო ჩემი შეცდომები?
- რამდენად მოვახერხე მოსწავლეთა დახმარება გამოცდილების გააზრებაში?

A

მოსწავლეთა მონაწილეობა – სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოსწავლეთათვის

როგორ ეხმარება მოსწავლეებს ჩართულობა?

სკოლის დემოკრატიულ მართვაში მოსწავლეთა მონაწილეობა გულისხმობს აქტიური როლის ქონას, ჩართულობის შესაძლებლობასა და როლებისა და პასუხისმგებლობების გაზიარებას. ხარისხიანი მონაწილეობისთვის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სივრცე და შესაძლებლობები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისთვის. მონაწილეობა დაკავშირებულია საუბართან, ისევე, როგორც მოსმენასთან, საკუთარი აზრის გამოხატვასთან და სხვისი მოსაზრებების გააზრებასთან. მონაწილეობა ნიშნავს იმუშაოთ თქვენს თანატოლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან ერთად თქვენ ირგვლივ არსებული პრობლემების საუკეთესო გადაჭრის გზების მოსაძიებლად. მონაწილეობა არ ნიშნავს მხოლოდ აქტივისტობას და ის გულისხმობს იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას მათი ხმა, საჭიროებები და ინტერესები უფრო ნათლად იყოს გაჟღერებული.

სკოლის დემოკრატიულ მართვაში მონაწილეობის შედეგად, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ:



- გაითავისონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად;
- იგრძნონ სკოლისადმი მიკუთვნებულობა;
- აღიქვან სკოლა, როგორც მათი შესაძლებლობების/ინიციატივების რეალიზაციის სივრცე;
- გაიაზრონ სკოლის განვითარების პროცესში მათი, როგორც სასკოლო დემოკრატიული საზოგადოების წევრების, მნიშვნელოვნება და როლი;
- სხვების (მათ შორის მათი შეხედულებებისგან განსხვავებული) აზრების მოსმენას;
- საკუთარი აზრების კონსტრუქციულად გამოთქმასა და დისკუსიაში მონაწილეობას;
- სხვების უფლებებისა და ღირსების პატივისცემას;
- დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას;
- დემოკრატიული პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას;
- სირთულის/პრობლემის დასაძლევად თავიანთი წილი პასუხისმგებლობის აღებას;
- თავიანთი წვლილის შეტანას სკოლის დემოკრატიული კულტურის ფორმირებაში;

ასევე, მონაწილეობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს:

- ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს როგორც მათი, ასევე, თავიანთი თანატოლების ცხოვრებაში – რადგან მონაწილეობა არ არის საბოლოო მიზანი, არამედ პროცესი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სასკოლო საზოგადოების, მათ შორის, მოსწავლეების საჭიროებების უზრუნველყოფასა და ინტერესების რეალიზებას;
- განივითარონ უნარ-ჩვევები და გახდნენ უფრო მეტად თავდაჯერებულები – სხვადასხვა ინიციატივაში მონაწილეობის შედეგად, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შეიძინონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ მომავალში წარმატებულ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ, მაგალითად, ლიდერობა, საკუთარი აზრის თავდაჯერებულად გამოხატვა, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა.

რა როლს ასრულებთ მოსწავლეთა ჩართულობის წახალისებაში?

მოსწავლეები, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში:

- ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას;
- ხელს უწყობენ ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობას;
- ხელს უწყობენ თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას.

მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც ინტერესთა სფეროთი, ასევე, საჭიროებებით. ყველა მოსწავლისთვის სასკოლო საზოგადოებაში მონაწილეობა შესაძლოა საინტერესო არ იყოს სხვადასხვა მიზეზის გამო. ყველაზე ხშირად გავრცელებული ბარიერები, რომლებიც მოსწავლეებს აქტიურ მონაწილეობას ზღუდავს, მოიცავს:

- ინფორმაციის ნაკლებობას – როდესაც მოსწავლეებმა არ იციან, რა შესაძლებლობები არსებობს სასკოლო ცხოვრებაში მათი მონაწილეობისთვის და როგორ ჩაერთონ აქტიურად;
- ნდობისა და მოტივაციის ნაკლებობას – როდესაც მოსწავლეებს არ სჯერათ, რომ მათი ჩართულობა საბოლოო შედეგზე გავლენას იქონიებს ან როდესაც მათ მონაწილეობის პროცესი საინტერესოდ არ ეჩვენებათ;
- თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის ნაკლებობას – როდესაც მოსწავლეები ფიქრობენ, რომ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა მხოლოდ ლიდერი ახალგაზრდებისთვისაა და მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები, რათა დადებითი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში.

ამავდროულად, მოსწავლეებს, რომლებიც უკვე აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეუძლიათ გახდნენ მონაწილეობის მნიშვნელობის და არსის გამავრცელებლები (ერთგვარი ელჩები), რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მრავალფეროვანი ჯგუფების მოტივირებასა და ჩართულობის გაზრდას. ეს შესაძლებელია, თუ არსებულ ბარიერებს შესაძლებლობად გარდავქმნით და დავგეგმავთ ისეთ ნაბიჯებს, რომელიც მონაწილეობის არსსა და იდეას მოსწავლეთა ჯგუფებში უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის.

მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ:

- ხელი შეუწყონ თავიანთ თანატოლებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას – სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და სხვა სტრუქტურებისა და ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- დაარწმუნონ არც თუ ისე აქტიური თანატოლები, რომ მათი ჩართულობა სასარგებლო და მნიშვნელოვანია;
- მხარი დაუჭირონ თავიანთ თანატოლებს და შექმნან ისეთი სივრცეები და შესაძლებლობები, რომლებიც ყველა მოსწავლეს თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. ეს შეიძლება განხორციელდეს თანატოლთა მხარდამჭერი ჯგუფების ჩამოყალიბების, ინდივიდუალური მხარდაჭერისა და მოტივირების გზით.

როგორ განვსაზღვროთ, რა ეტაპზე ვართ – თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი, SWOT-ანალიზი

აღნიშნული პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესავალ თავში ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მონაწილეობის ყველა ფორმა ნამდვილი მონაწილეობა არ არის. მაგალითად, დეკორაცია, როდესაც მოსწავლეები სკოლის შეხვედრაზე დასვამენ შეკითხვებს, რომელიც უფროსების მიერაა მიწოდებული და ისინი ვერ ერკვევიან შეკითხვის შინაარსში. ამ ქვეთავში შემოთავაზებული ინსტრუმენტები დაგეხმარებათ, კრიტიკულად გაიაზროთ, თუ რას გულისხმობს პრაქტიკაში ნამდვილი და ხარისხიანი მონაწილეობა და როგორ შეუძლიათ მოსწავლეებსა და მათ თანატოლებს, გაიაზრონ მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

ინსტრუმენტი I

პირველი ინსტრუმენტი ეფუძნება ევროპის საბჭოს ქარტიას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ. ეს ინსტრუმენტი ამბობს, რომ მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა, მოსწავლეთა დემოკრატიულ ცხოვრებაში, მათ შორის, სკოლაში, მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. მონაწილეობა და მოქალაქეობრივი აქტივობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მონაწილეობაში მხარდაჭერასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმას უკეთესი საზოგადოების შექმნის მიზნით.

უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ გზამკვლევ კითხვებს და შეეცადეთ, გაიაზროთ, თუ რა საშუალებები გაქვთ სკოლაში ხარისხიანი მონაწილეობისათვის და რა გჭირდებათ, რომ გაუმჯობესდეს.

შესაძლებლობის, სივრცის, უფლებების, პირობების, მხარდაჭერის მოდელი მონაწილეობის ხარისხის შესამოწმებლად

შესაძლებლობები	სივრცე	უფლებები	პირობები	მხარდაჭერა
რა შესაძლებლობები (პროექტები, ინიციატივები) არსებობს მოსწავლეებისათვის, რათა მათ თავიანთი ინტერესების შესაბამისად მიიღონ მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში?	არსებობს ვირტუალური ან ფიზიკური სივრცეები, რა გზითაც თქვენს მოსაზრებებს სკოლის საზოგადოების სხვა წევრები მოისმენენ? (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს სხდომები, შეხვედრები მოსწავლეებთან და ა.შ)	გაქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღოთ სასკოლო ცხოვრებაში? როგორ შეგიძლიათ ამის დასაბუთება?	გაქვთ მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები (მაგალითად, ოთახი შეკრებისთვის, ხელმისაწვდომი ინტერნეტი, ნებართვა მშობლებისგან, რომ სკოლაში დარჩეთ გაკვეთილების შემდეგ და სხვ.)?	რა ტიპის მხარდაჭერა აქვთ შედარებით პასიურ მოსწავლეებს, რათა მათი ხმა გაჟღერებული იყოს სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის გზით?
რა გზებით იღებენ მოსწავლეები ინფორმაციას სასკოლო აქტივობების შესახებ?		გაქვთ სხვა უფლებები, რომლებიც ხარისხიანი მონაწილეობისთვის აუცილებელია? (მაგალითად – აზრის გამოხატვის თავისუფლება, თავისუფალი შეკრების უფლება და სხვა)? კონკრეტულად რა უფლებებია ესენი?	როგორ შეგიძლიათ იმ პირობების უზრუნველყოფა, რომელიც ჯერჯერობით არ გაქვთ, თუმცა გსურთ, რომ მიიღოთ?	ვინ არიან ის ადამიანები სკოლაში, რომლებიც მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდამჭერებად შეგვიძლია აღვიქვათ და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ მათი რესურსი სასიკეთოდ?
			არსებობს თუ არა პირობები ყველას მონაწილეობისათვის, მიუხედავად მოსწავლის ეთნიკური წარმომავლობისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა? მაგალითად, გაქვთ თუ არა ადაპტირებული გარემო?	

ინსტრუმენტი II

მეორე ინსტრუმენტი ეფუძნება გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციას, რომლის მე-12 მუხლის მიხედვით, მოსწავლეებს (ბავშვებს) უნდა ჰქონდეთ სივრცე საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისათვის, მათი ხმა უნდა იყოს გაჟღერებული, მათ უნდა ჰყავდეთ მსმენელები, რათა მოსაზრებები იყოს გაზიარებული და გააზრებული და მათ მოსაზრებებს უნდა ჰქონდეთ გავლენა სასკოლო სივრცეში მიღებულ ან მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ გზამკვლევ კითხვებს და შეეცადეთ, გაიაზროთ, თუ რა საშუალებები გაქვთ სკოლაში ხარისხიანი მონაწილეობისათვის და რა გჭირდებათ, რომ გაუმჯობესდეს.

სივრცე	როგორ: უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო და ინკლუზიური სივრცე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მოსაზრებების გამოხატვა.	ინტერესდებიან სკოლაში თქვენი მოსაზრებებით?	გაქვთ უსაფრთხო სივრცე თქვენი მოსაზრებების გამოსახატად?	იდგმება ნაბიჯები რათა ყველა მოსწავლეს შეეძლოს მონაწილეობა?
ხმა	როგორ: უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეთათვის და მათი აზრის გამოხატვის პროცესის ფასილიტირება/ კოორდინირება	გაქვთ ინფორმაცია, თუ როგორ შეგიძლიათ გამოხატოთ საკუთარი აზრი/უკუკავშირი სკოლაში?	იცით, რომ მონაწილეობა მოხალისეობრივია და ვალდებული არ ხართ, ჩაერთოთ?	გაქვთ მონაწილეობისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობები?
აუდიტორია	როგორ: უნდა დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეთა მოსაზრებები მიტანილია იმ პირებამდე, რომელსაც ეკისრებათ მოსმენის პასუხისმგებლობა	არსებობს მოსწავლეთა იდეების სხვებთან კომუნიკაციის პროცესი?	იცით, ვის აწვდიან ინფორმაციას თქვენი მოსაზრებების შესახებ?	თქვენ ან იმ სტრუქტურას, რომელშიც ჩართული ხართ (მოსწავლეთა თვითმმართველობა ან კლუბი) აქვს ძალაუფლება მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები?
გავლენა	როგორ: უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მოსწავლეთა მოსაზრებები სერიოზულადაა აღქმადი და მათ მოსაზრებებს შედეგად შეძლებისდაგვარად მოჰყვება კონკრეტული პოზიტიური ქმედებები	ითვალისწინებენ თქვენს მოსაზრებებს ის ადამიანები, რომელთაც სკოლაში გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება აქვთ?	არსებობს რაიმე პროცედურები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება, რომ მოსწავლეთა მოსაზრებები სერიოზულადაა აღქმადი?	გაწვდიან თუ არა უკუკავშირს იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც თქვენი ინტერესების სფეროების შესახებ მიიღეს?

როგორ უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები – დაგეგმვის ინსტრუმენტი



ზემოთ წარმოდგენილი ორი ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ შესაძლოა დაინტერესდეთ, რა ხდება მას შემდეგ, რაც გავაანალიზებთ და მოვახდენთ რეფლექსიას მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით. თქვენი განხილვის შემდგომი საფეხური შესაძლოა იყოს კონკრეტული ნაბიჯებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებიც მიმართული იქნება თქვენს სკოლაში მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მაგალითად, თუ გააანალიზეთ, რომ სკოლაში გამოწვევა მოსწავლეთა ჩართულობისთვის სივრცეების ნაკლებობაა ამ ნაწილში შესაძლებლობა გეძლევათ, დაფიქრდეთ, თუ რისი გაკეთება შეგიძლიათ ამ გამოწვევის საპასუხოდ.

ზოგადი პრიორიტეტების განსაზღვრასა და ნაბიჯების დაგეგმვაში შესაძლოა დაგეხმაროთ მიზნის დასახვის ინსტრუმენტი.

ინსტრუმენტი I

ჩემი მიზანი და მისი მიღწევის გზები

სახელი _____ მიზნის დასახვის თარიღი _____

ჩემი მიზანია _____

(მაგალითი: გავხვდე ჩემი კლასის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი)

მიზანი უნდა შესრულდეს _____ (თარიღი)

მიზნის მისაღწევად დამჭირდება (ნაბიჯები):	ორი რამ, რაც მიზნის მიღწევაში დამეხმარება:
ნაბიჯი 1 – ჩემი თანაკლასელების ინტერესების გამოკვეთა ნაბიჯი 2 – გუნდის შემოკრება ნაბიჯი 3 ნაბიჯი 4 (შეგიძლიათ ნაბიჯების დამატება)	…….. …….
მეცოდინება, რომ მიზანს მივაღწიე, მაშინ, როცა:	

მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი ქმედებები:

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა

- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრების გამართვა, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით (თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები);
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ სასკოლო დოკუმენტაციისა თუ შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლივი განხილვა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ფორმატში მოსწავლეთა საჭიროებებისათვის ბიუჯეტში გათვლილი თანხის ასათვისებლად მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფების საპროექტო განაცხადების კონკურსის ორგანიზება;
- დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეთა მოსაზრებების მომზადება და გაჟღერება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის როლისა და ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება (ბროშურების დარიგება, პოსტების გამოქვეყნება სოციალურ მედიაში და სხვა);
- გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიალური ორგანოების სხვა წევრებისთვის მოსწავლეთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა

- მოსწავლეთა მიერ საკლასო ოთახის ერთობლივი მოწყობა, მაგალითად, კლასის მცენარეებზე ზრუნვის განაწილება, კლასის კედლების მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული შემეცნებითი პოსტერებით გამრავალფეროვნება და სხვ.
- ყოველთვიური საერთო საკლასო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომლის ორგანიზებაზე ყოველ თვე სხვადასხვა მოსწავლე (3-4 მოსწავლე) აიღებს პასუხისმგებლობას, კლასის დამრიგებელთან თანამშრომლობით;
- კლასებს შორის სხვადასხვა სახის კონკურსებისა და გამოწვევების მოწყობა. მაგალითად, არაძალადობრივი კლასის ინიციატივა, ინკლუზიური კლასის ინიციატივა და სხვ.
- მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული, სხვა კლასებთან თანამშრომლობითა და მათი ჩართულობით, საკლასო სკოლის გარე აქტივობების დაგეგმვა, მაგალითად, ექსკურსია ან მუზეუმში ვიზიტი, რომლის ადგილიც მოსწავლეთა მიერაა შერჩეული;
- ინტერესების შესაბამისი თემატური კლუბების დაარსება და სხვა დაინტერესებული თანატოლების ჩართვა;
- მოსწავლეთათვის აქტუალურ საკითხებზე (ბულინგის პრევენცია, პროფესიული ორიენტაცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და სხვა) თემატური შეხვედრების ორგანიზება;
- ინოვაციური და საყოველთაოდ გავრცელებული მეთოდებისა და პლატფორმების გამოყენებით (მაგ. Facebook, Instagram), გამოწვევების ანალიზი, რაც ყველა მოსწავლეს მისცემს ჩართვის საშუალებას და გაუჩენს ინტერესს;
- ჯანსაღი ცხოვრებისკენ მიმართული აქტივობების (სპორტული აქციები, მარათონები და სხვ.) ორგანიზება, რომლებიც ყველა მოსწავლის ჩართულობას წაახალისებს;
- მოსწავლეთა მიერ ინიცირებული, სკოლებს შორის თანამშრომლობისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზება.

- სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
- პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების მიერ საერთო ღონისძიების ჩატარება;
- სასკოლო თემთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება;
- მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მოსწავლეთა იდეებისა და გამოწვევების ადვოკატირების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა, როგორებიცაა საკრებულო, გამგეობა, მერია და სხვ.
- მოსწავლეთა მიერ სათემო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა;
- ადგილობრივ ახალგაზრდულ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ან საკონსულტაციო სტრუქტურებში მოსწავლეთა მონაწილეობა, როგორებიცაა: ახალგაზრდული საბჭო, ახალგაზრდების მრჩეველთა კომიტეტი და სხვ.

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მოსწავლეები ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას.

ქმედებები:

ქმედება მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრების გამართვა, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით (დკკ – თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები);

ქმედება მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ სასკოლო დოკუმენტაციისა თუ შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლივი განხილვა;

ქმედება მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ფორმატში მოსწავლეთა საჭიროებებისათვის ბიუჯეტში გათვლილი თანხის ასათვისებლად მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფების საპროექტო განაცხადების კონკურსის ორგანიზება;

შემთხვევა – სამეურვეო საბჭოს სხდომაზე საკითხის დასმა

საქართველოს ერთ-ერთ სკოლას ჰქონდა დიდი შიდა ეზო, რომელიც ჩაკეტილი იყო. დიდ დასვენებაზე მოსწავლეებს არ ეძლეოდათ საშუალება, ეზოში გასულიყვნენ და ეთამაშათ. მოსწავლეთა თვითმმართველობამ ეს პრობლემა დააყენა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. შედეგად, სკოლამ გამოყო ბიუჯეტი, რათა შიდა ეზო მოპირკეთებულიყო და მოწყობილიყო სკამები და სხვა დასასვენებელი სივრცეები. მომდევნო სასწავლო წლიდან ეზო დიდ დასვენებაზე მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

იმისათვის, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობამ სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ აპირებს სკოლის ბიუჯეტში მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის განკარგვას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰქონდეს მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებული მინი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის გამოყენებით, მოსწავლეთა თვითმმართველობას შესაძლებლობა ექნება აღწეროს ის კონკრეტული პრიორიტეტები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარეობს და დაასაბუთოს მათი მოსაზრებები, რათა უკეთ დაარწმუნოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრები თვითმმართველობის შემოთავაზებული აქტივობების აქტუალობაში.

სამოქმედო გეგმის მომზადებისა და წარდგენისთვის გთავაზობთ შემდეგ ნაბიჯებს:



1-ელი ნაბიჯი

გაეცანით სამოქმედო გეგმის ფორმას (ინსტრუმენტი ა).

გთავაზობთ მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმის გამარტივებულ ვერსიას, რომლის შევსებაც თქვენი სკოლის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, დაგეხმარებათ არგუმენტირებულად წარუდგინოთ თქვენი პრიორიტეტები სამეურვეო საბჭოს.

მე-2 ნაბიჯი

გაინაწილეთ ფუნქცია-მოვალეობები და შეთანხმდით გარკვეულ დროზე, როდესაც ფორმაში წარმოდგენილ შეკითხვებს პასუხს გასცემთ.

მე-3 ნაბიჯი

ფორმის შევსებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადეთ მოკლე ვიზუალური პრეზენტაცია იმ ძირითადი მიგნებებისა, რომლის წარდგენაც გსურთ სამეურვეო საბჭოსთვის.

მე-4 ნაბიჯი

გააცანით წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია სამეურვეო საბჭოს წევრებს.

ინსტრუმენტი ა – მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფორმა

რა საჭიროებები აქვთ მოსწავლეებს ჩვენს სკოლაში? (შეგიძლიათ, დაასახელოთ რამდენიმე საჭიროება, მაგალითად, სკოლის საპირფარეშოს მოწესრიგება, საკლასო რესურსების ნაკლებობა და ა.შ.)	
როგორ ვასაბუთებთ ამ საჭიროებების არსებობას? (მოიყვანეთ მაგალითები)	
რა არის მოსწავლეთა თვითმმართველობის ამოცანები ერთი წლის განმავლობაში? ამოცანა 1 ამოცანა 2 ამოცანა 3 ამოცანა 4 ამოცანა 5 (შეგიძლიათ ჩამოწეროთ, მაქსიმუმ, 5 ამოცანა, რომელიც ორიენტირებულია ზემოთ აღწერილი საჭიროებების მოგვარებაზე, მაგალითად – სკოლის მოსწავლეთათვის სივრცეების შექმნა გაკვეთილების შემდეგ საკლუბო საქმიანობის განსახორციელებლად, მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და სხვ.)	
რა აქტივობების განხორციელებას გეგმავს მოსწავლეთა თვითმმართველობა ერთი წლის განმავლობაში? აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3 ... შეგიძლიათ, აღწეროთ აქტივობები, რომლებიც შესაბამისობაშია ზემოთ წარმოდგენილ ამოცანებთან. მაგალითად, სასკოლო სპორტული ჩემპიონატის ორგანიზება, სკოლაში საკლუბო ოთახის კეთილმოწყობა, კლასებისთვის რესურსების შეძენა და სხვ.	
რა კონკრეტულ შედეგებს მიაღწევთ თქვენ მიერ დაგეგმილი აქტივობებით?	
დაახლოებით, რა ბიუჯეტია საჭირო თითოეული აქტივობისათვის?	
როგორ შეაფასებთ თქვენი სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შედეგებსა და გავლენას მოსწავლეთა კეთილდღეობაზე?	

ქმედება ჯანსაღი კვების ადვოკატირება და ინდივიდუალური მენიუს შემუშავება

<u>*შემთხვევა – მოსწავლეთა ინიციატივები*</u>

თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების ინიციატივით, ჩატარდა სკოლის ყველა საფეხურის მოსწავლეთა წერილობითი გამოკითხვა, თუ როგორ აფასებდნენ ისინი თავიანთ რაციონს და პროდუქტების ფასებს. მოსწავლეთა თვითმმართველობამ გააანალიზა გამოკითხვის შედეგები,



რომლითაც გაირკვა, რომ ხშირად მენიუ ერთფეროვანი, არაჯანსაღი საკვებით იყო გაჯერებული. ხშირ შემთხვევაში, პროდუქციის ფასები არ იყო ხელმისაწვდომი და რაციონალური ყველა მოსწავლისთვის. მოსწავლეთა თვითმმართველობამ გამოკითხვის შედეგები სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარადგინა და გააჟღერა იდეა, დავალებოდა სკოლის საინიციატოვო ჯგუფს, შეემუშავებინა პროგრამა, სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ჩართულობით, ჯანსაღი კვების ადვოკატირების მიზნით. პროცესში ჩაერთო ყველა საფეხურისა და საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები, მოსწავლეები, მშობლები და დაიგეგმა არაერთი აქტივობა ცნობიერების ამაღლებისა და დაავადებების პრევენციის მიზნით. ასევე, მოწვეული სპეციალისტის დახმარებით (მაგ. ექიმი, ნუტრიციოლოგი და ა.შ.), მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ისწავლეს, როგორ შეედგინათ თავიანთ საჭიროებებზე დაფუძნებული ინდივიდუალური პროგრამა ჯანსაღი კვებისათვის.

ქმედება მოსწავლეთა ინიციატივით, მანდატურთან თანამშრომლობით სასკოლო შეხვედრების დაგეგმვა.

შემთხვევა – საუბრები მანდატურთან

ერთ-ერთ სკოლაში, მოსწავლეთა ინიციატივითა და მანდატურთან თანამშრომლობით, დაიგეგმა სასკოლო შეხვედრების სერია, სადაც მანდატური, ყველა კლასის საჭიროებების გათვალისწინებითა და არასასურველი ქცევების პრევენციის მიზნით, საუბრობდა იმ დისციპლინური გადაცდომების, სასკოლო შემთხვევების, ფსიქო-რეაბილიტაციის აქტივობების შესახებ, რაც კონკრეტული სკოლის/კლასის პრიორიტეტს წარმოადგენდა. შერჩეული თემები შეთანხმდა სკოლის დირექციასთან. ამ სკოლისათვის პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენდა სხვისი საკუთრების გამოყენების, ვერბალური შეურაცხყოფისა და პოსტტრამვული რეაბილიტაციის თემები.

ქმედება მოსწავლეთა თვითმმართველობის როლისა და ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობები (ბროშურების დარიგება, პოსტების გამოქვეყნება სოციალურ მედიაში და სხვა).

ქმედება გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიალური ორგანოების სხვა წევრებისთვის მოსწავლეთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

პრაქტიკული რჩევები – ჩართული მხარეების რუკის შედგენა

სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი) გადაწყვეტილებები სკოლის საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მიიღება. ესენი არიან მასწავლებლები, მშობლები, არაპირდაპირ – საჭიროებების დასაბუთებასა და პრიორიტეტების წარდგენაზე გავლენა აქვს სკოლის დირექციასაც. შესაბამისად, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვა მოსწავლეთა გაერთიანებების წევრებმა კარგად უნდა შეისწავლონ, ვინ შეიძლება იყვნენ მათი პოტენციური მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე ჩართული მხარეები სხვადასხვა საკითხის ადვოკატირებისას. მაგალითად, ვინ შეიძლება ემხრობოდეს ბუფეტის მენიუს შეცვლას და ვინ შეიძლება იყოს მისი წინააღმდეგი. ან ვინ შეიძლება ემხრობოდეს სკოლის შიდა ეზოს გაღებას დიდ დასვენებაზე და ვინ – არა. თითოეული ჩართული მხარის არგუმენტის შესწავლა მნიშვნელოვანია (რა აზრზეც არ უნდა იყვნენ ისინი), რათა კარგად მოვამზადოთ საკუთარი პოზიცია და კონტრარგუმენტებით ვუპასუხოთ თითოეულ არგუმენტს.

ამისათვის სასარგებლო შეიძლება იყოს ჩართული მხარეების რუკის შედგენა, რომელიც სხვადასხვა ხედვის ჩართული მხარეების წარმოჩინებასა და მათთან ჩვენი კომუნიკაციის დაგეგმვაში შესაძლოა დაგვეხმაროს.

ჩართული მხარის რუკის პრაქტიკაში გამოსაყენებლად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:



1-ელი ნაბიჯი

განსაზღვრეთ, რა თემასთან დაკავშირებით ამზადებთ ანალიზს ჩართული მხარეების რუკის დახმარებით. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სკოლის საერთო ღონისძიების მოწყობა ან სპორტული ჩემპიონატისთვის დაფინასების გამოყოფა.

მე-2 ნაბიჯი

თავი მოუყარეთ რუკის თითოეულ ნაწილში შესაბამის მხარეებს და აუცილებლად განიხილეთ, რა მიზეზით მოხვდა ესა თუ ის მხარე რუკის კონკრეტულ ადგილას. მაგალითად, თუ სკოლის დირექტორი აღმოჩნდა მხარეში, რომელსაც მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, დაიწყეთ ფიქრი იმაზე თუ რა მიზეზით შეიძლება იყოს ეს განპირობებული?

მე-3 ნაბიჯი

მოახდინეთ რუკის შედეგების ანალიზი და დასახეთ ნაბიჯები, თუ როგორ იმუშავებთ რუკის თითოეულ მხარეს მოხვედრილ მხარესთან.

ინსტრუმენტი - ჩართული მხარეების რუკა

მხარეები, რომლებიც თქვენი პარტნიორები არიან. (ის პარტნიორები, რომლებიც აღიარებენ მოსწავლეთა მონაწილეობის მნიშვნელობას და პოტენციურად მხარს დაუჭერენ თქვენ მიერ ინიცირებულ იდეებს)	მხარეები, რომლებსაც ჩვენი როლის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ (ის მხარეები, რომლებმაც ნაკლებად იციან მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ და ნაკლები ინფორმაცია აქვთ თვითმმართველობის საჭიროებაზე)
ჩვენთვის სასარგებლო რესურსების მქონე მხარეები (ის მხარეები, რომლებიც ჯერ არ არიან პარტნიორები, მაგრამ აქვთ ის რესურსები, რომლებიც თქვენი საქმიანობისთვის სასარგებლო ან გამოსადეგი იქნება)	ჩვენი მოწინააღმდეგე მხარეები (ის მხარეები, რომლებიც სერიოზულად არ აღიქვამენ მოსწავლეთა მონაწილეობის მნიშვნელობას და თვლიან, რომ გადაწყვეტილებებს მხოლოდ უფროსები უნდა იღებდნენ)



ინსტრუმენტი – რეფლექსიის ინსტრუმენტი

- რამდენადაა დაკავებული მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის ყველა მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გამოკვეთით?
- რამდენად ინტერესდებიან მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობითა და მოსაზრებებით სკოლის კოლეგიალური ორგანოები?
- აქვთ ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს დაგეგმილი სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის შეხვედრების შესახებ?

ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – ქმედებები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მოსწავლეები ხელს უწყობენ ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობას;

ქმედება მოსწავლეთა მიერ საკლასო ოთახის ერთობლივი მოწყობა.

შემთხვევა – კლასის ერთობლივი მოწყობის კამპანია

ერთ-ერთ სკოლაში, მოსწავლეთა ჯგუფის ინიციატივით, დაიწყო საკლასო ოთახების მოწყობის კამპანია. სხვადასხვა კლასების წარმომადგენელმა მოსწავლეებმა სხვა თანაკლასელებთან ერთად შეიმუშავეს კონკრეტული საკლასო ოთახის მოწყობის იდეები და ხედვა, რომლებიც გაუზიარეს მასწავლებლებს. მასწავლებლებთან შეთანხმების შემდეგ, გადაინაწილეს ფუნქციები, მოსწავლეთა ინტერესებისა და არა გენდერული ნიშნის მიხედვით და დაიწყეს კლასების მოწყობა. მოსწავლეებმა კლასის კედლები მათ ინტერესებზე მორგებული შემეცნებითი პოსტერებით გაამრავალფეროვნეს, ნახატებით და სხვა ატრიბუტებით მორთეს.

ქმედება ყოველთვიური საერთო საკლასო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომლის ორგანიზებაზე ყოველ თვე სხვადასხვა მოსწავლეები (3-4 მოსწავლე) აიღებენ პასუხისმგებლობას კლასის დამრიგებელთან თანამშრომლობით.

შემთხვევა -ანტიბულინგური კამპანია

საქართველოს ერთ-ერთ სკოლაში განხორციელდა ინიციატივა „მე ვეუბნები უარს ბულინგს“. ინიციატივის ფარგლებში კლასები ერთვებოდნენ გამოწვევაში, რომლის ფარგლებშიც ისინი თავიანთ თანაკლასელებს უხსნიდნენ ბულინგის უარყოფითი გავლენის შესახებ. ამის დამადასტურებლად კი Tiktok-ზე დებდნენ შემოქმედებით ვიდეოებს, მაგალითად, კლასის კედლებზე არაძალადობრივი პოსტერების გაკვრა, ბულინგის უარყოფითი შედეგების შესახებ ფილმის ჩვენება და სხვა.

ქმედება კლასებს შორის სხვადასხვა სახის კონკურსების და გამოწვევების მოწყობა. მაგალითად, არაძალადობრივი კლასის ინიციატივა, ინკლუზიური კლასის ინიციატივა და სხვა.

შემთხვევა – საკონკურსო ინიციატივები

კონკურსი „საუკეთესო ფერადი კედელი“, კლასების მობილიზაციისკენ იყო მიმართული, რათა სკოლაში, რომელიც კოსმეტიკურ რემონტს საჭიროებდა, კლასებს კორიდორის კედლების სხვადასხვა ნაწილი თავად მოეხატათ. შესაბამისად, ყველა კლასი კედლის ერთ ნაწილზე იღებდა პასუხისმგებლობას და მასზე კლასის მიერ შეთანხმებულ გრაფიტის ან გზავნილს ხატავდა. შედეგად კლასელებში განვითარდა გუნდური შეჭიდულობა და თანამშრომლობა, ხოლო კლასები სკოლას კი უფრო ხალისიანი და შემოქმედებითი გარემოს შექმნაში დაეხმარნენ.

ქმედება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული, სკოლის გარე აქტივობების დაგეგმვა (მაგალითად, ექსკურსია ან მუზეუმში ვიზიტი)

ინსტრუმენტი – გადაწყვეტილებების მიღების ცხრილი

იდეები, მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის, მოითხოვს კლასის მიერ გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას. შესაბამისად, შემოთავაზებული ინსტრუმენტი – გადაწყვეტილების მიღების ცხრილი – დაგეხმარებათ დემოკრატიული ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებაში, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

რჩევები:

ეს თქვენი კლასის გადაწყვეტილებების ცხრილია. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რამდენიმე საფეხური არსებობს:

1. განსაზღვრეთ საკუთარი გადაწყვეტილება: დაფიქრდით და დაწერეთ ის გადაწყვეტილება, რის მიღებასაც ცდილობთ.
2. განსაზღვრეთ თქვენი რეალური მიზანი: რას გინდათ, რომ მიაღწიოთ.
3. ჩამოწერეთ თქვენი ვარიანტები.
4. გააანალიზეთ თითოული ვარიანტი, თითოეულ მათგანს უპირატესობები და უარყოფითი მხარეები მიუწერეთ.
5. აირჩიეთ ვარიანტი, რომელსაც ყველაზე მეტი უპირატესობა აქვს და რომელიც მიზნის მიღწევის საუკეთესო შანსს იძლევა.
6. იფიქრეთ იმაზე, რა გავლენას მოახდენს ეს ვარიანტი სხვებზე და როგორ შეცვლის ის თქვენს მომავალს.
7. გააკეთეთ საბოლოო არჩევანი და დარჩით მისი ერთგული; საჭიროების შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია მეგობრებთან და სხვა გამოცდილ ადამიანებთან.
8. მოიფიქრეთ სამოქმედო გეგმა და განახორციელეთ ის.
9. შეაფასეთ თქვენი გადაწყვეტილება.

ეს ცხრილი გადაწყვეტილების მიღებას გაგიადვილებს!
იმსჯელეთ და გამოავლინეთ ყველაზე შესაბამისი გადაწყვეტილება

ჩემ მიერ მისაღები გადაწყვეტილება:

ვარიანტი 1:		ვარიანტი 2:		ვარიანტი 3:[17]	
უპირატესობა	ნაკლი	უპირატესობა	ნაკლი	უპირატესობა	ნაკლი
ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი

17 შესაძლოა მესამე ვარიანტი არც არსებობდეს ან, პირიქით, სულ 4 ვარიანტი არსებობდეს. შესაბამისად, შეგიძლიათ მოაკლოთ ან დაუმატოთ ვარიანტები.

ინსტრუმენტი ა – **რეფლექსიის შეკითხვები**:

- კლასის ყველა წევრის საჭიროება და ინტერესია გათვალისწინებული საკლასო გადაწყვეტილების მიღებისას?
- როგორ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ ერთმანეთს, რათა საკლასო აქტივობები ყველასათვის იყოს ხელმისაწვდომი?
- გვაქვს შესაძლებლობა და მხარდაჭერა მოსწავლეებმა ლიდერობა და პასუხისმგებლობა აიღონ საკლასო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე?
- ვინ შეიძლება დაგვიდგეს მხარში ჩვენი საკლასო იდეების განხორციელების პროცესში

ქმედება ინტერესების შესაბამისი თემატური კლუბების დაარსება და სხვა დაინტერესებული თანატოლების ჩართვა

<u>შემთხვევა – ინიციატივა – მოსწავლეები ხელოვნებისთვის</u>

„ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეები, რომლებიც ხელოვნებით, კერძოდ, კლასიკური მუსიკით და პოეზიით იყვნენ გატაცებული დაინტერესდნენ შეექმნათ თემატური კლუბი, რომელიც მოსწავლეებს პოეზიისა და კლასიკური მუსიკის შესახებ თემატური შეხვედრების, სპექტაკლებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების საშუალებას მისცემდა. მათ კლუბს „წვიმის მოყვარულთა კლუბი“ დაარქვეს. აღნიშნულმა კლუბმა არაერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელა.

ქმედება მოსწავლეთათვის აქტუალურ საკითხებზე (ბულინგის პრევენცია, პროფესიული ორიენტაცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და სხვა) თემატური შეხვედრების ორგანიზება.

ქმედება ინოვაციური და საყოველთაოდ პოპულარული მეთოდების და პლატფორმების გამოყენებით (Tiktok, Instagram) გამოწვევების ორგანიზება, რაც ყველა მოსწავლეს ინტერესს გაუჩენს და ჩართვის საშუალებას მისცემს.

<u>პრაქტიკული რჩევები – „ონლაინ გამოწვევა“</u>

ონლაინგამოწვევების (challenge) ორგანიზების მიზანია მოსწავლეთა მონაწილეობის სხვადასხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების წინ წამოწევა და ახალგაზრდებში ამ საკითხის მიმართ ცნობიერების ამაღლება. შესაბამისად, იმისათვის, რომ გამოწვევა მაქსიმალურად ეფექტიანად დაგეგმოთ და განახორციელოთ შეგიძლიათ მიჰყვეთ შემდეგ ნაბიჯებს:

1-ელი ნაბიჯი

განსაზღვრეთ რა არის ის აქტუალური საკითხი, რომლის შესახებაც ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია

მე-2 ნაბიჯი

იმსჯელეთ რა ინოვაციური ფორმით შეიძლება თქვენ მიერ შერჩეული საკითხის შესახებ გამოწვევის დაგეგმვა და განხორციელება

მე-3 ნაბიჯი

გაითვალისწინეთ, რომ ონლაინგამოწვევა უნდა იყოს უსაფრთხო და არ უნდა ქმნიდეს ონლაინსივრცეში მონაწილე ახალგაზრდების მიმართ სიძულვილის ენის გავრცელების რისკს.

ინსტრუმენტი ა – ონლაინ გამოწვევის დაგეგმვის ფორმა

რა აქტუალურ საკითხს ეხმიანება გამოწვევა?	მაგალითად ეს შეიძლება იყოს კლიმატის ცვლილება, ადრეული ქორწინება, ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ქმედება და ა.შ.
რომელ სოციალურ მედიის პლატფორმაზე გეგმავთ გამოწვევის გავრცელებას?	ფეისბუქი, ტიკტოკი, ინსტრაგრამი ან სხვა
რა არის გამოწვევის ძირითადი ნარატივი?	მაგალითად გავრცელდეს ნარატივი, რომ კლიმატის ცვლილება რეალურია ან ადრეული ქორწინების საპირისპირო წარმატებული კარიერაა
რა ფორმისაა გამოწვევა?	აღწერეთ გამოწვევა ნაბიჯ-ნაბიჯ
რით განსხვავდება აღნიშნული გამოწვევა აქამდე გავრცელებული სხვა გამოწვევებისგან?	
ვინ არიან გამოწვევის ძირითადი სამიზნე ჯგუფი?	სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები და ა.შ.
ვინ არის გამოწვევის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი?	
დროის რა პერიოდში განხორციელდება აღნიშნული გამოწვევა?	

კომენტარი: გამოწვევის ვიზუალური მასალის მომზადებისთვის დაგეხმარებათ პლატფორმა www.canvas.com.

ქმედება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისკენ მიმართული აქტივობების (სპორტული ჩემპიონატები და სხვა) ორგანიზება, რომელიც ყველა მოსწავლის ჩართულობას წაახალისებს.

ქმედება სკოლებს შორის თანამშრომლობისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზება, რომელიც მოსწავლეთა მიერ იქნება ინიცირებული.

<u>შემთხვევა – „გვაქვს უთვალავი ფერითა“</u>

ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეთა კლუბი, რომელიც მრავალფეროვნების საკითხებზე მუშაობდა, დაინტერესდა გაეცნოთ და დამეგობრებულიყვნენ მათ თანატოლებთან, რომლებიც ეთნიკურად ქისტები იყვნენ პანკისის ხეობიდან. გაჩნდა იდეა, დაგეგმილიყო გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები პანკისის ხეობაში ესტუმრებოდნენ ადგილობრივ სკოლას. მოსწავლეთა ინიციატივით შედგა ვიზიტი პანკისში და თანამშრომლობა იმდენად წარმატებული იყო, რომ ახლაც გრძელდება.

თემის საქმიანობაში მოსწავლეთა ჩართულობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მოსწავლეები ხელს უწყობენ თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას;

ქმედება სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

<u>პრაქტიკული რჩევები – თანამშრომლობის მემორანდუმი</u>

1-ელი ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრაზე სხვა სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებთან თანამშრომლობის საკითხის წამოჭრა და შესაძლო თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა.

მე- 2 ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ოფიციალური წერილის მომზადება პოტენციური თანამშრომლობის შესახებ და სკოლებთან გაგზავნა.

მე-3 ნაბიჯი

სკოლებისგან მიღებული უკუკავშირის შემდგომ, საერთო შეხვედრის დაგეგმვა.



მე-4 ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და მოსწავლეთა მონაწილეობით, თანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტის შემუშავება.

მე-5 ნაბიჯი

საერთო შეხვედრაზე თანამშრომლობის სფეროების დაზუსტება და მემორანდუმის გაფორმება.

მე-6 ნაბიჯი

პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების თანამშრომლობით, საერთო ღონისძიებების დაგეგმვა.

ქმედება პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების მიერ საერთო ღონისძიების ჩატარება.

<u>შემთხვევა – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები</u>

პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, თემში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვის მიზნით, გადაწყვიტეს საერთო ღონისძიების ჩატარება. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა, სხვადასხვა საგნის მასწავლებლების მხარდაჭერით, შეადგინეს კითხვარი და ადგილობრივ თემში ჩაატარეს კვლევა დემოკრატიული კულტურის შესახებ. კითხვარის შედეგების ანალიზმა გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ თემს ნაკლები ცოდნა ჰქონდათ შერჩეული საკითხების შესახებ, ასევე, თემში გამოიკვეთა გარკვეული სტერეოტიპები. მაგალითად, თემის წარმომადგენლების ნაწილი ფიქრობდა, რომ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები ნაკლებად იყო თავსებადი ქართულ კულტურასთან.

პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, გადაწყვიტეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. საერთო შეხვედრაზე, თემატიკის მიხედვით შეარჩიეს დემოკრატიული

კულტურის სამიზნე კომპეტენციები: ის კომპეტენციები, რომლებიც ყველაზე უფრო კრიტიკულად გამოიკვეთა (მაგალითად: ადამიანის უფლებების დაფასება, მოქალაქეობრივი აზროვნება, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ემპათია და სხვა). სკოლებმა აიღეს პასუხისმგებლობა, შერჩეულ კომპეტენციაზე მოემზადებინათ მცირე პრეზენტაცია და საინფორმაციო ბროშურა, რისთვისაც დასჭირდათ დამატებითი ინფორმაციის მოძიება და ილუსტრაციების შექმნა. მოსწავლეებმა ინფორმაციის მოძიების ეტაპზე, სხვა წყაროებთან ერთად, გამოიყენეს ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სახელმძღვანელო დოკუმენტი.

ინფორმაციის მოძიების შემდგომ, სკოლის სააქტო დარბაზში ჩაატარეს შეხვედრა მშობლებთან და ადგილობრივი თემის სხვა წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე წარადგინეს მომზადებული პრეზენტაცია და გაიმართა კითხვა-პასუხი. შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა ადგილობრივ თემს დაურიგეს მომზადებული ბროშურები.

შემთხვევა – ფესტივალი

ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა, სკოლებს შორის თანამშრომლობითი გარემოს შექმნის მიზნით, გადაწყვიტეს ერთობლივი ფესტივალის ორგანიზება. გაჩნდა იდეა, ფესტივალზე ყველა სკოლას გამოეტანა მოსწავლეების მიერ შექმნილი ნაკეთობები, მოეწყოთ გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხა გამოეყენებინათ სკოლის საჭიროებებისთვის.

თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, საორგანიზაციო საკითხების განხილვის მიზნით, ერთ-ერთ სკოლაში ჩაატარეს შეხვედრა, სადაც შეიმუშავეს ფესტივალის საბოლოო კონცეფცია და ჩამოაყალიბეს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა თითოეული სკოლის თვითმმართველობის 5 წევრი. შეხვედრას ესწრებოდნენ მასწავლებლებიც და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. ყველა მოწვეული სტუმრის ჩართულობით, განიხილეს ფესტივალისთვის საჭირო ბიუჯეტი და შესაძლო პარტნიორები. შეადგინეს ოფიციალური წერილი და გაგზავნეს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან. თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ერთ-ერთმა კერძო ორგანიზაციამ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, რომელთაც გადაინაწილეს ფინანსური ხარჯები და სკოლები აღჭურვეს ფესტივალისთვის საჭირო რესურსებით. ფესტივალზე სტუმრად მოიწვიეს ადგილობრივი თემის წარმომადგენლები და მოსწავლეებმა გამოფენა-გაყიდვაზე მიღებული შემოსავალი სკოლის საჭიროებებისთვის გამოიყენეს. ჩატარებული ფესტივალის ფოტო და ვიდეო მასალა კი გაავრცელეს თემში არსებუ

ქმედება სასკოლო თემთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.

შემთხვევა – მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვის პროექტი

სკოლის მოსწავლეების ინიციატივით, სასკოლო თემის ჩართულობითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, დაიწყო ზრუნვა იმ მიუსაფარ ძაღლებზე, რომლებიც სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირად ხვდებოდნენ ბავშვებსა და მასწავლებლებს. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფმა მიმართა მოსწავლეთა თვითმმართველობას, რათა დაეძლიათ აღნიშნული გამოწვევა. თვითმმართველობამ შეხვედრაზე განიხილა აღნიშნული საკითხი და იმსჯელა

პრობლემის მოგვარების პროცესში სკოლის ჩართულობის შესაძლებლობაზე და, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პოტენციურ პარტნიორებზე. თვითმმართველობის თავმჯდომარემ ინიციატივა გააჟღერა სამეურვეო საბჭოს შეხვედრაზე, სადაც გამოითქვა მზაობა და რეაგირების სურვილი, მათ შორის, ფინანსური რესურსების საჭიროების შემთხვევაში, მათი მოზიდვის შესახებ.

სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მხარდაჭერით, მოსწავლეებმა შეიმუშავეს კითხვარი მიუსაფარი ძაღლების მხარდაჭერის გზებისა და ფორმების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლაში არსებული დებატების კლუბში გაიმართა დისკუსია „როგორ დავეხმაროთ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს?“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დისკუსიის მსვლელობისას, მოდერატორი ინიშნავდა წამოყენებულ ინიციატივებს.

გამოკითხვისა და დისკუსიის საფუძველზე გამოვლენილი ინიციატივები შეაფასეს ჰუმანურობის, ეთიკურობისა და საჭირო რესურსების არსებობის ჭრილში და მათგან გამოავლინეს ოპტიმალური იდეა. შერჩეული ინიციატივის განხორციელების თაობაზე მიმართეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

ინსტრუმენტი

კითხვარი

1. რამდენად მნიშვნელოვანია მიუსაფარი ძაღლების პრობლემა?
   ა. უმნიშვნელოა
   ბ. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია
   გ. მნიშვნელოვანია
   დ. ძალიან მნიშვნელოვანია
2. რა უნდა გაკეთდეს მიუსაფარ ცხოველთა პრობლემების დაძლევის მიზნით?
   ა. თავშესაფარში უნდა გადაიყვანონ
   ბ. ჩაუტარდეთ სტერილიზაცია და ვაქცინაცია
   გ. მოეწყოს მათთვის ხის სახლები, საწყურებლები და საკვები დანადგარები
   დ. სხვა
3. რამდენად ჰუმანურია თქვენ მიერ შემოთავაზებული ვარიანტი?
   ა. ჰუმანურია
   ბ. არ არის ჰუმანური, მაგრამ მათგან მომდინარე საშიშროება უფრო პრობლემატურია
   გ. აღნიშნული საკითხი შეფასდეს სპეციალისტების მხრიდან და მათი რეკომენდაციების საფუძველზე მივიღოთ გადაწყვეტილება
4. რისი გაკეთებაა მნიშვნელოვანი მიუსაფარი ცხოველების მხარდაჭერის მიზნით?
   ა. მათ უვნებლობაზე ცნობიერების ამაღლება
   ბ. დისკუსიების გამართვა
   გ. მათ ზრუვნაზე ადვოკატირების კამპანიის ჩატარება
5. დამატებითი მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, შეავსოთ ქვემოთ მოცემული ველი

ქმედება – მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების შესაბამისად ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

შემთხვევა – რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში არსებული მოსწავლეთა კლუბი რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობით დაინტერესდა. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ მოსწავლეებისთვის გაეცნოთ ბავშვთა განვითარების თავისებურებები და თინეიჯერობის ასაკისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. თუმცა კლუბის წევრ მოსწავლეებს ინტერესის არსებობის მიუხედავათ არ ჰქონდათ ამ თემაზე შინაარსობრივი ცოდნა და გამოცდილება. შესაბამისად მათ ინტერნეტში მოძებნეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემაზე მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაცია და მოიწვიეს ისინი საჯარო ღონისძიებაზე, რათა მოსწავლეების კითხვებზე პროფესიონალური პასუხები გაეცათ.

პრაქტიკული რჩევები – ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ინიციატივა

თუ თქვენ გარკვეულ თემაზე რომელიმე ორგანიზაციასთან თანამშრომლობა გსურთ მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯები გადადგათ:

1-ელი ნაბიჯი

განსაზღვრეთ რა გინდათ, რომ სთხოვოთ თქვენ მიერ შერჩეულ ორგანიზაციას. იყავით მაქსიმალურად კონკრეტული თქვენი სათხოვრის/სათქმელის ჩამოყალიბებაში.

მე-2 ნაბიჯი

მოამზადეთ წერილი (ინსტრუმენტი ა – წერილის შაბლონი) , რომელის გაგზავნა შეგიძლიათ როგორც ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში ორგანიზაციის სოციალური მედიის (მაგალითად ფეისბუქი) გვერდებზე შეტყობინების სახით.

მე-3 ნაბიჯი

შეტყობინების გაგზავნის შემდეგ თუ არ მიიღეთ გამოხმაურება 2-3 სამუშაო დღის განმავლობაში, დაუკავშირდით ორგანიზაციას ტელეფონის საშუალებით და შეახსენეთ თქვენი წერილის შესახებ.

შემოთავაზებული წერილის შაბლონი დაგეხმარებათ, მოკლე და სრულყოფილი წერილის მომზადებაში.

ინსტრუმენტი ა – **პარტნიორობის წერილის შაბლონი**

წერილის სათაური

თარიღი

წერილის მიმღები ორგანიზაციის სახელი
წერილის მიმღები ორგანიზაციის მისამართი

მოგესალმებით,

[წარდგენა]. ჩვენ წარმოვადგენთ (აღწერეთ თქვენი კლუბისა ან მოსწავლეთა თვითმმართველობის სრული დასახელება).....

[დაინტერესება] აღწერეთ, როგორ გაიგეთ ორგანიზაციის შესახებ და რატომ ხართ მათი საქმიანობის დაინტერესებული

[თხოვნა] აღწერეთ კონკრეტული სათხოვარი (მაგალითად, თქვენი ღონისძი-

ებისთვის მათ მიერ მომზადებული ბროშურების გამოყოფა, დააკონკრეტეთ ბროშურების რაოდენობა და თარიღი, როდესაც გსურთ, რომ ბროშურები მიიღოთ)

[დასკვნითი ნაწილი] ამ ნაწილში გამოხატეთ პატივისცემა ორგანიზაციის მიმართ და დაემშვიდობეთ.

პატივისცემით,

თქვენი მოსწავლეთა გაერთიანების წარმომადგენლის სახელი და გვარი

თქვენი მოსწავლეთა გაერთიანების სრული სახელი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქმედება – მოსწავლეთა იდეებისა და გამოწვევების ადვოკატირების მიზნით თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, როგორიცაა საკრებულო, გამგეობა, მერია და სხვა.

<u>შემთხვევა – მოსწავლეები ბულინგის წინააღმდეგ</u>

ერთ-ერთი ქალაქის მერიის ახალგაზრდული დეპარტემენტის მიერ გამოცხადებული იყო ახალგაზრდული იდეების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება სკოლებსაც შეეძლოთ. ქალაქის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ აღნიშნულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მოამზადა საპროექტო განაცხადი „ერთად შევქმნათ ძალადობისაგან თავისუფალი სკოლა“. ამ პროექტმა მერიის კონკურსში გაიმარჯვა და სრულად დაფინანსდა. შედეგად პროექტის ფარგლებში ბულინგის პრევენციისა და რეაგირების გზების დასახვისთვის გადამზადდა სკოლის 20 თანამშრომელი. ასევე სკოლაში დამონტაჟდა „ანონიმური სანდო ყუთი“, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ანონიმურად დააფიქსირონ სკოლაში არსებული ბულინგის შემთხვევები.

ქმედება მოსწავლეთა მიერ სათემო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და პროგრამის შექმნაში და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.

ქმედება ადგილობრივ ახალგაზრდულ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ან საკონსულტაციო სტრუქტურებში მოსწავლეთა მონაწილეობა, როგორებიცაა: ახალგაზრდული საბჭო, ახალგაზრდების მრჩეველთა კომიტეტი და სხვა.

რეფლექსიის ინსტრუმენტი

რეფლექსიის ინსტრუმენტი, რომელშიც უამრავი ღია კითხვაა თავმოყრილი, დაგეხმარებათ ქმედებების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

დაგეგმვის ეტაპი

რისი გაკეთება მინდა? რა მიზანი მაქვს?
რა რესურსები არსებობს, რისი გამოყენებაც შემიძლია (წყნარი ოთახი, ინტერნეტი, მეგობრის გამოცდილება და სხვა)?
რა მომეთხოვება? არის რაიმე, რაც ამ თემის შესახებ უკვე ვიცი?
რა დრო დამჭირდება ამის შესასრულებლად?
ვარ დარწმუნებული, რომ ეს გავაკეთო? მაქვს მოტივაცია?
ვნერვიულობ ან შეშფოთებული ვარ?
რა სტრატეგიებს შემიძლია მივმართო, რაც დამეხმარება (პოზიტიური დიალოგი საკუთარ თავთან და ა.შ.)?

განხორციელების ეტაპი

როგორ მიდის საქმე? კარგად ვართმევ თავს?
ვაცნობიერებ და ვიგებ, რასაც ვაკეთებ? თუ ვერ ვიგებ რისი გაკეთება შემიძლია, რომ უკეთ გავიგო?
დროის დაგეგმვა რეალურია? რაიმე განსხვავებული მიდგომა ხომ არ მჭირდება?
საკმარისად ფოკუსირებული ვარ მიზანზე?
ჩემი შერჩეული სტრატეგიები ეფექტიანია?

შეფასების/გადამოწმების ეტაპი

რამდენად შესრულდა მიზანი, ისე როგორც ეს მე მსურდა?
რამდენად კარგად გავართვი თავი?
რა შემეძლო სხვანაირად გამეკეთებინა?
მჭირდება, რომ თავიდან დავიწყო, რათა უკეთეს შედეგს მივაღწიო?

მოსწავლეთა მონაწილეობა – სახელმძღვანელო ინსტრუქციები მშობლებისთვის

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანი მხარდამჭერი მექანიზმია როგორც სკოლის განვითარების, ისე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გასაზრდელად. აქტიური მოსწავლე-მოქალაქის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას სწორედ თავად აქტიური მშობელი წარმოადგენს. მსგავსად მოსწავლისა, მშობლის ხმა თანაბრად გაისმის როგორც უმთავრეს წარმომადგენლობით ორგანოში – სამეურვეო საბჭოში – ისე დისციპლინურ კომიტეტში. საგულისხმო პრაქტიკას წარმოადგენს მშობელთა საინიციატივო ჯგუფისა თუ კომიტეტის არსებობა სკოლაში. რაც მოსწავლეთა საზოგადოებისთვის მონაწილეობითი კულტურის განვითარებისათვის მისაბაძ მოდელად შეიძლება იქცეს.

რა უპირატესობა აქვს მოსწავლეთა მონაწილეობას მშობლებისთვის?

ყველა მშობელს საუკეთესო სურს თავისი შვილისთვის. არც ერთი მშობელი არ იტყვის უარს ისეთ გარემოზე, სადაც მათი შვილები უსაფრთხოდ და ბედნიერად იგრძნობენ თავს, სადაც პატივისცემით მოეპყრობიან და მათ განვითარებაზე იზრუნებენ. იმავდროულად, როგორც ერთი ინგლისური ანდაზა ამბობს, ბავშვის აღზრდაზე მთელი სოფელი უნდა ზრუნავდეს. მოსწავლეთა მონაწილეობა ასეთი სოფლის თანამედროვე ეკვივალენტია, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ჰუმანისტური ღირებულებების შესაბამისად აღზრდას. ნამდვილად ღირს მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორთან თანამშრომლობა, რადგან შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია:

თქვენი შვილები უფრო უსაფრთხოდ არიან. ეს ნიშნავს, რომ ისინი თავისუფალ დროს დაცულ გარემოში ატარებენ, სადაც, უფროსების ხელშეწყობით, მეგობრებთან ერთად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. შესაბამისად, ნაკლებია შანსი, რომ საეჭვო ან საშიშ ქუჩის ან ონლაინჯგუფებს შეუერთდებიან ან თამბაქოთი, ნარკოტიკებითა თუ ალკოჰოლით ექსპერიმენტები დააინტერესებთ.

თქვენი შვილები უფრო თავდაჯერებულები ხდებიან. თავდაჯერება ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია – ის ადამიანს სხვადასხვა შესაძლებლობის გამოცდისკენ უბიძგებს და სირთულეების გადალახვაში ეხმარება. მშობლებს გვინდა, რომ შვილებს დიდი ყურადღება დავუთმოთ და დადებითად შევაფასოთ მათი მიღწევები, რათა თვითშეფასება ავუმაღლოთ. მაგრამ დგება მომენტი, როცა ეს საკმარისი აღარ არის. ჩვენს შვილებს სჭირდებათ პოზიტიური განმტკიცება და პატივისცემა სხვა ხალხისგან – მათი თანატოლებისა და ზრდასრულებისგან, რაც ყველაზე უკეთ მიიღწევა სასკოლო ცხოვრებასა და სათემო მომსახურების პროექტებში აქტიური მონაწილეობის საშუალებით.

თქვენი შვილები დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად უნარებს ივითარებენ. დღესდღეობით ახალი კომპეტენციების საჭიროება 100-ჯერ უფრო სწრაფად ჩნდება, ვიდრე ჩვენი მშობლების დროს და ივარაუდება, რომ, როცა ჩვენი შვილები დასაქმების ბაზარზე გავლენ, კადრების დენადობის ტემპი ასჯერ უფრო აჩქარდება. შეუძლებელი და არასაჭიროა ყველაფრის სწავლა. სწორედ ამიტომ, როცა ჩვენი შვილები კარიერაზე ზრუნვას დაიწყებენ, ყველაზე მნიშვნელოვანი უნარები იქნება არა გაკვეთილებზე, არამედ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შედეგად ათვისებული უნარები – კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ემპათია, პრობლემის გადაწყვეტა, შემოქმედებითობა, კონფლიქტის მოგვარება და სწავლის უნარი.

თქვენი შვილები მეტი პასუხისმგებლობითა და სიდინჯით გამოირჩევიან. ბავშვები მშობლებისგან ძალიან ბევრს ითხოვენ და ელიან. უახლესი მოწყობილობები, მოდური ტანსაცმელი და სხვა ათასი რამ სურთ ისე, რომ არც კი იაზრებენ, რა არის ამისთვის საჭირო. თუმცა, როდესაც სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ერთვებიან, მათაც უწევთ პასუხისმგებლობის აღება გასაკეთებელ სამუშაოზე. სწორედ ამგვარად გამოცდიან და იაზრებენ, თუ რა ძალისხმევაა საჭირო რაღაცის მისაღწევად. შედეგად, ბავშვები მეტად აფასებენ იმას, რასაც მშობლებისგან იღებენ.

თქვენი შვილების პოტენციალი სრულად ვითარდება. ყველას აქვს თავისებური ნიჭი, რომელიც უნდა გამოვლინდეს და განვითარდეს, თუმცა სასკოლო საგაკვეთილო პროცესში ყველა უნარი და შესაძლებლობა არ ვლინდება. აქტიური თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში ბავშვებს უფრო ფართო შესაძლებლობას სთავაზობს, გამოავლინონ და დახვეწონ საკუთარი ძლიერი მხარეები, ინტერესები და მიდრეკილებები. ამას გარდა, ეს გარემო

ბევრად უფრო ღია და შემოქმედებითია, ექსპერიმენტისა და შეცდომის საშუალებას იძლევა, იღებს და მიესალმება ნებისმიერი მოსწავლის მიერ შეტანილ წვლილს.

როგორ შეუძლიათ მშობლებს, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მონაწილეობას?

მშობლებს შეიძლება უზარმაზარი გავლენა ჰქონდეთ მოსწავლეთა მონაწილეობაზე ორივე თვალსაზრისით – მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ამ პროცესს ან, პირიქით, შეაფერხონ იგი. უმრავლეს შემთხვევაში, მოსწავლეთა ნამდვილი მონაწილეობის წახალისების გადაწყვეტილებას მასწავლებელი და სკოლის დირექტორი იღებენ. მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მშობლის როლი განუზომელია, რადგან სწორედ მშობლებს შეუძლიათ მოსწავლეთა მონაწილეობის ყველაზე უკეთ ხელშეწყობა და მისი რეალისტურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები განათლების სპეციალისტები არიან, მშობლები აღზრდა-განათლებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ და მათ ძალიან ძლიერი გავლენა აქვთ შვილების მოტივაციასა და დამოკიდებულებებზე.



მაშასადამე, თუ მოსწავლეთა მონაწილეობის იდეა მოგწონთ, დაიმახსოვრეთ, რომ ამაში უდიდესი როლი გეკისრებათ და ბევრის გაკეთებაც შეგიძლიათ, მაშინაც კი, თუ გადატვირთული გრაფიკი გაქვთ.

უპირველეს ყოვლისა, **გამოხატეთ ინტერესი სასკოლო საკითხებისადმი.** უბრალოდ არ დაგავიწყდეთ, რომ გამოჰკითხოთ შვილებს სკოლის ამბები – წვრილმანებიც და მნიშვნელოვანი მოვლენებიც და არა მხოლოდ ინფორმაცია ტესტებისა და მშობელთა კრებების შესახებ. ასევე, შეგიძლიათ ჰკითხოთ თანატოლებთან ურთიერთობის, მიმდინარე აქტივობების, გეგმების, გადაწყვეტილებების, საკამათო საკითხებისა და საჭიროებების შესახებ. **აუმაღლეთ შვილებს თანამონაწილეობის მოტივაცია:** გამოხატონ მოსაზრება სხვადასხვა საკითხის შესახებ, გამოთქვან ინიციატივები, ჩაერთონ პროცესებში და გამოთქვან მოხალისეობის სურვილი.

აჩვენეთ, რომ თქვენც ეკუთვნით სასკოლო თემს – **გამოთქვით აზრი** სასკოლო საკითხების შესახებ, **მიიღეთ მონაწილეობა** სკოლაში **გადაწყვეტილების მიღების ოფიციალურ პროცესებში** და გამოთქვით **სკოლაში გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში** – მაგ., კლასის მშობელთა საბჭო, სკოლის მშობელთა საბჭო ან სკოლის საბჭო – **მონაწილეობის სურვილი**. თუ ამ სტრუქტურების წევრი არ ხართ, შეგიძლიათ **სხვა მშობლებთან** არაოფიციალურად **ითანამშრომლოთ** და მაქსიმალურად ხშირად შეძლოთ მონაწილეობა.

განიხილეთ სასკოლო საკითხები, გადაწყვეტილებები და აქტივობები სახლში და თავადვე იყავით **სანიმუშო მაგალითი**, აჩვენეთ, როგორ შეიძლება **საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა** და სხვების პატივისცემა მათი შეხედულებების მიუხედავად. როცა კრიტიკულ შეხედულებას გამოთქვამთ, გახსოვდეთ, რომ უნდა გააკრიტიკოთ ქცევა, რომელიც მიუღებელია, თუმცა პატივი სცეთ ადამიანის ღირსებას.

ითანამშრომლეთ მასწავლებლებთან, რათა კოორდინირებულად შეძლოთ შვილების დახმარება. განაცხადეთ თქვენი საჭიროებები და მოლოდინი, ამასთან, მოუსმინეთ მასწავლებელსაც. თქვენ არა ოპონენტები, არამედ პარტნიორები ხართ. ორივე მხარემ უნდა ისწავლოს ერთმანეთთან პარტნიორული ურთიერთობა.

რეფლექსიისათვის, თუ როგორ ერთვებიან თქვენი შვილები გადაწყვეტილებების, საკუთარ თუ საოჯახო საკითხებთან დაკავშირებული თემების შესახებ, მნიშვნელოვანია, მუდმივად ვაკვირდებოდეთ მათ ამ კუთხითაც და წავახალისოთ, ხშირად გაგვიზიარონ თავიანთი აზრი.

რა როლს ვასრულებთ მოსწავლეთა მონაწილეობის წახალისებაში?

მშობელი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას;
- ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობას;
- ხელს უწყობს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას.

როგორ განვსაზღვროთ, რა ეტაპზე ვართ – თვითშეფასების ინსტრუმენტი

შეკითხვა	დიახ	არა	კომენტარი
როგორც მშობელი, მზად ხართ, მოუსმინოთ მოსწავლეებს?			
როგორც მშობელი, მზად ხართ, მხარი დაუჭიროთ მოსწავლეებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვაში?			
როგორც მშობელმა, იცით, როგორ დაეხმაროთ მოსწავლეებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვაში?			
როგორც მშობელი, მზად ხართ გაითვალისწინოთ მოსწავლეების შეხედულებები?			
როგორც მშობელი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებთ მოსწავლეების შეხედულებებს?			
როგორც მშობელი, მზად ხართ, ნება მისცეთ მოსწავლეებს, ჩაერთონ თქვენს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში?			
როგორც მშობელი, მზად ხართ, გაუზიაროთ თქვენი, როგორც ზრდასრულის „ძალაუფლება“ მოსწავლეებს?			
როგორც მშობელი, მხარს უჭერთ მოსწავლეებს, სასკოლო საქმიანობაში გაიზიარონ „ძალაუფლება“ და პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე?			

კომენტარი: კითხვარი ადაპტირებულია ჰარი შიერის მონაწილეობის გზების დიაგრამაზე დაყრდნობით

როგორ განვსაზღვროთ პრიორიტეტები – დაგეგმვის ინსტრუმენტი

მიზანი 1						
	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების პერიოდი	მონაწილე / პარტნიორი	ბიუჯეტი	შედეგი/ ინდიკატორი	გადასინჯვა
ამოცანა1						
ღონისძიება 1.1.						
ღონისძიება1.2.						
მიზანი 2						
ამოცანა 2						
ღონისძიება 2.1.						
ღონისძიება 2.2.						

მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშემწყობი ქმედებები:

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მშობლის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა

- მოსწავლეებთან ერთად საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სკოლის მიერ ბიუჯეტში მოსწავლეთა აქტივობისთვის თანხის გამოყოფის და მისი განკარგვის შესახებ; (კზგშ მ.11);
- სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლების მიერ სკოლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი თანხის განკარგვის პროცესის მონიტორიგი.
- მშობელთა მრჩეველთა/საკონსულტაციო საბჭოს შექმნა,რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს იდეის პროექტად გარდაქმნაში, ბიუჯეტის შედგენაში, მე-3 მხარეებთან კომუნიკაციაში და სხვა;
- მართვის კოლეგიალურ ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მშობელთა კომიტეტი) მშობელთა საკონსულტაციო განრიგის შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად მათთან კომუნიკაციის დამყარება;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვის/გეგმების შემუშავების მიზნით მშობელთა საჭიროებების, ინტერესების გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება და მოსწავლეთა მონაწილეობის, როგორც სკოლის პრიორიტეტულ საკითხად, ადვოკატირება;
- სასკოლო პოლიტიკის ცვლილებების თემატიკაზე გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში – პირისპირ თუ ონლაინ მშობელთა მონაწილეობა. სასკოლო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართვით მონაწილეობითი კულტურის მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა მიერ განსახილველად წარმოდგენილი პროექტების განხილვაში (სამუშაო შეხვედრები, წერილობითი უკუკავშირი და სხვა) ჩართვა.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა



- სკოლის მიერ კარიერული განვითარების შესაძლებლობების თემატიკაზე გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა, მოსწავლეთათვის თავისი პროფესიისა და კარიერული გამოცდილების გაზიარება;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის ინიციატივით, მშობელთა შემოწირულობით მოსწავლეთა იდეების დაფინანსებისთვის ფონდის შექმნა;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის ინიციატივით, მასწავლებლებისთვის მშობელთა მხარდამჭერ ქმედებებზე ფოკუსჯგუფის ჩატარება;
- მშობელთა კომიტეტის ინიციატივით, კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტის შესახებ მშობელთა საზოგადოების ინფორმირების მიზნით, პედაგოგიურ საბჭოსთან სამუშაო შეხვედრების გამართვა.

თემის საქმიანობაში მშობლის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის ბაზაზე სკოლის და თემის თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე მშობელთა საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს გაუწევს სასკოლო საზოგადოების წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის სარგებლობის შესახებ;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ ქმნიან სკოლის და თემის თანამშრომლობის სტრატეგიის სამუშაო ვერსიას;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებთან ერთად, სკოლისა და თემის თანამშრომლობის ფარგლებში, ახორციელებენ თემისთვის საინფორმაციო-მხარდამჭერ პროექტებს.
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად აწარმოებენ საველე დაკვირვებას და აგროვებენ ფოტო/ვიდეო მასალას თემში არსებული სხვადასხვა პრობლემის შესახებ;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად თემში არსებული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად თემში ავრცელებენ სხვადასხვა საინფორმაციო მასალას, მაგალითად, პლაკატების/ინფოგრაფიკების გაკვრა, ბროშურებისა და ბუკლეტების დარიგება;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად შეისწავლიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას;
- მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად თანამშრომლობენ ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობასა და სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მშობლის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მშობელი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პრინციპების/ღირებულებების გაზიარებას.

ქმედება – მოსწავლეებთან ერთად საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სკოლის მიერ ბიუჯეტში მოსწავლეთა აქტივობისთვის თანხის გამოყოფის და მისი განკარგვის შესახებ. (კზგშ მ.11)

ინსტრუმენტი – საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა – განცხადების ნიმუში

სსიპ ..... საჯარო სკოლის დირექტორს,
ქალბატონ/ბატონ....
ამავე სკოლის ...კლასის მოსწავლის მშობლის
განმცხადებელი: (გვარი სახელი მამის სახელი)
პირადი ნომერი:
მისამართი:
ტელ/მობ:
თარიღი:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქმედება – სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლების მიერ სკოლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი თანხის განკარგვის პროცესის მონიტორიგი.

ქმედება – მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით მშობელთა მრჩეველთა/საკონსულტაციო საბჭოს შექმნა – რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს იდეის პროექტად გარდაქმნაში, ბიუჯეტის შედგენაში, მე-3 მხარეებთან კომუნიკაციაში და სხვ. (III.I შემთხვევა – მშობლის მიერ მოსწავლეთა კონსულტირების პრაქტიკა)

შემთხვევა – მშობლის მიერ მოსწავლეთა კონსულტირების პრაქტიკა

ერთ-ერთი სკოლის მშობელთა კომიტეტის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, ჩაეტარებინათ გამოკითხვა მშობელთა პროფესიული კომპეტენციების შესახებ. გამოკითხვის პროცესში მშობლები აფიქსირებდნენ საქმიანობის იმ ფორმებს, რომელთა განხორციელებაში მოხალისეობრივად შეეძლოთ მოსწავლეთა კონსულტირება.

მიღებული მონაცემების დამუშავების შემდეგ, მოსწავლეთა თვითმართველობასთან კონსულტაციის შედეგად, გადაწყდა, რომ საწყის ეტაპზე რესურსების თავისებურებებიდან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, შერჩეულიყვნენ ის მოხალისე მშობლები, რომლებიც მხარდაჭერას აღმოუჩენდნენ მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებს, რათა მათი იდეებისათვის მიეცათ საპროექტო განაცხადის ფორმა.

ქმედება მართვის კოლეგიალურ ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მშობელთა კომიტეტი) მშობელთა საკონსულტაციო განრიგის შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად მათთან კომუნიკაციის დამყარება;

ქმედება სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვის/გეგმების შემუშავების მიზნით, მშობელთა საჭიროებების, ინტერესების გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება და მოსწავლეთა მონაწილეობის, როგორც სკოლის პრიორიტეტულ საკითხად, ადვოკატირება.

ქმედება სასკოლო პოლიტიკის ცვლილებების თემატიკაზე გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში, პირისპირ თუ ონლაინ, მშობელთა მონაწილეობა. სასკოლო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართვით მონაწილეობითი კულტურის მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა.

შემთხვევა – მშობელთა მონაწილეობა სკოლის ბიუჯეტის განხილვაში

ერთ-ერთი სკოლის სამეურვეო საბჭოს წერილობით მიმართა მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც ითხოვდა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის საჯარო ფორმატში წარმართვას. როგორც განცხადებაში იყო აღნიშნული, მშობელთა კომიტეტს ზეპირსიტყვიერად მიმართა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლის არაერთმა მშობელმა და სურვილი გათქვა, დასწრებოდა სკოლის ბიუჯეტის განხილვას.

დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, მშობელთა კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ იქნა ინიციატივა, აღნიშნული საბჭოს სხდომა ჩატარებულიყო ონლაინპლატფორმის გამოყენებით.

ქმედება – მოსწავლეთა მიერ განსახილველად წარმოდგენილი პროექტების განხილვაში (სამუშაო შეხვედრები, წერილობითი უკუკავშირი და სხვა) ჩართვა.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მშობელი ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეების მონაწილეობას.

ქმედებები:

ქმედება – სკოლის მიერ კარიერული განვითარების შესაძლებლობების თემატიკაზე გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა, მოსწავლეთათვის თავისი პროფესიისა და კარიერული გამოცდილების გაზიარება;

პრაქტიკული რჩევები – მშობლები მოსწავლეთა მონაწილეობისათვის – ინტერვიუ



1-ელი ნაბიჯი

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა პროფორიენტაციის წახალისებისა და ინფორმირებულობისათვის სხვადასხვა პროფესიის შესახებ ინფორმაციების მოძიება და გზამკვლევის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება ინფორმაცია ძირითადი პროფესიების შესახებ.

მე-2 ნაბიჯი

მასწავლებლებსა და დამრიგებლებთან აქტიური თანამშრომლობით, ინტერვიუს კითხვარის შედგენა, რომელიც ორიენტირებული იქნება ამა თუ იმ პროფესიის ადამიანებისაგან ამ პროფესიასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად.

მე-3 ნაბიჯი

შექმნილი ინტერვიუს გზამკვლევით, მოსწავლეები მშობლებისგან იღებენ ინფორმაციას პროფესიის არჩევისა და მათთვის მნიშვნელოვანი კარიერული საფეხურების შესახებ.

მე-4 ნაბიჯი

შემდეგ ეტაპზე, დამრიგებლებთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, ეწყობა პროფესიების კვირეული, რომელშიც მთავარ აქტორებს სხვადასხვა პროფესიის მშობლები წარმოადგენენ. ისინი სტუმრობენ სკოლას და უზიარებენ მოსწავლეებს თავიანთ დამოკიდებულებას პროფესიისადმი, ესაუბრებიან ამ პროფესიის შესაძლებლობებსა და რისკებზე.

მე-5 ნაბიჯი

ამოკრებილი ტერმინთა განმარტებებისა და პრაქტიკული გამოცდილებების გაზიარების შედეგად მოგროვებულ მასალას მოსწავლეები უკეთებენ სისტემატიზებას და აძლევენ საბოლოო სახეს. ამა თუ იმ მშობლის გამოცდილების პრაქტიკულ ნაწილებს სახელმძღვანელოში შეტანის წინ აცნობენ ავტორს და მისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე არედაქტირებენ მასალას.

მე-6 ნაბიჯი

საბოლოო პროდუქტს – „გზამკვლევი პროფესიებში“ – თემატიკის გათვალისწინებით, უგზავნიან სპეციალისტ-მშობელს საბოლოო რევიზირებისათვის.

მე-7 ნაბიჯი

მართავენ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის პრეზენტაციას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მშობლები და, ზოგადად, თემის წარმომადგენლები.

ქმედება – მშობელთა კომიტეტის ინიციატივით, მშობელთა შემოწირულობით, მოსწავლეთა იდეების დაფინანსებისთვის ფონდის შექმნა.

შემთხვევა – „მშობლები მოსწავლეთა მხარდასაჭერად“

ერთ-ერთი სკოლის მშობელთა კომიტეტის ინიციატივით გადაწყდა მოსწავლეთა იდეების დაფინანსებისთვის ფონდის შექმნა; ფონდის დაფინანსების წყაროებია: გამოფენა-გაყიდვები, მშობელთა ნებაყოფლობითი შემოწირულობები, სასკოლო საგრანტო პროექტები და სხვ. ამ ფონდის შესახებ მშობელთა კომიტეტის წევრებმა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მოახერხეს მშობლებისა და თემის ინფორმირება. სკოლის ამ წამოწყებამ მხარდაჭერა ჰპოვა, რაც აისახა მშობლებისა თუ სათემო ორგანიზაციების მიერ გამოფენა-გაყიდვისთვის შესაბამისი მასალების მოწოდებასა თუ ნებაყოფლობით შემოწირულობებში. შეიქმნა მოსწავლეთა იდეების დაფინანსებისთვის ფონდის წესდება, რომელშიც განისაზღვრა შემდეგი საკითხები: მოსწავლეთა სასკოლო პროექტების კონკურსის გამოცხადების წესი, საკონკურსო ჟიური შემადგენლობა და მუშაობის გრაფიკი, წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, პროექტის განხორციელების ანგარიშის ფორმა.

ქმედება – მშობელთა კომიტეტის ინიციატივით, მასწავლებლებისთვის მშობელთა მხარდამჭერ ქმედებებზე ფოკუსირებული შეხვედრის ჩატარება.

ინსტრუმენტი – შეხვედრის საორიენტაციო კითხვები და ეტაპები

გამხსნელი შეკითხვა – გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი თავი (სახელი, გვარი, საგანი, რომელსაც ასწავლით).

შესავალი შეკითხვები – გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი გამოცდილება, ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მშობელთა ჩართულობის შესახებ.

ძირითადი შეკითხვები

თქვენი აზრით, რა გარემოებები უწყობს ხელს მშობელს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში?

გთხოვთ, დააფიქსიროთ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები.

გთხოვთ, თქვენი საგნობრივი მიმართულების ჭრილში, დაგვისახელოთ მშობელთა კონკრეტული ქმედებები, რომლებიც დაგეხმარებათ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდაში.

შემაჯამებელი შეკითხვა

რამეს ხომ არ დაამატებდით?

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის ინიციატივით, კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტის შესახებ მშობელთა საზოგადოებაში ინფორმირების მიზნით, პედაგოგიურ საბჭოსთან სამუშაო შეხვედრების გამართვა;

<u>შემთხვევა – მშობელთა ჩართულობა მოსწავლის ფორმალური განათლების აქტივობაში</u>

ერთ-ერთი სკოლის მშობელთა კომიტეტი პედაგოგიური საბჭოს წინაშე შევიდა ინიციატივით, რომელიც მშობელთა საზოგადოების მაღალი ინტერესით იყო ნაკარნახევი. კერძოდ, როგორც კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, მშობლებისგან მიიღეს არაერთი შეტყობინება, რომლებშიც ისინი ითხოვდნენ სასწავლო საგნებში არსებული დავალებების ტიპებისა და საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკების/სქემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მშობელთა მტკიცებით, აღნიშნული ინფორმაცია მისცემდათ საშუალებას, დაკვირვებოდნენ მოსწავლეთა სწავლის დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში აღმოეჩინათ რელევანტური მხარდაჭერა მათთვის.

თემის საქმიანობაში მშობლის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა – შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მშობელი ხელს უწყობს თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას;

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის ბაზაზე სკოლის და თემის თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე მშობელთა საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს გაუწევს სასკოლო საზოგადოების წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის სარგებლობის შესახებ;

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ ქმნიან სკოლის და თემის თანამშრომლობის სტრატეგიის სამუშაო ვერსიას;

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფებთან ერთად, სკოლისა და თემის თანამშრომლობის ფარგლებში, ახორციელებენ თემისთვის საინფორმაციო-მხარდამჭერ პროექტებს.

<u>შემთხვევა – „ჩვენი მხარდაჭერა თემს“</u>

ერთ-ერთი სკოლის მშობელთა საინიციატივო ჯგუფის ინიციატივით, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით, გაიმართა თემში საინფორმაციო კამპანია სლოგანით „ვიცავთ ბავშვთა უფლებებს“. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების პრევენციის მიზნით, უბნის ტერიტორიაზე დაარიგეს საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებშიც გაწერილი იყო იმ უწყებების საკონტაქტო ინფორმაციები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობის თემებზე მუშაობენ და რეალურ მხარდაჭერას აღმოუჩენენ საჭიროების შემთხვევაში.

<u>შემთხვევა – „facebook-ი გვაახლოებს“</u>

ერთ-ერთ სკოლაში მშობელთა ინიციატივითა და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით შეიქმნა სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა ინიციატივით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ თემის ინფორმირებისათვის

შეიქმნა ფეისბუქგვერდი. იგი ასევე გამოიყენებოდა პრიორიტეტული მიმართულებებისა და თემისთვის აქტუალური საკითხების შესახებ სასწავლო-საგანმანათლებლო მასალების გავრცელებისთვის. იქვე თემის წევრებსა თუ სათემო ორგანიზაციებს შეეძლოთ უკუკავშირის დაბრუნება და სასურველი წინადადებების შემოთავაზება.

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად აწარმოებენ საველე დაკვირვებას და აგროვებენ ფოტო/ვიდეო მასალას თემში არსებული სხვადასხვა პრობლემის შესახებ;

<u>შემთხვევა – ინიციატივები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს</u>

მშობელთა საინიციატივო ჯგუფმა, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის მოქალაქეთა მონაწილეობითი კულტურის დემონსტრირების მიზნით, მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევების/საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩაატარა მოქალაქეთა გამოკითხვა (ინსტრუმენტი ა), მონაცემთა დამუშავების შედეგად გამოვლენილი აქტუალური პრობლემის მოგვარების მიზნით, მოქალაქეთა ინტერესების შესახებ შესაბამისი სამსახურების ინფორმირებისათვის, ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლს (დეპუტატს საკრებულოში ან რწმუნებულს) შეუთანხმდა შეხვედრაზე. დათქმულ დროს მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან შემდგარი ჯგუფი შეხვდა წარმომადგენელს და პირადად გადასცა მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების ნუსხა და განიხილეს შემდგომი თანამშრომლობის საკითხები.

ინსტრუმენტი ა

1.გთხოვთ, დაასახელოთ, თქვენი აზრით, მუნიციპალიტეტში არსებული 3 პრობლემა

პრობლემა 1 ----------

პრობლემა 2----------

პრობლემა 3 ----------

2.თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რომელი მათგანი უნდა მოგვარდეს?

3. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა?

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად თემში არსებული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად თემში ავრცელებენ სხვადასხვა საინფორმაციო მასალას, მაგალითად, პოსტერის/ინფოგრაფიკების გაკვრა, ბროშურებისა და ბროშურების დარიგება;

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად შეისწავლიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას;

<u>შემთხვევა – ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა</u>

მშობელთა საინიციატივო ჯგუფმა, მოსწავლეებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის და მონაწილეობითი კულტურის განვითარების მიზნით, მათი უშუალო ჩართულობით განცხადებით მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია ბოლო სამი წლის ბიუჯეტებში მუნიციპალიტეტში

ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით რა პროექტები განხორციელდა და ამ მიზნობრიობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რა თანხები გაიხარჯა. (ინსტრუმენტი ა) აღნიშნული მონაცემები, დაეხმარება მათ თავიანთი ინიციატივებისთვის იდეების გენერირების პროცესში.

ინსტრუმენტი ა – საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

..... მუნიციპალიტეტის მერიის
საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ/ბატონ ...
განმცხადებელი: (გვარი სახელი მამის სახელი)
პირადი ნომერი:
მისამართი:
ტელ/მობ:
თარიღი:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით რა პროექტები განხორციელდა და ამ მიზნობრიობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რა თანხები გაიხარჯა.

პატივისცემით,

.....

ქმედება – მშობელთა ჯგუფის/კომიტეტის შერჩეული წევრი/წევრები/ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად თანამშრომლობენ ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

<u>შემთხვევა – მუნიციპალიტეტის საჯარო სივრცეებში სასმელი წყლის წერტილების მოწყობა</u>

მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის პრობლემას წარმოადგენს ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის რეკრეაციულ ზონებსა თუ საჯარო თავშეყრის ადგილებში ხელმისაწვდომი არ არის სასმელი წყლის წერტილები.

ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მშობელთა საინიციატივო ჯგუფმა, საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით შეაგროვა მოქალაქეთა ხელმოწერები და შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საკრებულო და მერია).

საკითხი რომელი საკითხის / პრობლემის მოგვარება გვსურს?	
მიზანი (მისაღწევი ნიშნული) რის შეცვლას ისახავს მიზნად ჩვენი მოქმედებები?	
ამოცანები რომელი ქვემიზნების მიღწევა დაგვეხმარება ზოგადი მიზნის მიღწევაში? დარწმუნდით, რომ ამოცანები არის: კონკრეტული; გაზომვადი; მიღწევადი; რეალისტური; დროში განსაზღვრული.	
გარე შესაძლებლობები (მზე). რა შეიძლება დაგვეხმაროს? გარე გამოწვევები (ღრუბლები). რა შეგვიშლის ხელს?	
შიდა რესურსები (ჩემოდანი) რა აქტივებით ვიწყებთ მონაწილეობას კამპანიაში / ადვოკატირების პროცესში? ადამიანური რესურსები, ფინანსური რესურსები, გამოცდილება და სხვა;	
სამიზნე აუდიტორია (გონდოლაში მყოფი მგზავრები) ძირითადი სამიზნე: ვის შეუძლია თქვენთვის სასურველი ცვლილების განხორციელება? ვინ ახდენს მათზე გავლენას? მეორეული სამიზნე: ვინ ზემოქმედებს სამიზნე აუდიტორიაზე? (მაგალითად, ამომრჩევლები, მეწილეები). მოკავშირეები: ვინ არის ცვლილების მომხრე და რა გვჭირდება მათთან თანამშრომლობისთვის? მოწინააღმდეგე: ვინ არის ცვლილების მოწინააღმდეგე და რა არის საჭირო, რომ ცვლილების განხორციელებაზე დავიყოლიოთ? რამდენად შესაძლებელია ეს?	
საკვანძო გზავნილები რომელი გზავნილები უნდა გავავრცელოთ? უნდა იყოს თუ არა გზავნილი ერთნაირი ყველასთვის?	
ტაქტიკა რას მოვიმოქმედებთ ჩვენი კამპანიის ამოცანების მისაღწევად? როგორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა განვახორციელოთ აქტივობები?	

წყარო: https://tinyurl.com/mtvepu82 გვ.29

ინსტრუმენტების ნაკრები

1. მშობლები განათლებისთვის https://mshobeltaskola.ge/?cat=1
2. პოზიტიური მშობლობა https://tinyurl.com/7cjbpspj
3. მშობლების დედა ენა https://tinyurl.com/sxsbmycx

რეფლექსიის ინსტრუმენტი

აღნიშნე მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილი 1-იდან – 5-ის ჩათვლით, სადაც 1 ნიშნავს დაბალს, ხოლო 5 მაღალს.

	1	2	3	4	5
ხელს ვუწყობ სკოლის დემოკრატიული მმართველობის/გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობას;					
ხელს ვუწყობ კურიკულარულ და ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობას;					
ხელს ვუწყობ თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას;					

ბიბლიოგრაფია



1. Angerer B., et al. (2007), Demokratie erfahrbar machen – demokratiepädagogische Beratung in der Schule [Making democracy tangible - democratic educational counselling in schools], Landesinstitut für Schule und Medien Berlin-Brandenburg, Ludwigsfelde-Struveshof, available at http://tinyurl.com/27f32wcb, accessed 17 November 2023.
2. Bäckman E., Trafford B. (2007), Democratic Governance of Schools, Council of Europe, Strasbourg, available at http://tinyurl.com/4myjztrz, accessed 17 November 2023.
3. Council of Europe (2018), Reference Framework of Competences for Democratic Culture, Volumes 1-3, Council of Europe, Strasbourg, available at https://go.coe.int/LXDNq, accessed 17 November 2023.
4. Davila A., Mora M. T. (2007), "Civic Engagement and High School Academic Progress: An Analysis Using NELS Data", Center for Information and Research on Civic Learning and Engagement (CIRCLE) Working Paper 52, University of Maryland, available at http://tinyurl.com/4bbr7s75, accessed 17 November 2023
5. Eikel A. (2006), Demokratische Partizipation in der Schule [Democratic Participation in School], Beiträge zur Partizipationsförderung in der Schule [Contributions to Promoting Participation at Schools], BLK programme "Learning and Living Democracy", Berlin, available at http://tinyurl.com/zy8bjzdh, accessed 17 November 2023.
6. ე.ჰადლსტონი, მ. არავიაშვილი (2022), მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს სკოლებსა და თემებში სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასების ანგარიში, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, ხელმისაწვდომია http://tinyurl.com/yc8m5kbf
7. დ. უზნაძე (2021) „სკოლის რეფორმის შესახებ კავკასიაში" – ჟურნალი სკოლის მართვა, 2021 წლის 1-ელი ნომერი, გვ.7-20, ხელმისაწვდომია https://tinyurl.com/5n88uak6
8. State Institute for School Quality and Educational Research Munich (2017), Gesamtkonzept für die Politische Bildung an bayerischen Schulen [Overall concept for political education in Bavarian schools], Bavarian State Ministry for Education and Cultural Affairs, available at http://tinyurl.com/22s336tf, accessed 17 November 2023.
9. Zentrum Polis (2013), Demokratie in der Schule. Mitreden - Mitgestalten – Mitentscheiden [Democracy at school. Have a say - help shape - co-decide], Austrian Federal Ministry of Education, Science and Research, Vienna, available at http://tinyurl.com/4mevvtmt, accessed 17 November 2023.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, ხელმისაწვდომია: http://tinyurl.com/54e8659f
2. კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ", ხელმისაწვდომია http://tinyurl.com/2p9pt23k
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, ხელმისაწვდომია http://tinyurl.com/5n975knr
4. დირექტორის პროფესიული სტანდარტი, ხელმისაწვდომია http://tinyurl.com/4arpx392

5. ავტორიზაციის სტანდარტები, ხელმისაწვდომია https://tinyurl.com/nheedsuk
6. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, ხელმისაწვდომია http://tinyurl.com/yc6k9xk6
7. მოსწავლის ქცევის კოდექსი, ხელმისაწვდომია, ხელმისაწვდომია http://tinyurl.com/3znppemz

დამატებითი საკითხავი

დირექტორი

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
2. ეროვნული სასწავლო გეგმა
3. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“
4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
5. დირექტორის პროფესიული სტანდარტი
6. ავტორიზაციის სტანდარტები
7. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი
8. მოსწავლის ქცევის კოდექსი
9. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო
10. https://tinyurl.com/mtvepu82
11. https://tinyurl.com/3n8h67wt

მასწავლებელი

1. Huddleston, E. Araviashvil, M. Engaging school children in decision-making processes in Georgia 2022 Council of Europe
2. „EUROPAS KULTURERBE“ LEHRER-TOOLKIT. 2018 Europäische Union
3. დემოკრატიული კულტური კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო 2018. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
4. Gesamtkonzept für die Politische Bildung an bayerischen Schulen 2017 Staatsinstitut fuer Schulqualitaet unda Bildungsforschung. Muenchen
5. Demokratie in der Schule. Mitreden – Mitgestalten – Mitentscheiden 2013 Bundesministerium für Unterricht, Kunst und Kultur. Wien
6. Bäckman, E. Trafford, B. 2007 Demokratische Schulgestaltung in Theorie und Praxis. Europarat. Strassburg
7. Davila, A. Mora, T. M. 2007 CIVIC ENGAGEMENT AND HIGH SCHOOL ACADEMIC PROGRESS: AN ANALYSIS USING NELS DATA. The University of Texas—Pan American
8. Eikel A. 2006 Demokratische Partizipation in der Schule. Berlin
9. Demokratie erfahrbar machen – demokratiepädagogische Beratung in der Schule 2007 Landesinstitut für Schule und Medien Berlin-Brandenburg
10. Ives, R. Life skills training in schools, Manual 2005 Council of Europe. Pompidou Group
11. Reflection toolkit. The University of Edinburgh. https://www.ed.ac.uk/reflection
12. European Toolkit for Schools. School education gateway. Erasmus + https://tinyurl.com/34jja8pm
13. Living and learning democracy in schools and at home https://www.living-democracy.com/
14. ეროვნული სასწავლო გეგმა. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები https://tinyurl.com/5fbe36ba
15. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
16. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მოსწავლე

1. Manual for School Students (2018) Organising Bureau of European School Students Unions (OBESSU).
   ხელმისაწვდომია https://tinyurl.com/2hjp62rn
2. Have Your Say (2015) Council of Europe Publishing. ხელმიწავდომია https://rm.coe.int/16807023e0
3. 'Voice' is not enough: conceptualising Article 12 of the United Nations Convention on the Rights of the Child (2013)
   ხელმიწავდომია https://tinyurl.com/2aakmahp
4. ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული

მშობელი

მშობელთა ჩართულობა – რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის. G-PRIED თბილისი, 2015;
http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში – თვისებრივი კვლევის ანგარიში. საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი, თბილისი, 2017
http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2020/04/13.pdf
სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა, ააიპ მშობლები განათლებისთვის, 2020
https://tinyurl.com/ykjnhfn3
მშობელთა ჩართულობა, ააიპ მშობლები განათლებისთვის, 2020
https://tinyurl.com/yc3s5884
Harry Shier (2001): Pathways to participation: openings, opportunities and obligations. In: Children and Society Vol 15.
https://tinyurl.com/36ahrnt9



დანართები

დანართი 1

ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის თვითმმართველობითი სუბიექტები: სამეურვეო საბჭო, დირექცია/დირექტორი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი.

სამეურვეო საბჭო

სამეურვეო საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობის უმაღლეს არჩევით ორგანოს წარმოდგენს, რომელიც მშობლების, პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლის ვადით არჩეული წარმომადგენლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 საშუალო საფეხურის მოსწავლისა და სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისგან შედგება.

მისი ძირითადი ფუნქციებია:

- სკოლის დირექტორის არჩევა
- დირექციის წარმოდგენილი ბიუჯეტის დამტკიცება
- დირექციის მიერ ფინანსებისა და სასკოლო ქონების განკარგვის კონტროლი
- სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება
- პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება
- დირექტორის მიერ წარმოდგენილი სკოლის წესდების პროექტის შეთანხმება
- შემოსული საჩივრების განხილვა
- დისციპლინური კომიტეტის არჩევა
- დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრების განხილვა / სააპელაციო კომისიის შექმნა

დირექცია/დირექტორი

სკოლის დირექტორის, მისი მოადგილე/მოადგილეებისა და ბუღალტერისაგან შემდგარი სკოლის სტრუქტურული ერთეული.

მისი ძირითადი ფუნქციებია:

- სკოლის მართვა
- სკოლის მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოდგენა
- სამეურვეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად სკოლის შინაგანაწესისა და სკოლის ბიუჯეტის წარდგენა
- საშტატო განრიგის შემუშავება
- მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების უზრუნველყოფა
- დადგენილ ვადაში სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება
- განიხილოს საჩივრები და მიიღოს შესაბამისი ზომები
- ითანამშრომლოს მანდატურის სამსახურთან
- სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ზედამხედველობა
- სკოლის წესდების პროექტის შემუშავება სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმება სამინისტროსთვის დასამტკიცებლად წარდგენა

პედაგოგიური საბჭო

სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც შედგება სკოლის ყველა მასწავლებლისა და, ასევე, მასწავლებლობის მაძიებელი პირებისაგან.

მისი ძირითადი ფუნქციებია:

- ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება
- გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის ნუსხის დამტკიცება
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორის არჩევა
- თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში არჩევა და ვადამდე გადარჩევა

მოსწავლეთა თვითმმართველობა

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან შემდგარი არჩევითი ორგანო.

მისი ძირითადი ფუნქციებია:

- შეიმუშაოს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესის შესახებ
- აირჩიოს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში
- წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით
- მიიღოს მონაწილეობა მოპოვებული გრანტის განკარგვაში(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შექმნას წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით სასკოლო კლუბები

დისციპლინური კომიტეტი

თანაბარი რაოდენობის მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან(საშუალო საფეხურის) შემდგარი არჩევითი ორგანო.

მისი ძირითადი ფუნქციებია:

- განიხილოს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული პირების დისციპლინური გადაცდომების ფაქტები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები ან გამოიტანოს გადაწყვეტილებები.

დანართი 2

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ცნება

დემოკრატიული კულტურა განმარტავს დემოკრატიულობის ქცევაში ასახვის პრაქტიკას. დემოკრატიის პრაქტიკული განხორციელება დემოკრატიული კულტურის მქონე ინდივიდების მიერაა შესაძლებელი (Barrett, Black, და სხვ. 2018). სწორედ დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის, ევროპის საბჭოს ინიციატივითა და განათლების სფეროში ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, რომლის სიღრმისეული აღწერა შესაძლებელს ხდის, საკლასო და სასკოლო დონეზე, მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის შეფასებას. იმ სფეროებში, კი სადაც მოსწავლეებს ყველა მეტად აქვთ გამოწვევა, სკოლებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები, რათა გააუმჯობესონ მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის ესა თუ ის ასპექტი.

აღნიშნული მოდელის მიხედვით, არსებობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიული კულტურის ხარისხს. მოდელის მიერ კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც:

„სათანადო ღირებულებათა, დამოკიდებულებათა, უნარებისა და ცოდნის და/ან კრიტიკული გააზრების მობილიზება და გამოყენება, მოცემულ კონტექსტში არსებულ მოთხოვნებზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირების მიზნით“ – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო გულისხმობს იმ ღირებულებების, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და უნარების ერთობლიობას, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს, გახდეს დემოკრატიული პროცესების მონაწილე და წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

ფიგურა 2 – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო



დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო აერთიანებს კვლევისა და პილოტირების შედეგად იდენტიფიცირებულ 20 კომპეტენციას (ცოდნას/კრიტიკულ გააზრებას, ღირებულებებს, დამოკიდებულებსა და უნარებს). თითოეული კომპეტენცია დეტალურადაა განმარტებული დესკრიპტორების საშუალებით. ბოლოს, ავტორების მიერ შემოთავაზებულია ჩარჩოს პრაქტიკაში განხორციელებისა და შეფასების გზები.

ფიგურა 3- კომპეტენციათა მოდელში შემავალი 20 კომპეტენცია

ღირებულებები

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

დამოკიდებულებები

- კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა და პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა;
- პატივისცემა;
- მოქალაქეობრივი აზროვნება;
- პასუხისმგებლობა;
- თავდაჯერებულობა;
- გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

კომპეტენციები

უნარები

- დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები;
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები;
- მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები;
- ემპათია;
- მოქნილობა და შეგუების უნარი;
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები;
- თანმშრომლობის უნარ-ჩვევები;
- კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.

ცოდნა და კრიტიკული გააზრება

- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;
- ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;
- მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა,
- რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება.

აღნიშნული მოდელი ერთხმად დამტკიცდა ევროპის განათლების მინისტრთა კონფერენციაზე, რომელიც 2016 წელს ბრიუსელში გაიმართა. მოდელის მიხედვით, მიიჩნევა, რომ მოქალაქე დემოკრატიისა და ინტერკულტურული დიალოგის პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობისთვის მზადაა, თუ ის ზემოთ მოცემული 20 კომპეტენციიდან ზოგიერთი ან ყველა კომპეტენციის მობილიზებითა და გამოყენებით, ეფექტურად აკმაყოფილებს დემოკრატიულ და ინტერკულტურულ სიტუაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ჩარჩო ერთადერთი პოლიტიკურად აღიარებული კომპეტენციათა მოდელია ევროპაში (ბარეტი, და სხვ. 2017), რომელიც წარმოაჩენს მოქალაქის თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის არსებულ მოთხოვნებს და განმარტავს მათი განხორციელების გზებს. საგანმანათლებლო სისტემები, მათ შორის, სკოლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მუდმივ და შეუქცევად განვითარების პროცესში, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. მოზარდების უმეტესობა საზოგადოებაში სოციალიზაციას სკოლაში იწყებს და, შესაბამისად, სკოლა წარმოადგენს იმ ადგილს, საიდანაც

მოსწავლეები ერთვებიან დემოკრატიული განათლების მიღების პროცესში და უვითარდებათ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები. შესაბამისად, დემოკრატიული განათლება სასკოლო სივრცეში წარმოადგენს ერთ-ერთ გზას მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებისათვის.

საქართველო მიისწრაფის დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისკენ და ცდილობს ევროპულ ინსტიტუციებში ინტეგრაციას. სახელმწიფო სამართლებრივ დოკუმენტებში ხაზგასმულია განათლების როლი მოამზადოს მოსწავლეები დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის (საქართველოს მთავრობა 2004, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2018).

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ აღწერილია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. დოკუმენტი აღიარებს მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის განვითარების მნიშვნელობას და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების გამომუშავებას ზოგადი განათლების დანიშნულებად მიიჩნევს (საქართველოს მთავრობა 2004).

„დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“ – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს მთავრობა.

დემოკრატიული კულტურის რიგი კომპეტენციების განვითარებაზე მიუთითებს, ასევე, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს განვითარებას ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნად განსაზღვრავს (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005).

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია:

„მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნის უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა“ – საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 3.

ბოლოს, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა ჩარჩოში შემავალი კომპეტენციების განვითარება განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნების ნაწილია. სწავლა-სწავლების მიზნებიდან ერთ-ერთია მოსწავლეებში რიგი გამჭოლი კომპეტენციების განვითარება, რაც თითოეული საგნის სწავლების შედეგად უნდა მოხდეს. ეს კომპეტენციებია: თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა და სხვა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილი, აღნიშნული გამჭოლი კომპეტენციები, პოლიტიკის დოკუმენტებისგან განსხვავებით, უშუალო წინაპირობას ჰქმნის რათა პედაგოგებმა სწავლა-სწავლების პროცესი განახორციელონ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების ხელშესაწყობად

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2018).

ამრიგად, ნათელია მჭიდრო კავშირი ევროპულ და ქართულ სამართლებრივ მექანიზმებს შორის, რომლებიც აღიარებენ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობას და ხაზს უსვამენ ამ პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, სკოლების როლს.

მეთოდოლოგიური გზამკვლევი "მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში" არის პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლებისთვის, რომლის მიზანიცაა, სასკოლო საზოგადოების წევრებმა – მშობლებმა, მასწავლებლებმა, სკოლების ლიდერებმა, მოსწავლეებმა – გააცნობიერონ, თუ როგორ შეუძლიათ წვლილის შეტანა სასკოლო ცხოვრების დემოკრატიული მართვის პროცესის გაუმჯობესებაში და, რაც უმთავრესია, როგორ შეუქმნან მოსწავლეებს სასკოლო ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ნამდვილი მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები.

გზამკვლევი შედგება მოსწავლის მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ზოგადი შესავალისა, და 4 ძირითადი თავისგან: სკოლის ხელმძღვანელის/ლიდერის, მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლისთვის. პუბლიკაცია მოიცავს კონკრეტულ ქმედებებად ჩაშლილ რეკომენდაციებს, მათი განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუქციებს, ინსტრუმენტებს, მაგალითებსა და შემთხვევებს სასკოლო ცხოვრებიდან.

გზამკვლევის პრაქტიკული კომპონენტი იძლევა საშუალებას, განისაზღვროს სკოლის დემოკრატიული კულტურის დონე მოსწავლეთა მონაწილეობითი პრაქტიკის შეფასების საშუალებით, შემუშავდეს ინტერვენციის პოლიტიკა, განხორციელდეს ცვლილებები სასკოლო დონეზე და შეფასდეს მიღწეული შედეგები რეფლექსიის სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით.

პუბლიკაცია მომზადდა ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ და განათლების პროფესიონალების კონტრიბუციით, 2022-2023 წლებში პროექტის "დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" ფარგლებში.

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int
www.coe.ge

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE